# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
14 ივლისი **ხუთშაბათი** 2011
№ 163 (13460) ფასი 80 თეთრი

**კოპა ამერიკა 2011. B ჯგუფი**

**პარაგვაი 3 : 3 ვენესუელა**

**პარაგვაი:** ვილარი, ვერონი, და სილვა, ალკარასი, ტორესი, ვერა (71. სანტანა), რივეროსი, ორტიგოსა, ესტიგარიბია (85. ვ. კასერესი), ბარიოსი, სანტა კრუსი (42. ვალდესი).

**ვენესუელა:** ვეგა, როსალესი, ვისკარონდრო, პეროსო, სიჩერო, ა. გონსალესი (76. მალდონადო), დი ჯორჯი, რინკონი, ოროსკო (66. მიკუ), არისმენდი (64. არანგო), რონდონი.

**გოლები:** 0:1 რონდონი (5), 1:1 ალკარასი (33), 2:1 ბარიოსი (63), 3:1 რივეროსი (86), 3:2 მიკუ (90+1), 3:3 პეროსო (90+2)

**ბრაზილია-ეკვადორი**

*გამთენიისას დასრულდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვენესუელა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 2. ბრაზილია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 3. პარაგვაი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. ეკვადორი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი

### სტუმრებთან დიდი ბოდიში, მაგრამ...

# ზესტაფონელებმა დარია ნამეტანი დაარიავეს




↳2

# 3:0 ჯაბასგან დაჯაბნილებს

ევროპის ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩების წინ

## დინამო ლანელის მწვრთნელს შეუტევს



↳2




↳3

## პისკოვეცმა ანორთოსისი ჩაიწიშნა

## მეტალურგი: აგრესია და მშრალკარა



● ჩემპიონთა ლიგა.

13.07. ზესტაფონი. დავით აბაშიძე.
4 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 3 |
| დაჩია | 0 |

1:0 გელაშვილი (14). აფციაურის პასით). 2:0 დვალი (23). 3:0 დვალი (39).

| ზესტაფონი | დაჩია |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| რ. კვასხვაძე | გაიდუჩევიჩი |
| თ. ლონლაძე | დიმოვსკი |
| ონიანი | დოგრე |
| ხიდეშელი | გამეზარდაშვილი |
| ელიავა | ატანაკოვიჩი |
| აფციაური | მიხალიოვი |
| დაუშვილი | ონიცა |
| ძარია | კოჟოკარი |
| გრიგალაშვილი | ტუმბაშევიჩი |
| დვალი | ნიჩაევი |
| გელაშვილი | სტეპანოვიჩი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | ი. დობროვოლსკი |

**ზესტაფონი**

69. გელაშვილი - **წინამძღვრიშვილი**
71. ძარია - **გორგიაშვილი**
86. აფციაური - **ბაბუნაშვილი**

*სათადარიგოები: მამალაძე, კობახიძე, ალადაშვილი, ბენაშვილი*

**დაჩია**

42. ატანაკოვიჩი - **მამა**
46. ნეჩაევი - **დედოვი**
79. ონიცა - **ორბუ**

*სათადარიგოები: მოშნეაგა, ილესკუ, ბურსუჩი, კრკოტიჩი*

გაფრთხილება: **დაუშვილი (23), კოჟოკარი (57)**

არბიტრი: **ჰალის ოზკაია (თურქეთი)**

# ღირსეული დებიუტი და ჯაბას დაჯაბნილები

გუშინ ზესტაფონში პირველად აჟღერდა ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი და "ზესტაფონმაც" ჩვენი ქვეყნის ფეხბურთი ღირსეულად წარმოაჩინა.საქართველოს ჩემპიონმა არცთუ სუსტი მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნა და გულშემატკივრები ლამაზი გამარჯვებით გაახარა.

სამი უპასუხო გოლით ფეროელებმა შემდეგი ეტაპისკენ გვარიანი ნაბიჯი გადადგეს.

„ზესტაფონი" ევროტურნირებზე რამდენიმე წელია, სტაბილურად ასპარეზობს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში „დაჩიას" მსგავსად ისიც დებიუტანტია. სადებიუტო შეხვედრებს კი ყოველთვის ახლავს მღელვარება... თუმცა გუშინ ზესტაფონელებს მღელვარებისა და მეტოქის მიმართ რიდისა არაფერი ეტყობოდათ. პირველივე წუთებიდან თამამად შეუტიეს და მოლდოველებს ნამდვილი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს. ყველაფერი გამოსდიოდათ, თავიანთი კოზირები ბოლომდე გამოიყენეს, ბურთი დაიჭირეს, ლამაზი კომბინაციებით „ყვითელ მგლებს" თავბრუ დაახვიეს და ულამაზესი გოლებიც გაიტანეს. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქართველთა უპირატესობა ტექნიკაში. ყველამ ღირსეულად ითამაშა, თუმცა მაინც უნდა გამოვარჩიოთ **ჯაბა დვალი** (რომელიც "ზესტაფონში" სწორედ „დაჩიადან" გადავიდა) და **ნიკოლოზ გელაშვილი**, რომლებიც სტუმართა პირველი ამწიოკებლები იყვნენ...

შეხვედრის მიმართ ინტერესი თავიდანვე დიდი იყო. გულშემატკივრები 7, 10 და 20-ლარიანმა ბილეთებმა არ დააფრთხო და სტადიონი ბოლომდე შეივსო. მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე ზესტაფონში კოკისპირულად აწვიმდა, თუმცა თამაშის დაწყებისას გამოიდარა და მოედანიც ბრწყინვალე მდგომარეობაში დაუხვდა გუნდებს. შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** დაესწრნენ. კიშინიოველებს 30-მდე ქომაგი ჩამოჰყვათ, რომლებმაც ჯერ კიდევ კოპიტნარის აეროპორტშივე გვაჩვენეს, თუ როგორი აქტიური ქომაგობა შეუძლიათ, მაგრამ გუშინ თავისიანების საცოდაობის შემხედვარეთ ხმა არ ამოუღიათ და მაშინღა გამოფხიზლდნენ, როცა მეორე ტაიმში მოლდოველებმა მცირედ შემოგვიტიეს.

გუშინდელ მატჩზე მოლდოვის პრემიერ-მინისტრ **ვლადიმირ ფილატსაც** ელოდნენ, მაგრამ ის შეხვედრას არ დასწრებია.

**გია გეგუჩაძემ** და **იგორ დობროვოლსკიმ** ერთმანეთს იდენტური სათამაშო სქემა (4-4-2) დაუპირისპირეს. ქართველთა დამრიგებელმა „ზესტაფონი" ასე განალაგა: მარჯვენა მცველად **თემურ ლონლაძე** იყო გამწესებული, მარცხნივ, ტრადიციულად, **ზაალ ელიავა**; ორივე ხშირად ერთვებოდა შეტევებში და ძალზე აქტიურებიც იყვნენ. დაცვის ცენტრში **გიორგი ონიანისა** და **გიორგი ხიდეშელის** დუეტი მოქმედებდა. პირველ ტაიმში მათ ჩერნოგორიელ **სტეპანოვიჩს** და რუს **ნეჩაევს** არ მისცეს გასაქანი, მეორე ნახევარში კი ამ უკანასკნელის ნაცვლად გამოსული **დედოვიც** დაჯაბნეს. ტრადიციულად საიმედოდ გაისარჯა საყრდენი **მურთაზ დაუშვილი**, რომლის გვერდით ასევე კარგად მოქმედებდა **ირაკლი ძარია**. **აფციაურმა** და **გრიგალაშვილმა** კი გულშემატკივრები არაერთი უზუსტესი გადაცემითა და ტექნიკური ეპიზოდით ასიამოვნეს. პირველი გოლისას გელაშვილს სწორედ აფციაურმა გაუწია ასისტენტობა. „ზესტაფონის" თავდასხმის დუეტზე კი უკვე გითხარით — გელაშვილი და დვალი გუშინ შეუჩერებლები იყვნენ და გოლების გარდა ისეთი საოცრებები აკეთეს, მოლდოველებთან ერთად საკუთარი გულშემატკივრებიც სასიამოვნოდ გააოცეს.

მოლდოველთა დაცვის მარჯვენა ფლანგს **დიმოვსკი**, მარცხენას კი **ატანცკოვიჩი** ამაგრებდნენ, თუმცა გუშინ „დაჩიას" ყველაზე სუსტი წერტილი სწორედ სერბი ლეგიონერი იყო და აკი დობროვოლსკიმ მეორე ტაიმში მის ნაცვლად ტოგოელი **აბდულ ჯაფარ მამა** გამოიყვანა, რომელიც თანაგუნდელზე უკეთ გაისარჯა. დაცვის ცენტრში ჩვენებურ **დავით გამეზარდაშვილს** გუნდის კაპიტანი **ლუჩიან დობრე** ჰყავდა შეწყვილებული. ნახევარდაცვაში **მიხალიოვი**, **ონიცა**, **კოჟოკარი** და **ტუმბაშევიჩი** ირჯებოდნენ, რომლებიც ქართველი ნახევარმცველებისგან აშკარად დაიჯაბნენ. თავდასხმელთა დუეტის, სტეპანოვიჩისა და ნეჩაევის ანგარიშზე კი ორიოდე სახიფათო დარტყმაა. „დაჩიაში" საკმაოდ არიან ლეგიონერები, თუმცა ბევრი ლეგიონერი გუნდის სიძლიერის გარანტი რომ არ არის, ამაში გუშინაც დავრწმუნდით.

ზესტაფონელები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას. მოკლე პასებითა და გააზრებული კომბინაციებით ცდილობდნენ **გაიდუჩევიჩის** კარისთვის გასაღების მორგებას და საწადელს მალევე მიაღწიეს, თუმცა იქამდე პირველებმა სახიფათოდ სტუმრებმა დაარტყეს. მცველებს მიხალიოვი დაუსხლტა და მისი დარტყმა **კვასხვაძემ** მოიგერია. "ზესტაფონმა" ტემპს უმატა და მოუხეშავი მოლდოველები ტექნიკური ქართველების შეჩერებას ველარ ახერხებდნენ. მათი მხრიდან იმატა შეცდომებმაც. მე-5 წუთზე ძარიამ დაარტყა სახიფათოდ, თუმცა ოდნავ არაზუსტად. დვალი ორჯერ დაუძვრა მცველებს, მაგრამ ბოლო მომენტში დარტყმა არ დაანებეს, მესამედ კი გელაშვილის შესანიშნავი პასი ვერ დაიმორჩილა, თორემ მეკარესთან ერთი-ერთზე გადიოდა... მე-12 წუთზე გელაშვილის უძლიერეს დარტყმას გამეზარდაშვილი გადაელობა თავგანწირვით. დვალის ძლიერი დარტყმა კი ხარიხას გადაევლო და ზემოდან დაეცა კარის ბადეს. ჯერ კიდევ მატჩის დებიუტი იყო, მაგრამ გოლი უკვე მომწიფებული ჩანდა და მალე გავიდა კიდეც: მე-14 წუთზე აფციაურმა შესანიშნავად გადააწოდა გელაშვილს, რომელმაც მეურვეებსა და მეკარეს შანსი არ დაუტოვა და ტრიბუნები ააგუგუნა — 1:0

მე-16 წუთზე ონიცას სახიფათო საჯარიმოს დარტყმის საშუალება მიეცა, მაგრამ უხეიროდ გაისარჯა. მე-19 წუთზე ლონლაძე ჩაერთო შეტევაში და მისი უძლიერესი დარტმა მცირედით ასცდა მიზანს. ზესტაფონელების გარჯას მალე კიდევ ერთი გოლი მოჰყვა: 23-ე წუთზე გელაშვილმა იაქტიურა, მცველები დაიბნენ და ბურთი დვალთან აღმოჩნდა, რომელმაც ორ მცველს გვერდი აუარა და საჯარიმოს გარედან უძლიერესი დარტყმით გაიდუჩევიჩის კარის ცხრიანში გაიტანა — 2:0. დვალისა და გელაშვილის დუეტი ამის შემდეგაც არ აძლევდა სტუმრებს ამოსუნთქვის საშუალებას. 29-ე წუთზე ჯაბამ გელაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, გაიდუჩევიჩი კარიდან დროზე გამოვიდა, მაგრამ საჯარიმოს გარეთ ბურთს ხელი შეახო, თუმცა ეს თურქ არბიტრს შეუმჩნეველი დარჩა. 39-ე წუთზე დვალმა პატარა სასწაული შემოგვთავაზა: გელაშვილის გადაცემის შემდეგ სამ მცველს თავზე გადაუგდო ბურთი, თავად მათ შორის გაძვრა და ახლო მანძილიდან მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

მოკლედ, ზესტაფონელებმა ტაიმი მაჟორულ ნოტაზე დაასრულეს. მეტოქე იმდენად დემორალიზებული ჩანდა, დარწმუნებულები ვიყავით, რომ მათ კარში გოლებს კიდევ ვიხილავდით, მაგრამ მეორე ტაიმი პირველივით უხვგოლიანი არ გამოდგა. თუმცაღა დასამახსოვრებელი და ლამაზი ეპიზოდები მეორე 45 წუთშიც მრავლად იყო და ისევ ზესტაფონელთა გარჯით. თამაშის განახლებისას მოლდოველებმა შემოგვიტიეს. ტუმბაშევიჩის გადაცემის შემდეგ მიხალიოვი ცდილობდა დასწრებაზე თამაშს, მაგრამ მცველებმა განმუხტეს სიტუაცია. შეცვლაზე შესული დედოვიც ბევრს აქტიურობდა, მაგრამ ზესტაფონელმა მცველებმა მასაც არ მისცეს ბევრის უფლება. 53-ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა ლონლაძემ, ზუსტი გადაცემით გელაშვილი მოძებნა, ნიკას ძლიერი დარტყმული კი მეკარემ ნახტომით მოიგერია. გატანის შანსი ჰქონდათ დვალს, დაუშვილსა და ელიავას. 64-ე წუთზე ორი მეტრის რადიუსში დვალმა ოთხი მეტოქე გააბითურა, მაგრამ მეხუთემ დარტყმა არ დაანება. 78-ე წუთზე ონიანის სახიფათო საჯარიმოს შემდეგ ბურთი ზემოდან მოხვდა ბადეს. 82-ე წუთზე კი გრიგალაშვილმა გააპამპულავა სტუმრები და დვალს გადააწოდა, რომელმაც კარში დარტყმა დააყოვნა და ბურთი მცველებმა აართვეს. რაც შეეხებათ მოლდოველებს, მათ ორიოდე ნახევარმომენტი შექმნეს. მიხალიოვის დარტყმის მოგერიება კვასხვაძეს არ გასჭირვებია, მე-80 წუთზე კი კუთხურს ზესტაფონელთა კართან არეულობა მოჰყვა და გამეზარდაშვილის დარტყმა მცირედით ასცდა მიზანს. მალე საფინალო სასტვენიც გაისმა და სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა გუნდი ოვაციით გააცილეს. „ზესტაფონმა" ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ცალი ფეხით ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე შეაბიჯა.



მარცხნიდან: ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, თორნიკე აფციაური

**მატჩის შემდეგ**

**იგორ დობროვოლსკი:** „ძალიან სუსტად ვითამაშეთ. ზოგიერთი ფეხბურთელის ცნობა საერთოდ შეუძლებელი იყო. ჩვენმა მეტოქემ კი ძლიერად ითამაშა. „ზესტაფონის" ასეთი კარგი თამაში ჩვენთვის სიურპრიზი არ ყოფილა. მეტოქემ თავისი აგრესიული თამაშით გვაიძულა, რომ საკუთარ კარს მივჯაჭვოდით, თორემ დაცვაში გამოკეტვა ნამდვილად არ გვქონდა განზრახული. დიდი ანგარიშით მარცხის მიუხედავად, ვფიქრობ, შანსები კვლავ 50/50-ზეა. თუ მეტოქემ საკუთარ მოედანზე სამი გოლი გაგვიტანა, ხომ შეიძლება, იგივე კიშინიოვში ჩვენც მოვახერხოთ?! შემადგენლობას გადავახალისებთ და საპასუხო შეხვედრაში ბოლომდე ვიბრძოლებთ...

**გია გეგუჩაძე:** „სასიამოვნოა, რომ დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ, მაგრამ ამან ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. მოლდოვაში რთული მატჩი გველის და არ უნდა მოვდუნდეთ. დღევანდელი მოგება ფეხბურთელების დამსახურებაა, ბიჭებს მატჩამდეც ეტყობოდათ, რომ თავს არ დაზოგავდნენ. აღსანიშნავია მაყურებლის ფაქტორიც, სავსე ტრიბუნებმა მოთამაშეებზე დადებითად იმოქმედა. საპასუხო მატჩის წინ სოლიდური ფორა გვაქვს, რაც ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ.

**თემურ ქეცბაია:** „ჩემპიონთა ლიგაზე ყველა მეტოქე დასაფასებელია. მოხარული ვარ, რომ „ზესტაფონმა" შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და დიდი ანგარიშით მოიგო. პირველ ტაიმში მოედანზე ერთი გუნდი ჩანდა. 3:0-ის შემდეგ ზესტაფონელებს, ალბათ, ისეთი მოტივაცია აღარ ჰქონდათ. სასიხარულოა, რომ თამაშზე ამდენი გულშემატკივარი მოვიდა, ფეხბურთელებმაც მათ ლამაზი ფეხბურთი უჩვენეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს. ვფიქრობ, „ზესტაფონს" მეორე თამაშში დაბრკოლება არ შეექმნება, რადგან საქართველოს ჩემპიონი დღესდღეობით „დაჩიაზე" ძლიერი გუნდია და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე სწორედ ის გააგრძელებს ასპარეზობას.

**ჯაბა დვალი:** „ძალიან გახარებული ვარ, დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ და ლამაზი გოლები გავიტანეთ. გოლიც რომ არ გავუშვით, ესეც სასიხარულოა. თუმცა ვიცით, რომ ყველაფერი ჯერ არ დასრულებულა, დღეიდან საპასუხო მატჩზე უნდა ვიფიქროთ.

**გიორგი ონიანი:** „გასახარია, რომ გავიმარჯვეთ. მოლდოველებთან კიდევ ერთი დაძაბული თამაში გველის. მაქსიმალურად შევეცდებით, რომ დღეს მოპოვებული სამბურთიანი ფორა შევინარჩუნოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

● მეტოქე

## დინამო ლანელის მწვრთნელს შეუტევს

"ლანელისა" და "დინამოს" დღევანდელი მატჩი თბილისის დროით 21 საათსა და 50 წუთზე დაიწყება და მისი ნახვა მხოლოდ ინტერნეტით შეგვეძლება. **ალექს გარსიას** გუნდმა გუშინ ლანელის "სტებონჰით პარკზე" ივარჯიშა, "დინამოში" საბრძოლო განწყობაა, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია.

უეფას ოფიციალურ ვებგვერზე კი "ლანელის" ოფიციალური განაცხადი გამოქვეყნდა.

| მოთამაშე | ასაკი | მოქ. |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ემლი მორისი | 26 | |
| 19. კრეიგ რიჩარდსი | 20 | |
| **მცველები** | | |
| 2. კრისტოფერ ტომასი | 18 | |
| 5. სტიუარტ ჯონსი | 27 | |
| 6. ლი სურმენი | 25 | |
| 17. ლოიდ გრისტი | 25 | |
| 18. რაიან ბატლი | 19 | |
| 20. სტივენ ჯენკინსი | 38 | |
| 21. ენდი ლეგი | 44 | |
| **ნახევარმცველები** | | |
| 4. კრისტოფერ ვენეიბლზი | 25 | ინგ. |
| 8. ანტონიო კორბისიერო | 26 | ინგ. |
| 10. კრისტოფერ ჰოლოვეი | 31 | |
| 15. ემლი ევანსი | 21 | |
| 25. როს ჯონსი | 19 | |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7. ჯეისონ ბოუენი | 38 | |
| 9. რის გრიფიტსი | 31 | |
| 14. ჯორდან ფოლოვსი | 21 | |
| 16. კრეიგ უილიამსი | 28 | |
| 22. ჩად ბონდი | 24 | |
| 26. ადამ ორმი | 19 | |
| 27. ჯეიმს სეკერი | 19 | |
| **მოთამაშე-მწვრთნელი** | | |
| ენდი ლეგი | 44 | |

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), აზნორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

მეტალურგი | ევროპის ლიგა | ირტიში

რუსთავის "მეტალურგისა" და პავლოდარის "ირტიშის" დაპირისპირება დღეს "ფოლადზე" 18 საათზე დაიწყება. მატჩის ორგანიზატორები უეფას დაეკითხნენ და აღმოჩნდა, რომ სავალდებულო არ ყოფილა ბილეთის მინიმალურ ფასად ერთი ფრანკის ეკვივალენტური თანხის დაწესება, თუ გინდათ, უფასოდ შეუშვით ხალხიო და რუსთაველმა გულშემატკივარმა საჩუქარი მიიღო - ბილეთები უფასოდ დაურიგდებათ.

გუშინ ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა სტადიონზე პრესკონფერენცია გამართეს და გუნდებიც ავარჯიშეს.

# აგრესია და მშრალკარა

## პატრონი? ვილაპარაკოთ მხოლოდ ფეხბურთზე

**არმაზ ჯელაძე**, "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი:

- ყაზახეთში ახლა ჩემპიონატი მიმდინარეობს და "ირტიში" სათამაშო ფორმაშია, მაგრამ ჩვენ წარმატების მისაღწევად აგრესიულ და შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ. ვეცდებით, გავიტანოთ, კარი კი მშრალად შევინახოთ და შემდეგ ეტაპზე გასვლას საფუძველი აქვე ჩავუყაროთ.

**- "ზანანცთან" რუსთაული მატჩის მეორე ტაიმი ჩააგდეთ, მოთამაშეებმა კი დაღლა კონდიციებს დააბრალეს. ახლა როგორ მდგომარეობაში არიან?**

- იმ დღეს ძალიან მაღალი ტემპერატურა იყო და ამან ბიჭების თამაშს დაღი დაასვა. გოლმაც იმოქმედა, გავიტანეთ და ცოტა მოვეშვით, ზედმეტად თავდაჯერებულად ვითამაშეთ. რაც შეეხება გუნდის ფიზიკურ მზადყოფნას, ამ მხრივ საკმაოდ ნორმალური ვითარებაა.

**- მეტოქეზე რა იცით, მათი მატჩების ვიდეოჩანაწერი თუ ნახეთ?**

- არ გვინახავს, მხოლოდ ინტერნეტით მოვიძიეთ "ირტიშის" მატჩების მომენტები, მაგრამ არა ბოლოდროინდელების. გავიგეთ, რომ გასვლაზე უჭირთ, სახლში კი კარგად თამაშობენ. ამას გავითვალისწინებთ.

**- ახლები თუ დაიმატეთ, მაგალითად, ტატანაშვილი?**

- ტატანაშვილის უეფას განაცხადში შეყვანა წინა მატჩზე ვერ მოვასწარით, ახლა კი დავიმატეთ. ირაკლი ქობალიას დისკვალიფიკაციის ვადა ამოეწურა, დობროვოლსკი და მურველაშვილი ვარჯიშობენ, მაგრამ ამ ეტაპზე სათამაშოდ მზად არ არიან.

**- "ზანანცთან" მოდებაძეს ფლანგზე უწევდა თამაში, ახლაც იქ გამოიყენებთ?**

- მაშინ გუნდში ერთი ფორვარდი გვყავდა და ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, ახლა, სავარაუდოდ, ორი ფორვარდით ვითამაშებთ, რადგან თავდასხმაში მეტი არჩევანი გვაქვს.



არმაზ ჯელაძე

**- მოწინააღმდეგე ფიზიკურად ძლიერია?**

- ტანმაღალი ფეხბურთელები ჰყავთ - მათი საშუალო სიმაღლე 184 სანტიმეტრია, ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, ჰყავთ რამდენიმე ლეგიონერი, აქცენტს სტანდარტულებზე აკეთებენ.

"ირტიშმა" ყაზახეთის ჩემპიონატში ბოლო მატჩი ორშაბათს ჩაატარა, მეორე დღეს საქართველოში გამოფრინდა და, ალბათ, ცოტა დაღლილები იქნებიან. ეს ფაქტორიც იმოქმედებს. ჩვენთან მატჩის შემდეგ კი, 3 დღეში ისევ ჩემპიონატის ტური აქვთ.

**- კლუბს მეპატრონე შეეცვალა. ახალი მფლობელი უკვე გამოჩნდა?**

**შოთა შერმადინი**, "მეტალურგის" პრესატაშე: ბოდიში, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ საფეხბურთო თემით შემოვიფარგლოთ.

**- მატჩის 18 საათზე გამართვა გაუმართლებელი ხომ არ არის, ახლა საკმაოდ ცხელა...**

- ასეთ დროს თამაშს განათების პრობლემის გამო ვიწყებთ. შემდეგ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში კი ეროვნულ სტადიონზე ვითამაშებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლექსო კვახაძე: ირტიში აქტობეზე ძლიერი არ არის

**ყაზახებთან მატჩამდე კომენტარი ჩამოვართვით რუსთავის "მეტალურგის" ცენტრალურ მცველ ლექსო კვახაძეს.**

*"გასულ წელს ყაზახეთის ჩემპიონ "აქტობესთან" კი წავაგეთ, მაგრამ ამას ჰქონდა მიზეზები: საჩემპიონო შემადგენლობიდან მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელი დარჩა, ბევრი ახალი მივედით, შეთამაშებაც ვერ მოვასწარით, დასვენებისა და ძალების აღსადგენად დრო არ გვეყო. თუ გახსოვთ, ამის გამო მეორე ტაიმში "აქტობესთან" ძალიან დავიღალეთ, ყაზახეთში კი ჩემპიონატი მიმდინარეობდა და მეტოქე ფორმაში იყო. არადა, პირველივე ტაიმში შეგვეძლო თამაშის ბედის გადაწყვეტა, მაგრამ ოთხი რეალური საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ.*

*ვფიქრობ, "ირტიში" "აქტობეზე" ძლიერი გუნდი არ არის და უნდა მოვიგოთ. ჯერ საუკეთესო ფორმაში არ ვართ, ყაზახეთში ახლაც გახურებული ჩემპიონატია, რაც მათი უპირატესობაა, მაგრამ ამჯერად მოუმზადებლებიც არ გვეთქმის. სლოვენიაში საკონტროლო მატჩები ვითამაშეთ, მერე "ზანანცს" შევხვდით, ასე რომ, შარშანდელზე უკეთეს ფორმაში ვართ.*

*"ირტიში" ცუდი გუნდი არ არის, მაგრამ მთავარია, საკუთარი თავის რწმენა გქონდეს. მართალია, მათ უკეთესი პირობები აქვთ, მაგრამ ყაზახების დამარცხების ძალა შეგვწევს" –* თქვა კვახაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**



ტალგატ ბაისუფინოვი

# რასაც [illegible] ამბობ, ყაზახო, არ გვატირო ესესერი

## ირტიშელები ბურთის წართმევას გვპირდებიან

პავლოდარის "ირტიშის" მთავარი მწვრთნელი **ტალგატ ბაისუფინოვი** საპრესკონფერენციო დარბაზში ქარბორბალასავით შემოვარდა, თან უჩვეულოდ სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. ჯერ ქართულად მოგვესალმა, მერე კი დაიწყო... "საიუზ ნერუშიმი":

- სიმართლე გითხრათ, მიხარია, ქართული გუნდი რომ შეგვხვდა და აქ ჩამოსვლის საშუალება მოგვეცა. საქართველო მომენატრა. რაც უნდა იყოს, ჩვენ მაინც ერთი დიადი ქვეყნის შვილები ვიყავით. ჩვენ გვყავდა ჩვენი, ყაზახური ფეხბურთის ლეგენდები, ასევე მახსენდება ვიტალი დარასელია, ალექსანდრე ჩივაძე, რომელიც ჩემი კერპი იყო, თენგიზ სულაქველიძე... გვინდა, განახოთ ახალი ყაზახური ფეხბურთი და ვიხილოთ ასევე ახალი ქართული ფეხბურთი. მინდა, შემდეგ ეტაპზე ღირსეული გავიდეს და საბჭოთა ფეხბურთი ახალ ევროპულ ფორმატში წარმოვაჩინოთ.

**- "მეტალურგზე" რა იცით?**

- ინფორმაციასაც ვფლობთ და დისკზე თამაშიც ვნახეთ, პირველ ეტაპზე მეზობლები რომ დაამარცხეთ. "მეტალურგმა" ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აღსანიშნავია, რომ გუნდში მხოლოდ ადგილობრივები თამაშობენ, რაც კლუბის დიდ პოტენციალსა და პატრიოტიზმზე მეტყველებს.

ყაზახებს ქართულ გუნდებთან ადრეც გვითამაშია და გამოცდილება გვკარნახობს, რომ ქართველებს ბურთით თამაშის საშუალება არ უნდა მისცე, რადგან უბურთოდ თამაში არ უყვართ. ისე, მძიმე მატჩი გველის, რადგან "მეტალურგს" ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს.

**- "ირტიში" ოპტიმალური შემადგენლობით ჩამოიყვანეთ?**

- ყველა მწყობრშია, მაგრამ ადამიანები ვართ და არა რობოტები, პოლონელებთან თამაშის მერე, 11 ივლისს ჩემპონატის მატჩი ვითამაშეთ და საქართველოში გამოვფრინდით. შესაძლოა, ამის გამო ფიზიკურად ცოტა გაგვიჭირდეს. 17 ივლისსაც ჩემპიონატის ტურია, 21-ში კი "მეტალურგს" ვუმასპინძლებთ.

**- თუ ასეა, მადლობა ყაზახეთის ფედერაციას, რომ არ დაგასვენათ.**

- თქვენ ხუმრობთ, ასეთი გრაფიკით თამაში კი რთულია.

**- როგორია თქვენი საფეხბურთო ფილოსოფია?**

- მე პავლოდარული ფეხბურთის აღზრდილი ვარ და ამიტომ აგრესიული, შემტევი ფეხბურთი მიყვარს, მასზე არასოდეს ვამბობ უარს. ჩემი აზრით, ყველაფერი მარტივია, გოლი უნდა გაიტანო და არ გაუშვა, ან ერთით მეტი მაინც გაიტანო. გვინდა, სანახაობრივი ფეხბურთი ვაჩვენოთ, რათა გულშემატკივრები სტადიონზე მოვიყვანოთ, მაგრამ, ცხადია, ტაქტიკას მეტოქიდან გამომდინარე ვარჩევთ. სულ კი მხოლოდ "ბარსელონა" უტევს.

**- ალბათ, ყველაფერი მაინც პავლოდარში გადაწყდება...**

- რა თქმა უნდა, ყველაფერი 21 ივლისს გადაწყდება. გვინდა, რომ ინტრიგა შენარჩუნდეს, რათა პავლოდარში ბევრი გულშემატკივარი მოვიდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# პისკოვეცმა ანორთოსისი და იმედი ჩაინიშნა

**დღეს ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „გაგრა" ფამაგუსტის „ანორთოსისს" შეხვდება. მატჩი თბილისის დროით 21:00 საათზე დაიწყება და საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ რეპორტაჟს გადმოსცემს.**

**ერთი კვირაა, საქართველოს თასის მფლობელი კვიპროსში ემზადება. "გაგრას" უსაფრთხოების ოფიცერმა მიხეილ აფხაზავამ კვიპროსული ამბები მოგვითხრო.**

## 90-იანები: თქვენ რა იცით, ჩვენ რომ ვიცით

7 ივლისს ჩამოვედით ლიმასოლში და სასტუმრო "ეპისკოპიანეში" დავბინავდით. გუშინ დელეგაციას კლუბის პრეზიდენტი ბესიკ ჩიხრაძე შემოუერთდა.

სხვათა შორის, ორი დღე პრობლემები გვქონდა: კვიპროსში სამხედრო ბაზაზე აფეთქება მოხდა, ისეთი, რომ მსხვერპლიც მოჰყვა და რამდენიმე დღე ელექტროენერგიის მიწოდება შეფერხდა. ამის გამო ორი დღე სასტუმროში კონდიციონერები გამორთეს და წარმოიდგინეთ, საშინელ სიცხეში რა მდგომარეობაში ვიქნებოდით. მოგვიბოდიშეს, მაგრამ ქართველებს უშუქობით გაგვაკვირვებდნენ?! ვუთხარით, წლების წინ ეს ჩვენთვის ჩვეული ამბავი იყო და ნუ ნერვიულობთ-თქო. ეგონათ, ვხუმრობდით, მერე კი, ჩვენი ამბები რომ მოვუყევით, ძალიან გაიოცეს

თუმცა კვიპროსში ცუდ პირობებზე წუწუნი უხერხულია, აქ ისეთი სავარჯიშო გარემოა და ისეთ მოედნებზე ვემზადებით, ნეტავი საქართველოშიც გვალირსა. თამაში თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება და ჩვენც ზუსტად ამ დროს ვივარჯიშეთ ლიმასოლის "აპოლონიას" სტადიონის ჩინებულ საფარზე, განათების ქვეშ. გვაქვს ინფორმაცია, რომ თამაშის წინ მინდორს მორწყავენ, რაც აქ მიღებული წესია, ვინაიდან მთელი დღე გაუსაძლისი სიცხეა. ამას გარდა, როგორც ჩანს, სწრაფი თამაშისთვის ემზადებიან.

რაც მთავარია, „ანორთოსისის" თავკაცებმა გვითხრეს, ელექტრომომარაგების პრობლემები სტადიონის განათებას არანაირ შეფერხებას არ შეუქმნისო.

## ვისია თემურ ქეცბაია?

კვიპროსში ჩვენ მიმართ დიდ ყურადღებას იჩენენ, პრესკონფერენციის ადრე დაწყებაც კი სურდათ, უფრო მეტი ვილაპარაკოთო. "გაგრა" კარგად დაიმახსოვრეს, ხოლო ქეცბაიას სახელი ყველას პირზე აკერია.

ვიპ-ლოჟის ასასვლელში დიდი ჰოლია, სადაც გამოფენილია ჩემპიონთა ლიგაზე გუნდის გამოსვლის სურათები. ის ფოტოც არის, თემურ ქეცბაია და ჟოზე მოურინიო ერთად რომ გადაიღეს. გეამაყება, ქართველ კაცს ამ ქვეყანაში უდიდეს პატივს რომ სცემენ.

თემური მათი კერპია. "ანორთოსისის" თამაშზე რომ მივდიოდით, ფანების ერთ-ერთი თავკაცი გამომელაპარაკა, თემური ჩვენი გმირია და საერთოდაც ჩვენიაო...

- თემური ქართველია და როდესაც თქვენთან მუშაობდა, მთელი საქართველო "ანორთოსისს" ქომაგობდა. ახლა თემური არ გყავთ და ამიტომ მოგიგებთ-მეთქი, ვუთხარი. არ გაბრაზებულა, გადამეხვია, ძალიან თბილი ხალხია...

თემური კი თან გადაგვყვა, ჯერ აეროპორტში დაგვხვდა, შემდეგ სასტუმროში გვესტუმრა, ფეხბურთელები დააიმედა... ამასვე ვიტყვი "ანორთოსისის" ყოფილ თავდამსხმელ კობა წიტაიშვილზეც.

სამწუხაროდ, დედის ორმოცის გამო თემური საქართველოში გამოფრინდა და მატჩს ველარ დაესწრება.



ფოტო: www.fcgagra.ge

## განწყობა: სენსაცია ხომ არ...

კვიპროსელები გაკვირვებულები არიან, მატჩამდე ერთი კვირით ადრე რატომ ჩამოხვედითო. თავად ჩვენს ორმხრივ თამაშზე დამკვირვებელი გამოგზავნეს, რომელსაც მთელი თამაშის განმავლობაში ტელეფონი ხელიდან არ გაუგდია.

ჩვენ კი დავესწარით "ანორთოსისის" ამხანაგურ მატჩს პლოვდივის "ლოკომოტივთან". ფანები ბევრნი არ მოსულან, მაგრამ ვინც იყო, კარს უკან დადგა და ისე ომახიანად დასცხეს და ისე იმღერეს, გაოცებული დავრჩი. ეტყობა, მატჩისას აგრესიულებიც არიან, მეორე ტაიმში ბულგარელ მეკარეს შეუტიეს, მაგრამ მალე დაწყნარდნენ.

თამაში "ანორთოსისმა" 2:0 მოიგო, უმეტესად ლეგიონერები ჰყავთ, პორტუგალიიდან, კოლუმბიიდან, საფრანგეთიდან, ჩეხეთიდან, ჰოლანდიიდან. პისკოვეცს გუნდიც მოეწონა და რამდენიმე ფეხბურთელიც, ბევრი რამ ჩაინიშნა, მაგრამ მეორე დღეს ბიჭებს განხილვაზე იმედიანად ელაპარაკა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თამაში ყველა გუნდთან შეიძლება, თუ დავალებებს შეასრულებთ, დიდი შანსია, სახლში დადებითი შედეგით გავემგზავროთო. ცხადია, უკვე მოფიქრებული აქვს, თუ როგორ უნდა ვითამაშოთ მათ წინააღმდეგ.

საბედნიეროდ, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. ალბათ, "ანორთოსისი" ყვითელი მაისურებით ითამაშებს, ჩვენ – ლურჯით. ბიჭები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულები, წასაგებად არ ჩამოვსულვართ და გვჯერა, რომ ლიმასოლში სენსაციის სუნი ტრიალებს.

■ ■ ■

გუშინ საღამოს ლიმასოლის სტადიონზე ანატოლი პისკოვეცმა პრესკონფერენცია გამართა, თბილისის დროით 21 საათზე კი ერთსაათიანი ვარჯიში ჩაატარა.

"ადონის პაპადოპულოსის" სახელობის სტადიონზე პრესკონფერენციას პისკოვეცთან ერთად გუნდის კაპიტანი **გიორგი ტყეშელაშვილიც** დაესწრო.

პისკოვეცი: „მატჩზე სათქმელი ბევრი არაფერია. კლიმატი სულაც არ არის საჩვენო. ცხელა და ეს ცუდია, მაგრამ ფეხბურთს ასეთ სიცხეშიც თამაშობენ. აქ უკვე ერთი კვირაა, რაც ჩამოვედით, გუნდმა აკლიმატიზაცია გაიარა და ბიჭების მომზადებით კმაყოფილი ვარ".

**ტყეშელაშვილი:** „ვიცით, რომ რთული თამაში იქნება, მაგრამ ვპირდებით ჩვენს ქომაგებს, რომ ბოლომდე დავიხარჯებით და ვეცდებით, სამშობლოში კარგ ხასიათზე დავბრუნდეთ".

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

## ● ინტერვიუ უცხოურ პრესაში




# ანანიძე, თამაში და წონა: მოვუმატებ, მოვიმატებ

**მიზეზთა გამო, ჯანო ანანიძე ინტერვიუზე დიდი ხანია, არავის დათანხმებია. პირველი გამოცემა, რომელთანაც ქართველმა ვუნდერკინდმა დუმილი დაარღვია, რუსული "სპორტ-ექსპრესია". ინტერვიუ საკმაოდ ვრცელია და რაკი საგაზეთო ფორმატი გვზღუდავს, მას შემოკლებით შემოგთავაზებთ.**

**- რომელია თქვენი საყვარელი ამპლუა?**

- მოედნის ცენტრში ან შეტევის მარჯვენა ფლანგზე მირჩევნია თამაში. "მუშა" ფეხიც მარჯვენა მაქვს და პირველად ყოველთვის მარჯვენა ბუცს ვიცვამ.

**- ქართული ღვინის დალევის დრო გრჩებათ ხოლმე?**

- საერთოდ არ ვსვამ.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ძველებური ტემპით ველარ პროგრესირებთ?**

- ვერ დაგეთანხმებით. საქმე ის არის, რომ თავიდან პრემიერლიგაში არავინ მიცნობდა, მერე კი ყველამ შეისწავლა ჩემი შესაძლებლობები და განსაკუთრებული ყურადღებით მეთამაშებიან. პროგრესირებას განვაგრძობ, მაგრამ საკუთარი თავისგან ყოველთვის მეტს ვითხოვ. "სპარტაკში" ახლა გაცილებით დიდი კონკურენციაა, ვიდრე ორი წლის წინ და ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი შრომაა საჭირო.

**- ალექსის წასვლამ ცოტა ხომ ამოგასუნთქათ?**

- კონკურენტები მის გარეშეც მრავლად მყავს.

**- რევაზ ჩელებაძესთან, რომელიც კარიერის აწყობაში დაგეხმარათ, ხშირად ურთიერთობთ?**

- კვირაში ერთხელ მაინც ვურეკავთ ერთმანეთს. როცა მოსკოვში ჩამოდის, ჩემს სახლში ცხოვრობს.

**- მის რჩევებს ითვალისწინებთ?**

- ბოლო დროს ჭკუას ნაკლებად მარიგებს. როცა პატარა ვიყავი, მისი რჩევები ყოველთვის მადგებოდა. ასე იყო კიევის პერიოდიდან მოყოლებული. კიევის "დინამოს" სკოლა რომ არ გამევლო, ალბათ, "სპარტაკში" ვერ მოვხვდებოდი.

**- პრესასთან ურთიერთობისგან თავის შეკავება ვინ გირჩიათ?**

- ჩემთვის არავის მოუთხოვია, ჩუმად იყავიო, მაგრამ "სპარტაკის" ხელმძღვანელობამ მირჩია, სჯობს, ცოტა ხნით პაუზა აიღოო. რთული პერიოდი იყო, გამუდმებით განიხილავდნენ ჩემი მოქალაქეობის საკითხს და ბევრი დეზინფორმაციაც გავრცელდა.

**- ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელებმა კარიერა უკვე დაასრულეს, საქართველოს ნაკრები კი პროგრესირებს. იცით ამის მიზეზი?**

- ფაქტია, რომ ჩვენი ნაკრები ასეთ შედეგიან ფეხბურთს პირველად თამაშობს. როგორც იქნა, გვყავს მწვრთნელი, რომელსაც მუშაობა უნდა, უცხოელი მწვრთნელების უმეტესობას კი ყველაზე მეტად საკონტრაქტო თანხა აინტერესებდა. ჩვენ ქართველი მწვრთნელი გვჭირდებოდა, რომელიც ქართულ მენტალიტეტსაც გაითვალისწინებდა და გუნდში დისციპლინასაც დაამყარებდა. თემურ ქეცბაიამ ამ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა.

**- 2009 წელს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს. შარშან ვის ხვდა წილად ეს აღიარება?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, 2009-ში კი ეს პატივი ლაშა სალუქვაძეს ეკუთვნოდა, რომელმაც "რუბინში" თამაშისას მესი გაანეიტრალა.

**- და ახლა ვინ იმსახურებს?**

- ალბათ, კახა კალაძე.

**- საქართველოს ჩემპიონატს თუ ადევნებთ თვალს?**

- სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ. ვიცი, რომ ჩემპიონი "ზესტაფონი" გახდა, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად კი ამ კლუბის ნახევარმცველი ბუბა დაუშვილი დაასახელეს.

**- გჭირდებათ თუ არა წონაში მომატება?**

- აუცილებლად და ბევრსაც ვცდილობ. ექიმის რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებ და კვირაში სამჯერ ტრენაჟორების დარბაზში დავდივარ. ადრე თუ გვიან, ეს შედეგს აუცილებლად მოიტანს.

**- არ გეშინიათ, რომ კუნთოვანი მასის მომატებით სისწრაფეს დაკარგავთ?**

- დარწმუნებული ვარ, ეს საფრთხე არ არსებობს.

**- რომელი ნაკლის გამოსწორება გინდათ ყველაზე მეტად?**

- მარცხენა ფეხი ძალიან სუსტი მაქვს და ამას უნდა მივხედო.

**- რომელი გამოგდით ყველაზე უკეთ – დრიბლინგი, პასი თუ დარტყმა?**

- უმჯობესია, თანაგუნდელს საგოლე პასი მისცე, ვიდრე ორ კაცს გასცდე და ბურთი დაკარგო.

**- ქართველი ფეხბურთელებიდან ვისთან მეგობრობთ?**

- ვაწაძესთან, გოგუასთან და მარცვალაძესთან.

**- როგორც ჩანს, რუსულ ენასთან დაკავშირებით პრობლემები აღარ გაქვთ.**

- მთავარია, რომ მწვრთნელის ნათქვამი მესმის, მე კი აქცენტით ვლაპარაკობ. რუსული კიევის "დინამოში" ყოფნისას ვისწავლე, მანამდე სიტყვაც არ ვიცოდი.

**- საშუალება რომ გქონდეთ, 12-ნომრიან მაისურს რომელ ნომერზე გადაცვლიდით?**

- 7-იანზე. ბავშვობაში და კიევის "დინამოში" ამ ნომრით ვთამაშობდი.

**- ამით რომელიმე ვარსკვლავს ხომ არ ბაძავთ?**

- არა, ისე კი, 7-იანით კრიშტიანუ რონალდუ თამაშობს, რომელსაც ვერავინ სჯობია.

**- მეგობარი გოგონა გყავთ?**

- მოსკოვში არა.

**- საქართველოში?**

- არც საქართველოში.

**- თავს მოსკოველად გრძნობთ?**

- არა. აქ სამი წელია ვცხოვრობ და მოსკოველობისთვის ალბათ, 20-30 წელია საჭირო.

**- თქვენი მუსიკა...**

- 15-16 წლისას მიყვარდა რეპი, რომელსაც განწყობისთვის ახლაც ხშირად ვუსმენ. ძილის წინ კი ქართული სიმღერები მირჩევნია.

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

## ● მეტოქეები

# გავიხსენოთ...

ვერაფერს ვიტყვით — მართლაც მშვენიერი განცდაა, როცა ოთხივე ქართული გუნდი ევროტურნირებში მონაწილეობას განაგრძობს; ისიც ვისურვოთ, რომ ჩვენებისთვის წლევანდელი ევროთასები რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, სულ მცირე, სამი ქართული გუნდი რომ ვიხილოთ, არავის გაუკვირდეს!

თბილისის „დინამოს", რუსთავის „მეტალურგსა" და „გაგრას" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სხვადასხვა ქვეყნის გუნდებთან მოუწევთ პაექრობა. უელსურ, კვიპროსულ და ყაზახურ კლუბებთან ბალანსს რაც შეეხება, აქ აშკარად არაერთგვაროვანი სიტუაციაა და თავადაც დარწმუნდებით, ქვემოთ მოყვანილ სტატისტიკას თუ გაეცნობით.

### ტკბილი მოგონებები

ქართული გუნდებიდან ევროტურნირებზე ყველაზე მეტი მატჩი თბილისის „დინამოს" აქვს ჩატარებული. ეგ კი არა, 1994 წლიდან მოყოლებული, ევროთასებს ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდის გარეშე არ ჩაუვლია, თუმცა ამ 17 წლის განმავლობაში „დინამო" არასდროს შეხვედრია უელსურ კლუბებს. და აი, „ლანელისთან" დაპირისპირების დროც დადგა, სადაც აშკარა ფავორიტის სტატუსი სწორედ „დინამოს" აქვს და, წესით, თბილისელებს მომდევნო ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ. ისე, ევროტურნირებზე ქართული და უელსური კლუბების გზები ერთხელ უკვე გადაიკვეთა, მაგრამ იმ დროს „დინამო" საბჭოთა კავშირის სახელით ასპარეზობდა — 1976 წელს თასების მფლობელთა თასის 1/16-ფინალის ორმატჩიან დაპირისპირებაში „კარდიფ სიტის" რომ სძლია. პირველი შეხვედრა 15 სექტემბერს ჩატარდა და უელსური კლუბის გამარჯვებით (1:0) დამთავრდა. ორი კვირის მერე გამართული განმეორებითი მატჩი კი დინამოელთა სრული უპირატესობით წარიმართა და **ნოდარ ახალკაცის** შეგირდებმა ბრიტანელთა კარში სამი უპასუხო ბურთი (**ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, ფირუზ კანთელაძე**) გაიტანეს. 1976 წლის 29 სექტემბერს ჩატარებული ეს შეხვედრა იმითაც იყო გამორჩეული, რომ იმ დღეს „დინამოს" სტადიონი გაიხსნა და 90 000 გულშემატკივრის თვალწინ დინამოელებს, უბრალოდ, უფლებაც არ ჰქონდათ „სხვანაირად" ეთამაშათ...

### გამოცდილების ფაქტორი

„გაგრა" ევროთასების დებიუტანტია და ქართული გუნდებიდან, ალბათ, ყველაზე მეტად არ გაუმართლა — სხვა მეტოქეებისგან განსხვავებით, კვიპროსული „ანორთოსისი" ევროპის საკლუბო ტურნირებზე, ფაქტობრივად, ყოველწლიურად ასპარეზობს, გამოცდილებას კი, მოგეხსენებათ, დიდი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ კი, ქართული და კვიპროსული გუნდები ევროტურნირებზე არასდროს შეხვედრიან.

### უსიამოვნო სტატისტიკა

რუსთავის „მეტალურგს" ჩინებული შანსი აქვს, რომ ქართულ-ყაზახური კლუბების დაპირისპირებაში არსებული ბალანსი მცირედით მაინც შეცვალოს. მართლაც უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ევროტურნირებზე ყაზახურ გუნდებს სამჯერ შევხვდით და მომდევნო ეტაპზე სამივეჯერ ყაზახები გავიდნენ! ევროტურნირებზე ყაზახებს პირველად 2007 წელს შევხვდით და რუსთავის „ოლიმპისა" და „ასტანას" დაპირისპირებაში ყაზახებმა იმარჯვეს: აქაური მატჩი ნულოვანი ფრით დამთავრდა, ყაზახეთში კი მასპინძლებმა 3 უპასუხო ბურთი გაიტანეს. სხვათა შორის, „მეტალურგისა" და „ირტიშის" დღევანდელ მატჩში იმ ფეხბურთელებსაც ვიხილავთ, ოთხი წლის წინ „ოლიმპისა" და „ასტანას" შეხვედრებში რომ მონაწილეობდნენ: **მიხეილ მახვილაძეს, სერგი ორბელაძეს, რევაზ გეწაძეს, ალექსანდრ კუჩმას.** „ოლიმპი" და „ასტანა" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე შეხვდნენ, მანამდე კი ყაზახებისგან მარცხის სიმწარე უკვე ნანვნევი გვქონდა. „ზესტაფონი" პირველად მონაწილეობდა ევროტურნირზე და სადებიუტო მატჩი სტუმრად „ტობოლთან" დიდი ანგარიშით (0:3) წააგო. განმეორებითი შეხვედრა ჩვენებმა კარგად დაიწყეს და პირველ ტაიმში ორი ბურთიც გაიტანეს, მაგრამ შესვენების შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა და მომდევნო ეტაპზე ყაზახები გავიდნენ.

იმედგაცრუება გველოდა შარშანაც: რუსთავის „ოლიმპი" მეორედ თამაშობდა ჩემპიონთა ლიგაში და საკვალიფიკაციო ეტაპზე კვლავაც ყაზახურ გუნდს გადაეყარა. „აქტობე" ბევრად უფრო მაღალი კლასის გუნდი იყო, ვიდრე „ასტანა" ან „ტობოლი", თუმცა მასთანაც შეიძლებოდა თანაბრად თამაში, რომ არა „ოლიმპის" მორიგი საკადრო უცნაურობა: რუსთაველთა გუნდის საჩემპიონო შემადგენლობიდან ევროტურნირებისთვის მხოლოდ 4 ფეხბურთელილა იყო შემორჩენილი (**გიორგი რეხვიაშვილი, თემურ ლონლაძე, დენის დობროვოლსკი, გიორგი ჭედია**), დანარჩენები კი ახალწვეულები იყვნენ! ასეა თუ ისე, „აქტობემ" შინ „ოლიმპი" 2:0 დაამარცხა, მეორე შეხვედრაში კი სასურველ შედეგს (1:1) მიაღწია (მეორე ტაიმში სტუმრებმა, ფაქტობრივად, ცალკარა ითამაშეს — იმხელა უპირატესობა ჰქონდათ) და მომდევნო ეტაპზეც გავიდა. მართლაც უცნაური მატჩი იყო: პირველი ტაიმის შემდეგ „ოლიმპი" 1:0-ს იგებდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ჩვენი გუნდის ნაცვლად შეტევას შეტევაზე... სტუმრები ახორციელებდნენ და აქტიური თამაში ბოლოს დაუფასდათ კიდეც.

**გია ტუხაშვილი**



2007 წლის 17 ივლისი. ოლიმპი-ასტანა 0:0

### ჩვენ და ყაზახები

ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

**ოლიმპი (რუსთავი)–ასტანა 0:0**

17.07.2007. რუსთავი. ფოლადი. 4000 მაყურებელი

ოლიმპი: მერლანი-მახვილაძე, ჭიჭველშვილი, ორბელაძე, ნავალოვსკი — აკუასაგა, სილაგაძე (66. კოშკაძე), ჟივკოვიჩი (46. ჯიქია), გეწაძე-დვალიშვილი, დვალი (56. მასუანგა).

გაფრთხილება: დვალი, გეწაძე; ტოდოროვი, ჟალმაგამბეტოვი, ჩიჩულინი, კუჩმა.

არბიტრი: მ. ბორსკი (პოლონეთი)

**ასტანა–ოლიმპი 3:0**

24.07.2007. ასტანაი. ცენტრალური. 4000 მაყურებელი

1:0 კუჩმა (12), 2:0 ტლეხუგოვი (55), ჟალმაგამბეტოვი (84)

ოლიმპი: მერლანი-მახვილაძე, ჭიჭველშვილი (51. დვალი), ორბელაძე, ნავალოვსკი-აკუასაგა, სილაგაძე, ჟივკოვიჩი, ქებაძე (66. კოშკაძე)-კახელიშვილი (70. დვალიშვილი), ჯიქია

გაფრთხილება: ტოდოროვი, ბოიჩენკო; სილაგაძე

გაძევება: ჯიქია

არბიტრი: ვ. ბანარი (მოლდოვა)

### ინტერტოტოს თასი

**ტობოლი–ზესტაფონი 3:0**

23.06.2007. ასტანაი. ცენტრალური. 6500 მაყურებელი

1:0 ჟუმასკალიევი (61), 2:0 ბალტიევი (63), 3:0 ბაკაევი (73)

ზესტაფონი: ჭანტურია-საჯაია, თოდუა, სანტოსი (35. გ. ჩხეტიანი), რ. ონიანი-ჟონატასი (46. ნ. კვასხვაძე), კესანი, კ. ჩხეტიანი, გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, ვიეირა (70. სანაია)-ფიფია

გაფრთხილება: ხარაბარა; საჯაია, რ; ონიანი.

არბიტრი: მ. იუგი (სლოვენია)

**ზესტაფონი–ტობოლი 2:0**

30.06.2007. თბილისი. მიხეილ მესხი. 1500 მაყურებელი

1:0 საჯაია (3), 2:0 კ. ჩხეტიანი (37)

ზესტაფონი: ჭანტურია-საჯაია, სანტოსი, თოდუა, რ. ონიანი,-ნ. კვასხვაძე, ბენაშვილი (60. ჟონატასი), კესანი, კ. ჩხეტიანი, ვიეირა (90. შ. ლონლაძე)-ფიფია

გაფრთხილება: საჯაია, ფიფია; ბალტიევი, ოსტაპენკო.

არბიტრი: ვ. სვილიკოში (ხორვატია)

### ჩემპიონთა ლიგა

II საკვალიფიკაციო ეტაპი

**აქტობე–ოლიმპი (რუსთავი) 2:0**

14.07.2010. აქტობე. „ორტალიკი". 10 000 მაყურებელი

1:0 სმაკოვი (40, პენალტით), 2:0 სმაკოვი (53)

ოლიმპი: ბედიაშვილი-თ. ლონლაძე, კვახაძე, რეხვიაშვილი, ქემოკლიძე-გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (86. დოლიძე), რაზმაძე, ბოლქვაძე (75. ხიდეშელი), გეწაძე-ჭედია (56. დობროვოლსკი), მოდებაძე.

გაფრთხილება: ლონლაძე

არბიტრი: ბ. ილდირიმი (თურქეთი)

**ოლიმპი–აქტობე 1:1**

21.07.2010. რუსთავი. ფოლადი. 4200 მაყურებელი

1:0 რეხვიაშვილი (30), 1:1 ტლეშევი (90)

ოლიმპი: ბედიაშვილი (79. ბათიაშვილი)-თ. ლონლაძე, კვახაძე, რეხვიაშვილი, ქემოკლიძე-გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (68. დოლიძე), რაზმაძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, გეწაძე (53. ჭედია)-მოდებაძე

გაფრთხილება: ქემოკლიძე, დობროვოლსკი; კარპოვიჩი, ხაირულინი, გოლოვსკოი, ბა, ბონო

არბიტრი: ა. დეაფონუ (რუმინეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. მოსამზადებელი შეკრების შემდეგ

# დონ იუპის მოწინავე მოწაფეები

## ჰაინკესმა დაცვის ახალ ბურჯად, გაგიკვირდებათ და... ვან ბუიტენი დაასახელა!

**მიუნხენის „ბაიერნი“ იტალიური შეკრებიდან დაბრუნდა. ბავარიელებმა ტრენტინოში 14 დღე გაატარეს და როგორც რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი ამბობს, შეკრება საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. „კიკერმა“ „ბაიერნის“ შეკრება შეაჯამა და ის ფეხბურთელები ჩამოთვალა, რომლებმაც იტალიაში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს. ჩვენც ვნახოთ, რომელი მოთამაშეები არიან საუკეთესო ფორმაში.**

პირველი, რაზეც ჩვენი გერმანელი ჟურნალისტები ამ ორი კვირის განმავლობაში „ბაიერნის“ შესახებ წერდნენ, ის იყო, რომ რეკორდმაისტერში ყველა კარგ ხასიათზეა. ეს კი მიუნხენური გრანდის ფანებს ძალიან კარგად ენიშნათ – სეზონის წინ სიმსუბუქე და უწნეხობა „ბაიერნს“ ძალიან კარგად აქვს დაცდილი. გარდა ჩინებული განწყობისა, იტალიური შეკრებიდან დაბრუნებულ „ბაიერნზე“ „კიკერის“ კორესპონდენტი იმასაც წერს, რომ **იუპ ჰაინკესის** ხელში, 2011/2012 წლების სეზონის კარიბჭესთან მდგარი რეკორდმაისტერი ჰარმონიული, დისციპლინირებული და მოტივირებული გუნდია. რაც შეეხება ფეხბურთელებს: აი, ის მოთამაშეები, რომლებიც „კიკერმა“ გამოარჩია და რომლებიც, ხსენებული გამოცემის ჟურნალისტის მტკიცებით, ახალ სეზონს ყველაზე უკეთეს ფორმაში ხვდებიან.



დანიელ ვან ბუიტენი და იუპ ჰაინკესი

### მანუელ ნოიერი

ტრენტინოს ნაკრებთან ამხანაგური მატჩის დროს 30 ულტრასის მიერ გადმოფენილმა **ნოიერის** საწინააღმდეგო პლაკატმა „ბაიერნში“ სიტუაცია კი დაძაბა, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ფანების ამ გამოხტომას თვითონ მეკარეზე, რომელშიც ბავარიელებმა 25 მილიონი ევრო გადაიხადეს, დამთრგუნველად არ უმოქმედია. „ემოციური მინისძვრა“ რეკორდმაისტერში იმით დამთავრდა, რომ ხელმძღვანელებმა თქვეს, ასეთი გულშემატკივრები ჩვენთვის მიუღებელნი არიან – ვინც ნოიერს ბაიერნელად არ მიიღებს, ის მთელი „ბაიერნისთვის“ მიუღებელი იქნებაო. თავად მანუელმა კი თქვა, რომ პლაკატი, რომელიც ულტრასებმა გადმოუფინეს, მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა მეკარემ იქვე დასძინა, ეს პრობლემა არ არის მანამდე, სანამ მხოლოდ 30 კაცი ფიქრობს ასეო.

ზოგადად, მანუელი შეკრებაზე ძალიან კარგად წარმოჩინდა. ვარჯიშებზე უდიდესი მონდომება ეტყობოდა და მისთვის დამახასიათებელი სეივებიც უხვად აკეთა. თუმცა ბავარიელთა ფრანგი გარემარბი **ფრანკ რიბერი** ამბობს, მანუელს ჯერ კიდევ ცოტათი ეტყობა, რომ თავს უცხოდ გრძნობს – ჯერ კიდევ მორცხვობსო.

### ფრანკ რიბერი

სულ სხვანაირად მოტივირებული ჩანდა თვითონ რიბერიც, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი ყატართან ტესტ-მატჩის (4:2) შემდეგ გახლდათ – იმ შეხვედრაში ფრანგს კაპიტნის სამკლავური ეკეთა და ამით ძალიან ამაყობდა. 28 წლის დრიბლიორი არ მალავს, რომ თავს ახლა გაცილებით უკეთ გრძნობს, ვიდრე შარშან, ან შარშანწინ.

*„ახლა ზედმეტ რაღაცებზე აღარ ვფიქრობ და მხოლოდ ფეხბურთზე ვარ კონცენტრირებული. ვან გაალის ხელში ბაიერნელობა ნაკლებად მიხაროდა, ახლა კი ძალიან ბედნიერი ვარ,“* - ამბობს რიბერი. როგორც ჩანს, მისი მთავარი პრობლემა სწორედ ჰოლანდიელი სპეციალისტი იყო, რომლის ხელშიც რიბერიმ ვერა და ვერ აჩვენა ის, რაც შეუძლია. ახლა კი ისიც მსუბუქადაა, ძველებურად ხშირად ხუმრობს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს მუდმივად ესაუბრება და ვარჯიშებსა თუ ტესტმატჩებში ბოლომდე იხარჯება. მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწვრთნელის შეცვლამ ყველაზე უკეთ სწორედ ფრანკ რიბერიზე იმოქმედა.

### ივიცა ოლიჩი

ხორვატ თავდამსხმელს ფაქტობრივად მთელი წელი გაუცდა – უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ: 7 თვე ფეხბურთი არ უთამაშია. ამიტომაც იყო, ექსპერტების უმრავლესობას და თვითონ **ოლიჩსაც** ეჭვი რომ ეპარებოდათ – მოახერხებდა კი ის სრულფასოვნად დაბრუნებას და ფორმის აღდგენას? მაგრამ ხომ იცით, როგორი შრომისმოყვარეა – ივიცა დაბრუნდა და შეიძლება ითქვას, შეკრებაზე სენსაციურად კარგად გამოიყურებოდა. მან თითქმის ყველა ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა, ყატარს გოლიც გაუტანა და ექიმებთან ერთად, ჰაინკესიც აღფრთოვანებულია – ოლიჩი დაბრუნდა, მომავალ სეზონში მისი იმედიც უნდა გვქონდესო.

### ნილს პეტერსენი

მართალია, მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირობა ცოტას არ ნიშნავს, მაგრამ როცა მოკრძალებული „კოტბუსიდან“ პირდაპირ მიუნხენის „ბაიერნში“ აღმოჩნდები, ცხადია, თავს ისე ვერ გრძნობ, როგორც თევზი წყალში.

*„ბაიერნი“ ისეთი გუნდია, რომელიც თითოეულ ვარჯიშზეც კი მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. „კოტბუსში“ ვარჯიშის დროს მხოლოდ ორ რამეზე ვაკეთებდით აქცენტს: სირბილსა და ბრძოლისუნარიანობაზე, აქ კი იმდენ რამეს ვაკეთებ, რომ უკვე სათვალავი ამერია,“* - ამბობს პეტერსენი, რომლისთვისაც „ბაიერნი“ ახალი, სულ სხვა, მანამდე არნახული სამყაროა. ორ ტესტმატჩში 4 გოლის გატანა ცოტას არ ნიშნავს და ჰაინკესს რომ ჰკითხოთ, ეს შემთხვევითობა არ ყოფილა. *„ნილსი ძალიან კარგად გამოიყურება. ის ჩამოყალიბებული, მაღალი კლასის თავდამსხმელია, რომელიც თავის შესაძლებლობებს „ბაიერნშიც“ დაამტკიცებს და ორი წლის შემდეგ ოთხჯერ ძვირი ეღირება,“* - ამბობს დონ იუპი პეტერსენზე.

### ჰოლგერ ბადშტუბერი

ეს უკანასკნელი ორი წლის წინ ვან გაალმა აღმოაჩინა და **ბადშტუბერი** მაშინ გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხეს. დღეს უკვე 22 წლის ჰოლგერი სადებიუტო სეზონში მართლაც კარგი იყო – იმდენად კარგი, რომ გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდა, აი, გასული სეზონი კი აშკარად ჩააგდო. ეს უფრო მეორე წრეზე ითქმის, როცა ბადშტუბერი უკვე ძალიან ცუდად თამაშობდა, რის გამოც რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დაკარგა.

*„ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. გასული სეზონი მართლაც უმძიმესი იყო როგორც ჩემთვის, ისე მთელი გუნდისთვის, მაგრამ წარსულზე ფიქრიც კი აღარ მინდა. ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველოდები,“* - ამბობს ბადშტუბერი.

რაც ყველაზე საინტერესოა, მას ჰაინკესიც ენდობა და აფასებს. ჰოლგერს კი არც ის აშინებს, ბავარიელები ახალი ცენტრალური მცველის ყიდვას რომ აპირებენ – ჩემი საქმის მე ვიცი, სასტარტო შემადგენლობისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებო.

### დანიელ ვან ბუიტენი

სხვათა შორის, იმავეს ამბობს ბავარიელთა მეორე მცველი **დანიელ ვან ბუიტენიც** და როგორც ჩანს, ჰაინკესი მასზე უფრო აკეთებს აქცენტს, რადგან 66 წლის მწვრთნელმა მომავალი სეზონისთვის რეკორდმაისტერის დაცვის ბურჯად სწორედ აყლაყუდა ბელგიელი დაასახელა. როგორც იცით, ჰაინკესს „ლევერკუზენშიც“ ძალიან მაღალი და გამოცდილი ცენტრალური მცველი ჰყავდა უკანა ხაზის შეფად (**სამი ჰიიპია**).

*„ვან ბუიტენი ძალიან გამოცდილი ფეხბურთელი და ნაღდი პროფესიონალია. ამასთან, ის მაღალი კლასის მცველი და შესანიშნავი ადამიანია. ჩემი აზრით, ერთადერთი, რაც მას სჭირდება, მწვრთნელის ნდობაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვან ბუიტენი ჩემგან ნდობას მიიღებს. თუკი დაცვაში მთელი გუნდი ისე ითამაშებს, როგორც საჭიროა, დანიელ ვან ბუიტენი დაცვის იდეალური ბურჯი იქნება,“* - აცხადებს ჰაინკესი „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

საერთო ჯამში, „დონ იუპი“ მოსამზადებელი შეკრებითა და ფეხბურთელების ფორმით კმაყოფილია და მიზნებსაც სერიოზულს ისახავს: *„ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რომელიც ახლა კარგად ორგანიზებულიც იქნება. ჩვენი მიზანი გერმანიის ჩემპიონობა და გერმანიის თასის მოგებაა. ჩემპიონთა ლიგაში კი მინიმუმ ნახევარფინალში გასვლა მინდა.“*

ფინალი კი მიუნხენში უნდა გაიმართოს...

შალკე



რალფ რანგნიკი და რაული

# რაულის პრობლემა

## რანგნიკს ესპანელი თავდამსხმელად არ მოსწონს

**ფელიქს მაგათის** მთავარი მწვრთნელისა და მენეჯერის პოსტებიდან გათავისუფლების შემდეგ, სამ თვეზე მეტი არ გასულა და „შალკეში“ ისევ დაძაბული, ფეთქებადი სიტუაციაა. ახალი მწვრთნელი, 53 წლის **რალფ რანგნიკი** უკმაყოფილოა იმით, რომ ხელმძღვანელები ტრანსფერებისთვის იმდენ ფულს არ აძლევენ, რამდენსაც ითხოვს და „პროფესორ რალფს“ რაულის სახითაც პრობლემა შეექმნა.

საქმე იმაშია, რომ 34 წლის ესპანელი თავს ყველაზე უკეთ მაშინ გრძნობს, როცა თავდამსხმელის პოზიციაზე ათამაშებენ, რანგნიკი კი მის ადგილს გამთამაშებლის პოზიციაზე, 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში ცენტრალური შემტევის რანგში ხედავს. რალფი ამბობს, ორი თავდამსხმელითაც რომ ვთამაშობდეთ, ფორვარდებად მაინც რაულზე უფრო სწრაფი ფეხბურთელები მჭირდებაო. როგორც ჩანს, რალფს რაულის სისწრაფე არ აკმაყოფილებს.

*„ახალი ფორვარდი მჭირდება, რომელიც აუცილებლად სწრაფი უნდა იყოს – ისეთი, კონტრშეტევებზეც რომ გამოგვადგეს. გასულ სეზონში მხოლოდ ერთი ასეთი შემტევი გვყავდა – ჯეფერსონ ფარფანი. მინდა, რომ ახალ სეზონში მინიმუმ კიდევ ერთი ასეთი თავდამსხმელი მყავდეს,“* - ამბობს რანგნიკი.

დავუბრუნდეთ რაულს, რომელიც გაბრაზებული ჩანს. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ ესპანელმა 1000 ქომაგთან ერთად გუნდური ფოტოს გადაღება სწორედ იმის გამო გააცდინა, რომ რანგნიკზეა განაწყენებული. თუმცა ვეტერანი ესპანელი რანგნიკის ერთადერთი პრობლემა როდია. მომავალ კვირაში „შალკეში“ 29 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი** დაბრუნდება, რომელიც გასულ სეზონში „ბლექბერნში“ იყო განათხოვრებული. ცნობილია, რომ აშშ-ის ნაკრების ნახევარმცველს ფეთქებადი ხასიათი აქვს და მწვრთნელებს ყოველთვის ნერვებს უშლის, თუკი ისინი მას არ ათამაშებენ. რანგნიკს კი ნათქვამი აქვს, რომ ჯონსი არ სჭირდება.

შტუტგარტი

# 8-მილიონიანი გაუგებრობა

## შვაბებმა ჩიპრიან მარიკა მოიშორეს

„შტუტგარტის“ ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა აევსოთ და როგორც მოსალოდნელი იყო, რუმინელ თავდამსხმელ **ჩიპრიან მარიკას**, რომელმაც გერმანულ კლუბში იმედები ვერა და ვერ გაამართლა, 2012 წლის 30 ივნისამდე გაფორმებული კონტრაქტი ნაადრევად გაუწყვიტეს. შესაბამისად, რუმინელი უფასოა, თუმცა „შტუტგარტისთვის“ არც ეს წარმოადგენს პრობლემას, რადგან შვაბები რუმინელს 2.5 მილიონი ევროს სახით, წელიწადში ძალიან მაღალ ხელფასს უხდიდნენ. „შტუტგარტის“ სპორტული დირექტორი **ფრედი ბობიჩი** ამბობს, ჩიპრიანს ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებო.

შეგახსენებთ, რომ მარიკა, რომელიც წლის დასაწყისში მთავარ მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას** ეჩხუბა, „შტუტგარტში“ 2007 წლიდან თამაშობდა. ოთხი წლის წინ შვაბებმა დონეცკის „შახტარს“ მის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაუხადეს და რუმინელმა ამ თანხიდან ერთი მილიონის საქმეც კი ვერ გააკეთა. ბუნდესლიგის 93 მატჩში მის ანგარიშზე მხოლოდ 19 გოლია, რაც, დაგვეთანხმებით, ცენტრფორვარდისთვის ძალიან ცუდი შედეგია. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას 25 წლის თავდამსხმელი.



ჩიპრიან მარიკა თავისუფალი აგენტი გახდა

ამბები

### როსტი ნიუ იორკში წავიდა

„ჰამბურგის“ ყოფილი მეკარე, ვეტერანი **ფრანკ როსტი** კარიერას აშშ-ში, კერძოდ, ნიუ იორკის „რედ ბულში“ გააგრძელებს. ეს ცნობა გუშინ ოფიციალურად თვითონ ფეხბურთელმა დაადასტურა და ისიც თქვა, რომ მომავალ შაბათს, მორიგ კალენდარულ მატჩში, უკვე დაიცავს ახალი გუნდის ღირსებას. შეგახსენებთ, რომ 37 წლის როსტს „ჰამბურგმა“ სეზონის დასრულების შემდეგ ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმა. „ჰამბურგამდე“ როსტი „შალკეს“ და ბრემენის „ვერდერის“ ღირსებას იცავდა. ნიუ იორკის „რედ ბულში“ მას ისეთი ცნობილი თანაგუნდელები ეყოლება, როგორებიც არიან ფრანგი **ტიერი ანრი** და მექსიკელი **რაფაელ მარკესი**.

### დორტმუნდმა სენტ გალენი გაანადგურა

გერმანიის მოქმედი ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია“ ახალი სეზონის წინაც ძალიან კარგ ფორმაშია, რაც დორტმუნდელებმა შვეიცარიულ „სენტ გალენთან“ ამხანაგურ მატჩში დაადასტურეს – „ბორუსიამ“ „სენტ გალენი“ 6:1 გაანადგურა. 10 338 მაყურებლის თვალწინ, მცველმა **მატს ჰუმელსმა** და თავდამსხმელმა **რობერტ ლევანდოვსკიმ** დუბლები შეასრულეს, თითო გოლი კი **კევინ გროსკროიტცისა** და **მარიო გიოტცეს** ანგარიშზეა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი დაპირისპირება

# ბრძოლა სიკვდილამდე

ნაწილი მესამე (დასასრული)

**დღეს გთავაზობთ მასალის ბოლო ნაწილს. პირველ ორში "პარი სენ-ჟერმენისა" და "ოლიმპიკის" ურთიერთშეხვედრების ძველ ისტორიებს შევეხეთ. ახლა კი მოგიყვებით იმაზე, თუ რა ხდებოდა მათ შორის ბოლო წლების განმავლობაში.**

1987/88 წლების სეზონში მათი დაპირისპირება ასე დამთავრდა, 1:1 პარიზში და 2:1 მარსელში სტუმართა სასარგებლოდ. საერთო ჯამში ის არაფრით გამორჩეული არ ყოფილა – რალაცით უცნაურ სიმშვიდეს ჰგავდა დიდი ქარიშხლის წინ. 1988/89 წლების სეზონი გუნდებმა უმაღლეს დონეზე ჩაატარეს – მთელი სატურნირო დისტანცია ერთმანეთის უშუალო კონკურენტის რანგში გაატარეს. ბოლოს კი ყველაფერი 35-ე ტურში, 1989 წლის 5 მაისს "ველოდრომზე" გამართულმა შეხვედრამ გაარკვია (პირველ წრეში "პარკ დე პრენსზე" მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა). სამხრეთ საფრანგეთში ნამდვილი დრამა გათამაშდა და ეს სულაც არ იყო გასაკვირი, მინდორზე ხომ უშუალო კონკურენტები ჩემპიონის ვინაობას არკვევდნენ. მასპინძლების მოტივაცია მით უფრო გასაგები იყო, რომ პარიზელები მათ ქულით უსწრებდნენ და უსიკვდილოდ გამარჯვება სჭირდებოდათ. და მათ ეს გააკეთეს **ფრანკ სოზეს** არანორმალური შორეული ძლიერი დარტყმის წყალობით. სულ რამდენიმე დღეში ჯერ "ტულონისა" და შემდეგ "ოსერის" დამარცხების შემდეგ **ჟერარ ჟილის** გუნდმა ჩემპიონობა მოიპოვა. აღნიშნულმა შეხვედრამ გულშემატკივართა შორის არსებული ისედაც რთული ურთიერთობები კიდევ უფრო გააფუჭა.

მომდევნო სეზონში გუნდებს შორის ისეთი არაფერი ხდება, აღნიშვნად რომ ღირდეს. მასპინძლებმა თავიანთი შეხვედრები ერთნაირი ანგარიშით 2:1 მოიგეს. "ოლიმპიკმა" ზედიზედ მეორედ მოიგო ოქროს მედლები, ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად პსჟ მისი უშუალო კონკურენტი აღარ ყოფილა. პარიზელები მე-6 ადგილამდე დაეშვნენ. 1990/91-ის სეზონში "მარსელმა" მესამე ოქრო მოიგო. პარიზი კიდევ უფრო ქვემოთ დაეშვა - მე-9 ადგილზე და თანაც სამხრეთელებთან ორივე შეხვედრა წააგო (2:1, 1:0). ისინი ერთმანეთს თასის გათამაშებაშიც გადაეყარნენ და აქაც "ოლიმპიკმა" იმძლავრა – 2:0. 1992 წელს "მარსელმა" ზედიზედ მეოთხე ოქრო მოიგო, თუმცა "პარი სენ-ჟერმენმაც" მშვენიერი სეზონი ჩაატარა და ჩემპიონატი ვერცხლის მედლით დაასრულა. ურთიერთშეხვედრებში კი გუნდებმა ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს - შედეგად ორი ნულოვანი ფრე. 1992/93 წლების სეზონი მართლა ოქროს ხანა იყო "ოლიმპიკის" ისტორიაში. ამას ისიც მოწმობს, რომ პროვანსმა მოიპოვა ზედიზედ მეხუთე ოქრო, ამას გარდა გახდა პირველი ფრანგული კლუბი, ვინც ჩემპიონთა ლიგა მოიგო (და არამხოლოდ ლიგა, ზოგადად ევროთასი), რაც შეეხება დედაქალაქთან დაპირისპირებას, **რაიმონ გუტალსის** შეგირდებმა მეტოქე ორჯერვე დაამარცხეს 3:1, 1:0. "მარსელი" ფორმისა და დიდების პიკში იყო, როცა ჩემპიონის ტიტული გააუქმეს და თამაშის მოსყიდვის გამო ქვედა ლიგაში დააქვეითეს, სადაც გუნდმა ორი წელიწადი გაატარა.

1993/94 წლების სეზონში უმთავრესი ფავორიტის გარეშე დარჩენილმა ჩემპიონატმა ფიანდაზები პსჟ-ს დაუგო. მათდა სამწუხაროდ, ეს იყო მეორე და ჯერჯერობით უკანასკნელი საჩემპიონო ტიტული კლუბის არსებობის ისტორიაში. ჯერ კიდევ მეორე დივიზიონის წევრი "ოლიმპიკი" მეტოქეს თასის 1/2-ფინალურ ეტაპზე გადაეყარა. ამ დროს პსჟ მხოლოდ ფრანგული კი არა, მსოფლიო ფეხბურთის გრანდი იყო. მით უფრო, რომ დაპირისპირება ერთმატჩიანი იყო და ის "პარკ დე პრენსზე" შედგა. შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით 2:0 დასრულდა. სტუმარს იმ შეხვედრაში შანსი არ ჰქონია. "მარსელს" ელიტაში დაბრუნებისთანავე (1996/97) არ გამოუვიდა მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა. პირველი სეზონი მან მე-11 ადგილზე დაასრულა, თუმცა გულის მოსაფხანად ის ეყო, რომ მეტოქეს პირად შეხვედრებში (1:0, 0:0) აჯობა. 1997/98 "პარი სენ-ჟერმენმა" მთლიანად ჩააგდო – მე-8 ადგილი ჩემპიონატში. მასზე სულ რაღაც 7 ქულით მეტი დააგროვა, მაგრამ მე-4 ადგილზე გავიდა და ევროთასებს დაუბრუნდა "მარსელი". პირად შეხვედრებში სტუმრებმა 2:1 მოიგეს პარიზში (გამარჯვების გოლი **ლორან ბლანმა** გაიტანა), შინ კი მეტოქეები უგოლოდ დაშორდნენ.

1998/99 წლების სეზონი "ოლიმპიკმა" ისევ ძველებურად დააქუხა და საჩემპიონო ოქროსთვის შეიმართა. ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე **ლორან კურბისის** ბიჭებს "პარკ დე პრენსზე" ჰქონდათ სათამაშო... პსჟ ისევ უმოტივაციო იყო, მას უკვე აღარ აწუხებდა რამე ამბიცია. პროვანსელები კი ლიდერ "ბორდოს" სულ რაღაც 1 ქულით ჩამორჩებოდნენ. სტუმარმა ყინჩად დაიწყო და **ბერნარ ლამას** კარზე შეტევები მიიტანა. 21-ე წუთზე გოლი ექსპარიზელ **ფლორიან მორისს** გააქვს, მართალია შეტევათა ტემპი არ დაცემულა, მაგრამ გულშემატკივარმა მეტი გოლი შესვენებამდე ველარ იხილა. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ყველაფერი ძველებურად იყო, მაგრამ... გულშემატკივართა მხრიდან მხარდაჭერილმა ფეხბურთელებმა შეძლეს და თამაშის ბედი შემოატრიალეს, ჯერ **მარკო სიმონემ** გაიტანა, შემდეგ კი **ბრუნო როდრიგესმა**. სამხრეთელებმა ვერ შეძლეს გონს მოსვლა - რამდენიმე დღეში "ოლიმპიკმა" "პარმასთან" უეფას თასის ფინალიც დათმო - 3:0. მიუხედავად მარცხისა, ჩემპიონობა ისევ შეიძლებოდა, მაგრამ მათი ბედი (ბედის დაცინვაა თუ რა, ვერ გეტყვით) პსჟ-ზე იყო დამოკიდებული, რომელსაც ბოლო ტურში "ბორდოსთვის" უნდა ემასპინძლა. თუკი მასპინძელი ამ შეხვედრასაც მოიგებდა და მას "მარსელიც" მიბაძავდა (მან თავისი მოსაგები მოიგო "ნანტთან" 1:0), ჩემპიონი სწორედ ეს უკანასკნელი ხდებოდა. "პარკ დე პრენსზე" უცნაური რამ ხდებოდა. გულშემატკივარმა პირდაპირი მნიშვნელობით აიძულა თავისი გუნდი დამარცხებულიყო - 2:3. და გულშემატკივართა შორის რაღა ურთიერთპატივისცემაზე უნდა ვილაპარაკოთ ამის შემდეგ?

"მარსელმა" მომდევნო სეზონი საშინლად დაიწყო და დაამთავრა, მაგრამ დედაქალაქელები პირად შეხვედრებში კი იოლად დაჩაგრა 4:1, 2:0. სამაგიეროდ ამ უკანასკნელმა მთლიანად ჩემპიონატი ღირსეულად ჩაატარა და მე-2 ადგილზე დაასრულა.

საინტერესო იყო ამ გუნდების დაპირისპირება 2002/03 წლებშიც. დედაქალაქმა ორივე შეხვედრაში დაამარცხა მეტოქე, თანაც ორჯერვე 3:0. "ველოდრომზე" გამანადგურებელ მარცხში მთავარი როლი მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა **რონალდინიომ** ითამაშა, რომელმაც მხოლოდ ერთხელ გაიტანა, მაგრამ საუკეთესო კი იყო მინდორზე. არანაკლები დღე დააყენა პსჟ-მ მეტოქეს მომდევნო წელსაც, როცა ჩემპიონატში ორივე შეხვედრაში დაამარცხა და თასის გათამაშებიდანაც გამოაგდო. ეს უკვე ზედიზედ მე-6 მარცხი იყო დედაქალაქელებთან. მე-7 მათ ისევ და ისევ პარიზში ელოდათ. 7 წაგება ყველაზე ხანგრძლივი მოგებათა სერიაა "ლა კლასიკში". პროვანსელებმა ამის შემდეგ კიდევ 2 მატჩი ვერ მოიგეს. საბოლოოდ მხოლოდ მე-10 მატჩში, 2005 წლის 15 ოქტომბერს შეძლეს გორდას კვანძის გახსნა. ამაში სამხრეთულ გუნდს "პარი სენ-ჟერმენიდან" სკანდალით გადმოყვანილი **ლორიკ კანა** დაეხმარა.

დასკვნის მაგივრად კი იმას მოგახსენებთ, რომ ზღვა ზიზღი, რაც ამ 40-ზე მეტი წლის განმავლობაში ნელ-ნელა გროვდება და ახლაც განუხრელად იზრდება, საფრანგეთის ჩემპიონატს განსაკუთრებულ ხიბლს მატებს. ყოველი ბრძოლა ამ გუნდებს შორის უკანასკნელია და არასდროს არ არის ადვილი შედეგების წინასწარ გამოცნობა.



რაიმონ გუტალსი და „მარსელი" ნაადრევად ზეიმობდნენ

ინტერვიუ. მაარტენ სტეკელენბურგი



მაარტენ სტეკელენბურგის მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველია

# სანვრთნელ დღეზე უფრო მეტი

"აიაქსის" 29 წლის კარის დარაჯი მაარტენ სტეკელენბურგი მძიმე ტრავმის მოშუშების შემდეგ ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშს ახლაღა დაუბრუნდა. ჟურნალისტებმა, რომლებიც მას "რომაში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ, ფეხბურთელს მცირე ინტერვიუ სთხოვეს, თუმცა კონკრეტული პასუხი ვერც მისგან მიიღეს.

**- 10 მარტის შემდეგ ეს იყო პირველი თამაში. ამ ყველაფერმა როგორ ჩაიარა?**

- როგორ? ვფიქრობ, არც თუ ისე ცუდად. მიხარია, რომ ისევ შემიძლია მინდორზე გასვლა და ფეხბურთის თამაში. მიხარია ისიც, რომ ისევ ჩემს ძველ თანაგუნდელებთან ერთად ვარ და ისევ "აიაქსის" ღირსებას ვიცავ. ასე რომ, ჩემთვის ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე ერთი რიგითი სანვრთნელი დღე. მოკლედ, კმაყოფილი ვარ.

**- რა დრო დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ბოლომდე შეიგრძნოთ თამაშის რიტმი?**

- რა გითხრათ, ასეთი საკონტროლო მატჩები უფრო მინდვრის ფეხბურთელებისთვის არის სასარგებლო. მეკარეებს, სიმართლე რომ ითქვას, ასეთი შეხვედრები გულზე დიდად არ ეხატებათ, რადგან საქმე ყოველთვის ძალიან ცოტაა. მთავარია ახლა კონცენტრაცია შევინარჩუნო, უფრო სერიოზული შეხვედრების დროც მოვა.

**- ფრანკ დე ბურმა ერთი კვირის წინ პრესას დაახლოებით ასეთი რამე განუცხადა, ძალიან უცნაურია, რომ მაარტენ სტეკელენბურგი დღემდე "აიაქსში" თამაშობსო. რას გვეტყვით თქვენს მომავალზე?**

- აუცილებელია, რომ ცოტა კიდევ მოვიცადო. ახლა ნამდვილად ვერ გეტყვით, ვითამაშებ თუ არა "აიაქსში" მომავალ სეზონში და თუ წავალ, საით ავიღებ გეზს. ჯერჯერობით სხვა ფეხბურთელებთან ერთად საფეხბურთო ბატალიებისთვის ვემზადები. წინა სეზონი უკვე წარსულია, სადაც ჩვენ მშვენივრად ვითამაშეთ და ჩემპიონები გავხდით. წინ ახალი ამოცანები გვაქვს გადასაჭრელი. ვეცდებით, რომ კიდევ ერთხელ მოვიგოთ ჩემპიონატის ოქროს მედლები.

**- როგორია ატმოსფერო თქვენს გუნდში? როგორ მიდის მომზადება?**

- ყველანი დიდი მონდომებით ვემზადებით, თუმცა ფორმაში შესასვლელად კიდევ გვინდა გარკვეული დრო. თუკი დღეში 2-3-ჯერ ვარჯიშობ და ამის შემდეგ კიდევ თამაშობ კიდეც, ეს მშვენიერია.

ამბები

## ფეიენოორდი მწვრთნელის გარეშე

**მარიო ბეენი** "ფეიენოორდის" მთავარი მწვრთნელი აღარ არის და რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ეს გადაწყვეტილება ფეხბურთელებმა მიიღეს. მათ ფარული კენჭისყრა ჩაატარეს და 23-დან 20-მა მწვრთნელს უნდობლობა გამოუცხადა. ფეხბურთელთა თქმით, მათი გადაწყვეტილება იმითია განპირობებული, რომ დამრიგებელში ვერ ხედავენ იმ სპეციალისტს, რომელსაც შეუძლია გუნდთან ერთად წარმატებებს მიაღწიოს. შეგახსენებთ, რომ ბეენი "ფეიენოორდში" 2009 წლის ზაფხულიდან მუშაობდა და შარშან მე-4 ადგილზეც კი გაიყვანა გუნდი. წელს "დე კუიპის" მკვიდრნი ძალიან დაიჩაგრნენ, მე-10 ადგილზე გასვლას სხვა სახელს ვერავინ უწოდებს. თანაც უფრო მეტი შეხვედრა წააგეს, ვიდრე მოიგეს. ბურთების სხვაობაც კი უარყოფითი ჰქონდათ. მოკლედ, საშინელი სეზონი იყო.

მართალია, კლუბის ხელმძღვანელობას ფეხბურთელების გადაწყვეტილება ჯერ არ დაუმტკიცებია, მაგრამ ასე რომ მოხდება, ეჭვი არავის ეპარება.

## პლაშილი ბორდოს ერთგულია

"ბორდოსა" და ჩეხეთის ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა **იაროსლავ პლაშილმა** ჟირონდელებთან მოქმედი ხელშეკრულება გააგრძელა და ახლა 2012-ის ნაცვლად, კლუბში 2015-მდე დარჩება. ამ ზაფხულს 29 წლის ფეხბურთელის გადაბირებას ამაოდ ცდილობდნენ "ლილი" და "ლიონი".

## პიერ-ალან ფრო კანში

"ლილის" სათადარიგო თავდამსხმელი **პიერ-ალან ფრო** კარიერას "კანში" გააგრძელებს. "ეკიპის" ცნობით, 31 წლის ვეტერანმა ახალ კლუბთან ხელშეკრულება 2014 წლამდე გააფორმა. "ძალლების" შემადგენლობაში ის 3,5 წელიწადი გამოდიოდა და სულ 29 გოლი გაიტანა. ბუნებრივია, ფროს გუნდის შარშანდელი საუკეთესო ბომბარდირის, საუდის არაბეთში გადახვეწილი **იუსეფ ელ არაბის** შეცვლა დაევალება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# გალიანიმ ტიფოზები დაამშვიდა

## სატრანსფერო პოლიტიკა არ გადაიხედება

**სილვიო ბერლუსკონის** პრობლემების შესახებ გუშინდელ ნომერში გამცნეთ - იტალიის პრემიერმინისტრის კომპანია „მონდადორი“ 560 მილიონი ევროთი დააჯარიმეს და დაირხა ხმები, რომ ვალების გასასტუმრებლად სილვიომ „მილანის“ აქციების გაყიდვა განიზრახა. ორი დღეა, რაც **ადრიანო გალიანი** ჟურნალისტებთან ურთიერთობის ონლაინ-რეჟიმზეა გადასული და კომენტარებს ხშირ-ხშირად აკეთებს:

*„გულშემატკივრებს შეუძლიათ, რომ მშვიდად იძინონ, რადგან „მილანს“ არაფერი ემუქრება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „მონდადორის“ საქმე „როსონერის“ სამომავლო გეგმებზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს. ბერლუსკონის უკვე ორჯერ ვესაუბრე და მითხრა, რომ კლუბთან მიმართებაში არაფერი შეიცვლება - არათუ არ გაყიდის „მილანს“, სატრანსფერო პოლიტიკაც კი არ გადაიხედება. სილვიოსთვის „მილანი“ ძალიან ბევრს ნიშნავს და ამაში ყოველდღიურად ვრწმუნდები“.*

ზაფხული არ გავა, რომ ბერლუსკონის მიერ „მილანის“ შესაძლო გასხვისებაზე არ დაირხეს ხმები, თუმცა ყოველი ასეთი ისტორია დონ სილვიოს ერთი წინადადებით სრულდება: „მილანი“ არ იყიდება“. ამ ამბავმა „როსონერის“ მთავარი მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი** ძალიან გაახარა და ეს არც მედიასთან დაუმალავს:

*„ბერლუსკონი და „მილანი“ განუყოფელი მცნებებია, შესაბამისად, მისი კლუბის სათავეში ყოფნა ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემი ინფორმაციით, სატრანსფერო პოლიტიკა არ გადაიხედება, თუმცა სიმართლე გითხრათ, შემადგენლობით ისედაც კმაყოფილი ვარ. ამ ზაფხულს სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი დავიმატეთ: ფილიპ მექსე, ტაიე ტაივო და სტეფან ელ შაარავი. გასულ სეზონში, საკადრო პრობლემები არ შეგვქმნია, რადგან უნივერსალური თვისებებით დაჯილდოვებული არაერთი მოთამაშე გვყავს. მაგალითად კევინ პრინც ბოატენგმა სეზონი გამთამაშებლის პოზიციაზე დაასრულა, იქამდე კი ეს როლი რობინიოს ჰქონდა მორგებული. არადა, პირველი ტიპური საყრდენია, მეორე კი თავდამსხმელი. ზემოთ ჩამოთვლილი სამეულის დამატების შემდეგ, ჩვენი გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა - ასე რომ, მომდევნო სეზონს დიდი ოპტიმიზმით ველი“.*

ალეგრიმ სამი ახალწვეული ჩამოთვალა და მათი მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა, თუმცა „მილანის“ გულშემატკივართა ნაწილი მწვრთნელის ასეთ ოპტიმიზმს არ იზიარებს. **ტაიე ტაივოს** შესაძლებლობებში ბევრს ეპარება ეჭვი და ამ ტრანსფერს კრიტიკა არ დაჰკლებია; აი, რაც შეეხება **ელ შაარავის**, მის ნიჭიერებაში ყველა დარწმუნებულია, მაგრამ სტეფანი ჯერ მხოლოდ 18 წლის არის და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომდევნო სეზონში ძირითად შემადგენლობაში იასპარეზოს. ერთადერთი, ვის ტრანსფერსაც გულშემატკივრები ორივე ხელით მიესალმნენ, **ფილიპ მექსე** გახლავთ - **ალესანდრო ნესტას** ქრონიკული ტრავმების გადამკიდე, „მილანისთვის“ კვალიფიციური ცენტრალური მცველის დამატება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ლომბარდიის დედაქალაქში გადაბარგებით ფრანგიც ძალიან კმაყოფილია:

*„იყო „მილანის“ წევრი, უდიდესი პატივია და თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება სეზონი და „როსონერის“ შემადგენლობაში პირველ შეხვედრას ჩავატარებ. სამწუხაროდ, ამჟამად ტრავმირებული ვარ და სარეაბილიტაციო პროცესის გარკვეულ ნაწილს ალბათ გამოვტოვებ - თუმცა, ეს არ მაშინებს და სარეაბილიტაციო პროცესს სწრაფი ტემპით გავდივარ. რა განცდებთან იქნება დაკავშირებული „რომას' წინააღმდეგ თამაში? - ვერ გეტყვით, ამაზე პასუხი მაშინ მექნება, როდესაც მოედანზე გავალ და ჩემი მეგობრების წინააღმდეგ აღმოვჩნდები. ნებისმიერ შემთხვევაში, „ჯალოროსის“ ადგილი ჩემს გულში ყოველთვის იქნება“.*

**ლაშა ნიკლაური**



სილვიო ბერლუსკონი და ადრიანო გალიანი

ნეაპოლური ამბები



ვალტერ მაძარი ერთ ამბავშია

# მაძარიმ გუნდი გაავსო

სატრანსფერო ბაზარზე „იუვენტუსთან“ ერთად ყველაზე აქტიური უდავოდ „ნაპოლია“ - ნეაპოლური კლუბის მესვეურებმა ბოლო დღეებში რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი გაჩარხეს და ქვემოთ, სწორედ მათზე მოგახსენებთ.

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან სამხრეთელთა ღირსებას არგენტინელი შემტევი **მარიო სანტანა** დაიცავს. 29 წლის სამხრეთამერიკელმა ბოლო ხუთი სეზონი „ფიორენტინაში“ გაატარა, ზუსტად 100 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 15 გოლის გატანაც მოახერხა. მარიო შემტევი ტიპის ნახევარმცველია და ხშირად გარემარბის პოზიციაზე ასპარეზობს. მისი მთავარი იარაღი სისწრაფეა, რის ხარჯზეც თამაშის გამწვავებას ახერხებს - სამაგიეროდ, დამაგვირგვინებელ ფაზაშია არცთუ ძლიერი. მიუხედავად ამისა, **ვალტერ მაძარიმ** მისი გადაბირებისთვის ყველაფერი გააკეთა. ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება, თუმცა კულუარული ინფორმაციით, სანტანა სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. აქვე აღვნიშნოთ, რომ არგენტინელის სანაცვლოდ ნეაპოლელებს ერთი ცენტიც არ გადაუხდიათ, რადგან ამ ზაფხულს მარიოს „ფიორენტინასთან“ ხელშეკრულების ვადა ამოეწურა.

არანაკლებ საინტერესოდ მოსჩანს **გიოქჰან ინლერის** „ნაპოლიში“ გადასვლის ამბავი - ბოლო ოთხი წელია 27 წლის შვეიცარიელი ნახევარმცველი „უდინეზეს“ ღირსებას იცავს და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ჩამოყალიბდა. ინლერზე საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო, თუმცა ყველას **აურელიო დე ლაურენტისმა** აჯობა და ფეხბურთელთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ნეაპოლში გადაბარგებით ინლერი ძალიან კმაყოფილია:

*„უდინეში თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და მეც ახალი ნაბიჯი გადავდგი კარიერაში. „ნაპოლის“ წარმატების საიდუმლო გუნდის ერთსულოვნებაშია და ბედნიერი ვარ, რომ ასეთ მეგობრულ და შეკრულ გუნდში მოვხვდი. ჩემი მიზანია, რომ ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი და მწვრთნელის ნდობა ბოლომდე გავამართლო. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ გადმოვედი „სან პაოლოზე“, გულშემატკივრები არიან - „ნაპოლის“ საოცარი ტიფოზები ჰყავს, რომლებიც გუნდს ყოველთვის გვერდში უდგანან“.*

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც „ნაპოლის“ რიგები შეავსო, **მიგელ ანხელ ბრიტოსი** გახლავთ. 25 წლის ურუგვაელმა მცველმა გასული სეზონი „ბოლონიაში“ გაატარა და თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა. მისი ტრანსფერის უშუალო ინიციატორი ვალტერ მაძარი გახლავთ, რომელმაც დაცვის ცენტრის გაძლიერების სურვილი სეზონის დასრულებისთანავე გამოთქვა. ბრიტოსმა უკვე მოაწერა ორწლიან ხელშეკრულებას ხელი და განაცხადა, რომ ასეთი ბედნიერი არასდროს ყოფილა. იქვე, მადლობა გადაუხადა მაძარის გამოცხადებული ნდობისთვის და დაჰპირდა მას, რომ თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე დაიხარჯება. ბრიტოსის ტრანსფერმა კიდევ უფრო გაზარდა ეჭვები იმის შესახებ, რომ შესაძლოა **სალვატორე არონიკა** ტურინის „იუვენტუსში“ გადაბარგდეს. გასულ სეზონში, არონიკა ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ „ნაპოლის“ რიგებში და მასზე დიდი ტაციაობაა ატეხილი. წესით, ამ საკითხსაც მალე უნდა მოეფინოს ნათელი.

**ლაშა ნიკლაური**

სავარაუდო ტრანსფერი

# სანჩესი და ბარსელონა

## ჩილელის 4 ვარიანტი

**ალექსის სანჩესისა** და „ბარსელონას“ ამბავი კოპა ამერიკას შემდეგ ლოგიკურ დასასრულამდე მივა, ყოველ შემთხვევაში ამას ამტკიცებენ იტალიური, ესპანური და სამხრეთამერიკული წყაროები. ჩვენ კი, რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ მათ? ჩავთვალოთ, რომ ტრანსფერის საკითხი გადაწყვეტილია, ესპანეთისა და ევროპის ჩემპიონი იმატებს 22 წლის ჩილელ ვარსკვლავს. ახლა მოვიფიქროთ, სად, რომელ პოზიციაზე უფრო გამოადგება სანჩესი კატალონიურ გრანდს.

გასულ სეზონში „უდინეზემ“ დიდი ხმაური გამოიწვია იტალიაში, გუნდმა მე-4 ადგილზე დაასრულა სერია A და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოიპოვა. ბუნებრივია, ეს დიდად ჩემპიონატის ბომბარდირის, **ანტონიო დი ნატალეს** დამსახურებაა, რომელმაც 28 გოლი გაიტანა, თუმცა, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ უდინელთა მთავარი ვარსკვლავი მაინც ალექსის სანჩესი იყო.

2009-10 წლების სეზონში ჩილელს ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე **სიმონე პეპეს** ალტერნატივად განიხილავდნენ, თუმცა შემდეგ სეზონში, სანჩესი უკვე შეუცვლელი წევრი იყო ძირითადი შემადგენლობის. ამან ფრიულელთა შეტევებს ფეთქებადი ხასიათი მისცა. ალექსისს აქვს შესანიშნავი უნარი აკონტროლოს ბურთი ბრწყინვალედ, მაშინაც კი, როცა დიდი სისწრაფით გარბის მეტოქის კარისკენ. ასეთი უნარის ფეხბურთელი კი არ შეიძლებოდა არ მოხვედრილიყო „ბარსას“ თვალსაწიერში.

სანჩესის კიდევ ერთი დადებითი თვისება - ის უშიშარია და ძლიერია. სერია A-ში ყველაზე მეტად მას ურტყამდნენ ფეხებში, რადგან ყველაზე ხშირად ის უტევდა მეტოქეებს, თუმცა ჩილელს უკან არასოდეს დაუხევია და არც სერიოზული ტრავმა მიუღია. ის ენერგიული და კაჟივით ჯანმრთელია. და რაც მთავარია, სეზონის განმავლობაში მუდამ ძიებაში და იმპროვიზაციაში იყო - მოკლედ, ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა და ახლა მზად არის იგივე ესპანეთში გაიმეოროს. სპეციალისტები მიიჩნევენ, და საფუძვლიანადაც, რომ სანჩესი „ბარსას“ შემტევ 4-3-3 სისტემას უფრო კარგად მოერგება, ვიდრე იტალიურ შედარებით დაცვით სქემას.

მაშ ასე, ჩვენ სანჩესის 4 განსხვავებული როლი გვესახება „ბარსელონას“ მექანიზმში“: **1. მარჯვენა შემტევად** (სანჩესი-**მესი-ვილია**) - „უდინეზეში“ და ჩილეს ნაკრებშიც ალექსისი უფრო მარჯვნიდან უტევს. თუკი ლეო მესი ისევ და ისევ „ცრუ 9-იანზე“ ითამაშებს (ალბათ, ლეო კვლავ ცენტრალური თავდამსხმელი იქნება შემტევ ტრიოში), ჩილელი ბრწყინვალედ მოერგება მარჯვენა ფლანგს. თან ეს მისი საყვარელი პოზიციაა. ამ შემთხვევაში სანჩესს კონკურენციის მოგება **პედრო როდრიგესთან** და **იბრაჰიმ აფელაისთან** მოუწევს. მაგრამ სანჩესი უფრო ძლიერი მოჩანს და მას თავისუფლად შეუძლია სასტარტოში დამკვიდრება და უძლიერესი ალიანსის შექმნა, შეტევაში - მესისთან, ფლანგზე კი - **დანი ალვეშთან**. „ბარსელონას“ მეტოქე მარცხენა მცველებს საქმე თავზე საყრელად ექნებათ.

**2. მარცხენა შემტევად** (პედრო-მესი-სანჩესი) - **გვარდიოლას** შეტევის მარცხენა ფლანგზე მხოლოდ დავიდ ვილიას იმედი აქვს, წინა სეზონში ის ახალწვეული იყო და მაინც 23 გოლი შეაგდო. მოკლედ, „ელ გუახემ“ გაამართლა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის ფანტასტიკური იყო. თუკი მწვრთნელი, ამ პოზიციაზე სანჩესს მოსინჯავს, რას მივიღებთ? ვფიქრობთ, ახლა მეტოქეთა მარჯვენა მცველები უნდა შევიცოდოთ წინასწარ. მერე რა, რომ სანჩესი მარჯვენათი ურტყამს, **რონალდინიოც** ასე იყო, მაგრამ თავიდან სულ მარცხნიდან თამაშობდა, ცაცია მესი კი ლამის მარჯვენა შემტევად გაიზარდა.

**3. ცენტრალურ ფორვარდად** (მესი-სანჩესი-ვილია) - ხოსეპ გვარდიოლასთვის იოლი არ იქნება ვილიას სკამზე დასმა, მით უფრო, რომ მას კიდევ ერთი ბრწყინვალე ალტერნატივა აქვს - სანჩესი ცენტრში გაამწესოს, მესი მარჯვენა ფლანგზე და მარცხნივ - ვილია. ეს სამეული მეტოქეთა დაცვას შიშის ზარს დასცემს! ყოველთვის თუ არა, გვარდიოლამ შეიძლება ხშირად მიმართოს ამ ტაქტიკას. ან მესიმ და სანჩესმა პოზიციები თამაშის მიმდინარეობისას ცვალონ.

**4. სუპერშემცვლელი** (პედრო-მესი-ვილია) - ძნელი წარმოსადგენია, ფეხბურთელში 45 მილიონი ევრო გადაიხადონ („უდინეზე“ ამდენს აფასებს ალექსისს) და ის სკამზე დასვან, თუმცა აქ მხოლოდ სეზონის გარკვეულ ნაწილს ვგულისხმობთ (საწყისი ტურები), სანჩესის ტიპის შემტევი ყველაზე მეტად საშიში მაშინაა, როცა მეტოქის დაცვა დაღლილი და არაქათგამოცლილია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალექსის სანჩესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

C ჯგუფი

## ესეც არგენტინა-ურუგვაი!

| ურუგვაი | 1 | 0 | მექსიკა |
|---|---|---|---|

**ურუგვაი:** მუსლერა, მ. პერეირა, ლუგანო, კოატესი, ა. პერეირა, რიოსი, პერესი, როდრიგესი (83. ეგურენი), გონსალესი (68. ლოდეირო), ფორლანი (89. აბრეუ), სუარესი.

**მექსიკა:** მიჩელი, მიერი, არაუხო, რეინოსო, აგუილარი (46. აქუინო), რეიესი, ენრიკესი, ჩავესი, პონსე (70. პაჩეკო), ჯ. დოს სანტოსი (46. პერალტა), ლუგო.

**გოლი:** 1:0 ალვარო პერეირა (14)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
დიეგო ფორლანი (ურუგვაი)

ლა პლატაში ურუგვაიმ მექსიკას მოუგო და მეოთხედფინალში არგენტინას ხვდება. შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-14 წუთზე **ალვარო პერეირამ** გაიტანა. მისი წყალობით ურუგვაელებმა C ჯგუფში ჩილეს შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს. პირველზე რომ ჩილე ავიდა ცოტა ადრე გაირკვა, როდესაც ამ ქვეყნის ნაკრებმა პერუს 1:0 აჯობა, აი, მექსიკა კი შეჯიბრებას ჯგუფური ეტაპიდან ისტორიაში პირველად გამოეთიშა.

ურუგვაელებმა, **დიეგო ფორლანმა** და **ნიკოლას ლოდეირომ** ძელს გაარტყეს ბურთი, მექსიკელ **რაფაელ მარკეს ლუგოს** კი გოლი არ ჩაუთვალეს — თანამსაჯმა ალამი ალმართა, თამაშგარეაო.

თამაში ურუგვაელთა ინიციატივით დაიწყო, მექსიკას კი, სავარაუდოდ, კონტრშეტევაზე თამაში თავად ჰქონდა გეგმაში. როგორც მოგახსენეთ, მატჩის ერთადერთი გოლი შეხვედრის დასაწყისშივე გავიდა. ეს პერეირას მეორე შედეგიანი დარტყმა გახლდათ მიმდინარე „კოპა ამერიკაზე“. წარმატებას მან ამჟამად მას მერე მიაღწია, რაც ფორლანის დარტყმული ბურთი მეკარე **ლუის მიჩელმა** მოიგერია, რასაც მექსიკელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა. ზუსტად ერთ წუთში ფორლანმა შორეული დარტყმით კინალამ გაზარდა ანგარიში, მაგრამ მიჩელმა ამ ჯერზე საქმეს თავი ჩინებულად გაართვა. 25-ე წუთზე კი ხიფათი უკვე მოედნის მეორე ბოლოში შეიქმნა, როდესაც **ჯოვანი დოს სანტოსმა** მარცხენა ფრთიდან მოხერხებული გარღვევის შემდეგ დაბლა და ძლიერად დაარტყა, მაგრამ ურუგვაელმა მეკარე **ფერნანდო მუსლერამ** იყოჩაღა. თუმცა, ხუთი წუთის შემდეგ გოლი კინალამ ისევ მიჩელის კარში გავიდა: **მახსი პერეირაც** ჩაწოდებულ ბურთს მცველმა **ჰირამ მიერმა** ვერ უხელთა და ფორლანმა ძელს გაარტყა ბურთი. ამ ამბიდან ექვსი წუთი რომ გავიდა, **ლუის სუარესმა** შორიდან სცადა ბედი, დაარტყა, მაგრამ მიჩელმა ბურთი თითის წვერებით კუთხურზე გადააგდო.

შესვენებისას მექსიკელებმა დოს სანტოსი გამოცვალეს, რამაც მათ შეტევას აშკარად დააკლო ძალა. რაც შეეხება ურუგვაიელებს, მათ შესვენების შემდეგაც ეპყრათ ინიციატივა და სახიფათო მომენტებსაც ხშირად ქმნიდნენ, მაგრამ მუხლნატკენი **ედინსონ კავანის** არყოფნის გამო თუ რაიმე სხვა მიზეზით, გოლის გატანა ველარ შეძლეს. რამდენიმე კუთხურის დროს თავურის დარტყმა **რკისტიამ როდრიგესმა** სცადა, მაგრამ მეკარე მიჩელს ამ ეპიზოდებში საყვედური არ ეთქმოდა. კიდევ, 64-ე წუთზე იყო ერთი თვალშისაცემი მომენტი, როდესაც სუარესმა ფორლანს მიაწოდა საგოლე პასი, მან კი ბურთი კარს გადააცილა. ორ წუთში „ლივერპულის“ თავდამსხმელმა თავად ააცილა, შემდეგ ისევ ფორლანის ჯერი დადგა, მაგრამ მისი დარტყმა მოიგერიეს, ხეირიანად ვერ დაუმიზნა **დიეგო პერესმაც**, თამაშის დასრულებამდე 13 წუთით ადრე კი ლოდეირო გახდა მეორე ურუგვაელი, რომელმაც ძელს მოარტყა ბურთი.

და ბოლოს იმ ეპიზოდის შესახებ, ზემოთ რომ მოგახსენეთ: მე-80 წუთზე ყველას ეგონა, რომ მექსიკამ გაათანაბრა. **ედგარ პაჩეკოს** მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებული ბურთი მარკეს ლუგომ ურუგვაელთა კარში შეაგდო, მაგრამ თანამსაჯმა ოფსაიდი ალმართა.



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ტელემაყურებელმა და იმავდროულად ინტერნეტის მომხმარებელმა ფორლანი დაასახელა. სტატისტიკა მეტყველებს, რომ „ატლეტიკოს“ ვარსკვლავმა კარში რვაჯერ დაარტყა, თუმცა ამაზე მთავარი მისი პასები გახლდათ — ფორლანმა ამ შეხვედრაში თანაგუნდელებს 47 პასი გადააწოდა და ორჯერ ფლანგიდანაც სწორად ჩაჰკიდა.

**ოსკარ ტაბარესი**, ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი: *„თამაშის წინ არასდროს არაფერია ცნობილი. ამჯერადაც, ერთადერთი, რისი თქმაც შეიძლებოდა ის იყო, რომ მექსიკა ძლიერი გუნდი, რთული მოწინააღმდეგეა. სულერთია, „კოპა ამერიკაზე“ ხვდები თუ სხვა შეჯიბრებაში, მასთან თამაში ძნელია“.*

შაბათს კი სანტა ფეს „ბრიგადიერ ლოპესზე“ ურუგვაი არგენტინას ხვდება...

*„შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი და ურუგვაის ის გუნდი უნდა დავივიწყოთ. „კოპა ამერიკასადმი“ დიდი პატივისცემის მიუხედავად, მსოფლიოს ჩემპიონატი უფრო პრესტიჟული შეჯიბრებაა და გუნდებს იქ უფრო დიდი მოტივაცია აქვთ. თუმცა, ჩვენ მაინც გამარჯვება გვინდა. თუ ჩვენ არგენტინას დავამარცხებთ, ჟურნალისტები დაწერენ, რომ ურუგვაი იმ დონეს დაუბრუნდა, სამხრეთ აფრიკაში მუნდიალზე რომ აჩვენებდა. ვფიქრობ, ეს მთლად მართალი მაინც არ იქნება. ჩვენ ჯერ ვერ ვთამაშობთ ისე, როგორც გვინდა და გვჩვევია. ფეხბურთელთა ჯგუფი იგივეა, სამხრეთ აფრიკაში თავი რომ გამოიჩინა, მაგრამ ვფიქრობ, სწორედ ახლა რთულ პერიოდს გავდივართ. თუმცა, ვიმეორებ, ჩვენ გამარჯვების ჟინითაც ვართ ანთებული“,* - დასძინა ტაბარესმა.

**ილია ბაბუნაშვილი**

## როცა არ იცი, რა სჯობს

| ჩილე | 1 | 0 | პერუ |
|---|---|---|---|

**ჩილე:** პინტო, პონსე, კარმონა, ხარა, სილვა (78. მედელი), ფიერო (58. სანჩესი), ესტრადა, ბოსეჟური, ხიმენესი, პარედესი (58. ვალდივია), სუასო.

**პერუ:** ლიბმანი, აკასიეტე (46. ვილჩესი), რევორედო, კორსო, კარმონა, გევარა (69. ლობატონი), რამოსი, ბალონი, გონსალესი (76. კარილო), ჩიროკე, რუიდიასი.

**გოლები:** 1:0 კარილო (90 ს.კ.); **გაძევება:** კარმონა (61), ბოსეჟური (61)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
ვილიამ ჩიროკე (პერუ)

უცნაური თამაში გაიმართა მენდოსაში - მიუხედავად იმისა, რომ ჩილესა და პერუს შორის დაპირისპირება ჯგუფის უკანასკნელი ტურის მატჩი იყო, არც ერთმა გუნდმა არ იცოდა, რა შედეგი სჯობდა მათთვის სამომავლო პერსპექტივაში. მეოთხედფინალის საგზური ორივეს (თამაშამდე 4-4 ქულა ჰქონდათ) უკვე „ჯიბეში ედო“. ამ შეხვედრაში გამარჯვება I ადგილის დაბევებას ნიშნავდა, პირველადგილოსნის მეტოქე მეოთხედფინალში კი B ჯგუფის მეორეადგილოსანია, რომელიც დიდი შანსია, ბრაზილიის ნაკრები იყო. მეორე ადგილზე გასვლა არგენტინასთან რანდევუს ნიშნავდა, ხოლო წაგება და მესამე ადგილი სავარაუდოდ კოლუმბიას დააჯახებდათ. მწვრთნელებმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, გადახალისებული შემადგენლობებით ეთამაშათ და ბედს მინდობოდნენ - ანუ, რაც იქნებოდა, იქნებოდა! და ეს ყველაფერს ეტყობოდა, თამაშის ტემპს, ხარისხს, ფეხბურთელთა მონდომებას და ასე შემდეგ, ფეხბურთის ერთგული ბოლომდე მხოლოდ ჩილედან ჩამოსული ათიათასობით გულშემატკივარი იყო და კიდევ, ალბათ, შეცვლაზე შესული **ალექსის სანჩესი**. მას ახლა მთელი მსოფლიო უყურებს, დღედღეზე შეიძლება „ბარსელონას“ ფეხბურთელი გახდეს და...

მოკლედ, არეულ თამაშს ასეთივე შედეგი მოჰყვა - თამაშის მიწურულს, ორმხრივი ჩხუბის შემდეგ, რის გამოც პერუელი **ჯანკარლო კარმონა** და ჩილელი **ჟან ბოსეჟური** გააძევეს, კურიოზული გოლი გავიდა პერუელთა კარში, რომელიც ერთ უწყინარ კუთხურს მოჰყვა, დაპანიკებულმა მცველმა **ანდრე კარილომ** საკუთარ კარში ჩაჭრა. თამაში მორჩა და გუნდებმა კვლავ არ იცოდნენ, ვის ეთამაშებიან მეოთხედფინალში.



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამარცხებული გუნდის შემტევი **ვილიამ ჩიროკე** აღიარეს. მან ხმების 20,5% მიიღო. პერუელთა მე-18 ნომერმა თავი შესაშური ტაქტიკური განსწავლობით, კარგი პასებითა და ბრწყინვალე დრიბლინგით გამოიჩინა.

**ანტონიო გონსალესი** (პერუ): *„წაგება ბრაზილიელი არბიტრის ბრალია, რომელმაც ძალიან გაგვირთულა მიზნის მიღწევა. ჯანკარლო კარმონას არაფერი დაუშავებია ისეთი, რომ გაეძევებინათ. წესით, მსაჯს მხოლოდ ჩილელი ბოსეჟური უნდა გაეძევებინა“.*

**კლაუდიო ბორგი** (ჩილეს მწვრთნელი): *„ცუდია იმაზე საუბარი, თითქოს, არგენტინასთან, ბრაზილიასთან და ურუგვაისთან შანსი არა გვაქვს. ჩვენი გუნდი თამაშობს ისე, როგორც ფავორიტს ეკადრება. მუდამ უტევს და დამსახურებულად იკავებს ჯგუფში პირველ ადგილს. ყველაზე მეტად მახარებს ის, რომ მეოთხედფინალს სან ხუანში ვატარებთ, ანუ ისევ ვიგრძნობთ თავს, საკუთარ ქვეყანაში - ჩილელი გულშემატკივრების ჩამოსვლა გარანტირებულია“.*

**უმბერტო სუასო** (ჩილე): *„ჩვენი ნაკრები მზადაა დიდი მიზნის აღსასრულებლად - ჩვენ კოპას მოგება შეგვიძლია“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩილე | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 2. ურუგვაი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. პერუ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 4. მექსიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |

## კოპას კალეიდოსკოპი

### დიეგოს რეკორდი

მექსიკის ნაკრებთან მატჩი რეკორდული იყო მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელის, **დიეგო ფორლანისთვის**. მან 79-ედ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონთა რიგებში ყველაზე მეტი კეპის პატრონი გახდა. ფორლანმა გადაუსწრო ყოფილ გოლკიპერ **როდოლფო როდრიგესს**. სხვათა შორის, მას სულ ორი გოლი აკლია და „სელესტეს“ ისტორიაში საუკეთესო მეგოლეც გახდება. ჯერჯერობით ეს ტიტული 31 გოლით **ექტორ სკარონეს** საკუთრებაა. ფორლანმა რეკორდი სათანადოდ აღნიშნა, ის კარგი თამაშისთვის ურუგვაი-მექსიკის შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

### სანდრო წავიდა

ბრაზილიის ნაკრებში დანაკლისია - „ტოტენჰემის“ ნახევარმცველი **სანდრო** ნაკრებს გამოაკლდა და შინ წავიდა. მან მუხლის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ერთი თვით დააკლდა ფეხბურთს. „სელესაოს“ ექიმმა **როდ-**


სანდრო

**რიგო ლასმარმა** განაცხადა, რომ ტესტებმა მარცხენა მენისკის დაზიანება აჩვენეს. 22 წლის სანდრო უკვე ბრაზილიაშია, სადაც მალე მკურნალობის ინტენსიურ კურსს დაიწყებს. მას პრემიერლიგის საწყისი ტურების გამოტოვება მოუწევს. **მანო მენეზეშს** სანდროს შემცვლელი არ გამოუძახებია.

### ბოლივიის პრეზიდენტს მწვრთნელთან ლაპარაკი სურს

ბოლივიის პრეზიდენტი **ევო მორალესი** ეროვნული ნაკრების მწვრთნელ **გუსტავო კინტეროსთან** შეხვედრას აპირებს. როგორც თავად პრეზიდენტმა თქვა, მას სურს მწვრთნელს 2014 წლის მუნდიალისთვის მზადების საკითხებზე მოელაპარაკოს კინტეროსს. *„ვფიქრობ, ახლავე უნდა დავიწყოთ მზადება, რომ შესარჩევ მატჩებში სრულ მზადყოფნაში ვიყოთ და ისეთ დონეზე ვითამაშოთ, როგორც ეს პირველ ტურში არგენტინასთან მოვახერხეთ. დარწმუნებული ვარ, რომ მუნდიალის საგზურს მოვიპოვებთ“*, - განაცხადა მორალესმა. როგორც ჩანს, მიუხედავად კოპა ამერიკის ჯგუფური ეტაპიდან გავარდნისა, კინტეროსის მუშაობით პრეზიდენტი მაინც კმაყოფილია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი



# კატოზის ამბავი!

**ჯეკ უილშირმა** თავის კაპიტან **სესკ ფაბრეგასს** ხმამაღლა და მკვახედ შეუძახა, კაცურად მოიქეცი, „არსენალში“ დარჩიო. ჩრდილოლონდონელთა 19 წლის ვარსკვლავისგან ასეთ თამამ გამოხდომას არავინ ელოდა. ამასთან, ნათელი გახდა, რომ თუ ფაბრეგასი „ბარსელონას“ წლეულსაც უარს ეტყვის და მართლა „არსენალში“ დარჩება, ბიჭები მას მხარში ამოუდგებიან და ერთხმად აღიარებენ თავიანთ ლიდერად.

„მეთოფეები“ კუალა ლუმპურში არიან, სადაც ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ. კაპიტანი გუნდს თან არ ახლავს, მაგრამ მიზეზი სატრანსფერო გაუგებრობა კი არა, კუნთის ტკივილია. რაც შეეხება „ბარსასა“ და „არსენალს“ შორის მოლაპარაკებებს, ეს პროცესი ბოლო დღეებში მინელდა. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელმა, **არსენ ვენგერმა**, უკვე თამამად გამოთქვა იმედი, რომ ფაბრეგასს „ემირეით სტედიუმზე“ დატოვებს. რაც შეეხება უილშირს, მან გადაწყვიტა, კაპიტანი მკვახე შეძახილით გამოეფხიზლებინა და დაენახვებინა მისთვის, რომ ბიჭებს სჭირდებათ.

*„ერთგულება ფეხბურთის მნიშვნელოვანი ნაწილია და კარგად აჩვენებს, კაცი ხარ თუ არა. ერთგული ადამიანები ნამდვილი კაცები არიან. ჩვენ, „არსენალში“ ერთგული ბიჭები გვყავს და ეს ადრე ბევრჯერ დამტკიცებულა. სესკმა ერთგულება შარშან ამ დროს გამოამჟღავნა, წლეულს კი იმედი მაქვს, რომ იმავეს უფრო მეტი ფეხბურთელი გააკეთებს. აი, მერე კი ვნახოთ, მოვიგებთ რაიმე ჯილდოს თუ ვერა“.*

რასაკვირველია, უილშირმა „უფრო მეტ ფეხბურთელში“ უპირველეს ყოვლისა **სამირ ნასრი** იგულისხმა. 24 წლის ფრანგ ნახევარმცველს „არსენალში“ ერთი წელიწადიღა დარჩა გასატარებელი. აქამდე ამბობდნენ, რომ ის მანჩესტერის ერთ-ერთ გუნდში გადადიოდა, თუმცა ორიოდ დღის წინ ვენგერმა განაცხადა, რომ ნასრი „ემირეიტზე“ რჩება.

შემდეგ, უილშირმა 23 წლის ფაბრეგასის მდგომარეობა „ტოტენჰემის“ ხორვატი ნახევარმცველის **ლუკა მოდრიჩის** მდგომარეობას შეადარა.

*„ჩვენ ძალიან კარგი შემადგენლობა გვყავს, ეს ვიცით და ვცდილობთ საუკეთესო ფეხბურთელები შევინარჩუნოთ. თუ დააკვირდებით, ყველა გუნდში ასეთივე მდგომარეობაა. იმისათვის რომ გაიმარჯვო, ვარსკვლავები უნდა გყავდეს. შეხედეთ, რა ხდება „ტოტენჰემში“, ისინი მოდრიჩის დასატოვებლად იბრძვიან. რობინ ვან პერსიმ თქვა, რომ თუ სესკს დავკარგავთ, გავნადგურდებით. მეც იმავეს ვამბობ. ის ჩემთვის სამაგალითო იყო და ყოველთვის მინდოდა მისნაირი ვყოფილიყავი“.*

შეგახსენებთ, რატომ გარბიან ფეხბურთელები „არსენალიდან“. საქმე ის არის, რომ „მეთოფეებს“ აგერ უკვე ექვსი წელიწადია არანაირი ჯილდო არ მოუგიათ. გასულ სეზონში გუნდს ერთბაშად ოთხი ტიტულის მოგების პრეტენზია გაუჩნდა, მაგრამ „ქარლინგის თასის“ ფინალში, „ბირმინგემთან“ დამარცხებით რომ დაიწყო, გაგრძელდა და გაგრძელდა — ვენგერი და მისი გუნდი კვლავ პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

*„ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში ჯილდოს მოსაგებად ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ — თქვა უილშერმა — გასულ სეზონში საქმე „ბირმინგემთან“ ბოლო წამს გაშვებულმა სულელურმა გოლმა გაგვიფუჭა. სამწუხაროდ, ყოველ წელიწადს ერთი და იგივე მეორდება, გაზაფხულზე ცუდად ვთამაშობთ. იქნებ, ერთი-ორი ფეხბურთელის დამატებამ ეს პრობლემა გამოასწოროს“.*

ბოლოს კი უილშირმა საკუთარ თავზე ილაპარაკა: *„9 წლის ასაკიდან „არსენალში“ ვარ. ამ ხნის განმავლობაში თავს ყოველთვის ბედნიერად ვგრძნობდი. „არსენალი“ ჩემზე ყოველთვის ზრუნავდა“.*

● მანჩესტერ სიტი

# დაბრუნება ჯოჯოხეთში

27 წლის ტოგოელი თავდამსხმელი, **ემანუელ ადებაიორი** გატყდა — ორშაბათს ის „მანჩესტერ სიტიში“ დაბრუნდება და ვარჯიშს შეუდგება. სხვა საქმეა, რომ მანუს აზრი არ შეუცვლია და კვლავაც სწამს - ისტლენდელები ცუდად მოექცნენ.



როდესაც შეიტყო, რომ „სიტიმ“ პირველ გუნდთან ერთად ამერიკაში სეზონისწინა შეკრებაზე არ წაიყვანა, ადებაიორი შეურაცხყოფილი დარჩა. გარდა ამისა, ფორვარდი იმანაც გააბრაზა, რომ მას გუნდის რომელიმე ხელმძღვანელი კი არ დაუკავშირდა, არამედ კლუბში მომუშავე მდივანმა ქალმა გაუგზავნა მეილი. სხვა სიტყვებით, მისთვის პირდაპირ არავის უთქვამს, რომ ის „მანჩესტერ სიტის“ ძირითადი შემადგენლობის წევრი აღარ არის და ამიერიდან რეზერვისტებთან ერთად უნდა ივარჯიშოს.

*„არც კი ვიცი, რა დავაშავე, — თქვა ადებაიორმა, — შვებულებაში ვიყავი, როდესაც მეილით გავიგე, რომ ტურნეში არ მივყავდი და მეორე გუნდის მოთამაშე ვხდებოდი. კი ბატონო, მივალ ბაზაზე და ვივარჯიშებ, მაგრამ არ დაგიმალავთ, რომ თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ“.*

შეგახსენებთ, რომ განრისხებული ემანუელ ადებაიორი თავიდან ამბობდა, რომ „სიტის“ ბაზაზე აღარ ივლიდა, რადგან, თუკი გუნდთან ერთად, აღარ ათამაშებდნენ, მნიშვნელობაც აღარ ჰქონდა ინდივიდუალურ ვარჯიშებს სად ჩაატარებდა.

● ტოტენჰემი

# კრიზისს კრიზისი ემატება

„ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ახალი კრიზისი დაემატა — გუნდიდან წასვლაზე ფიქრი დაიწყო **მაიკლ დოუსონმაც**. საოცარია, რომ ასეთი საქციელისკენ დოუსონსაც „სფურზის“ თავმჯდომარე **დენიელ ლივიმ** უბიძგა — ეს კაცი აშკარად ამოვარდნილია კალაპოტიდან და საკუთარ კლუბში ვითარებას ურევს. კერძოდ, ლივის 27 წლის მცველისთვის უთქვამს, ხელფასის მომატება ხომ არ გინდაო და დაუსახელებია თანხა, რომელიც ფეხბურთელმა დაცინვად მიიღო. „სანს“ „დეზების“ მავანმა თანამშრომელმა უთხრა:


მაიკლ დოუსონი

*„მაიკლმა თავი დაუფასებლად და დამცირებულად იგრძნო. ლივიმ მას ხელფასის მომატება შესთავაზა და ეს ნამდვილი დაცინვა იყო. დოუსონი დარწმუნებულია, რომ „ტოტენჰემისთვის“ თავი არ დაუზოგავს და ამ კლუბში დაფასებას იმსახურებს. ის ვერასდროს წარმოიდგენდა, ასე თუ მოექცეოდნენ“.*

როგორც ჩანს, ლივიმ დოუსონს კვირაში 5 ათასის მომატება შესთავაზა. ფეხბურთელი რომც დათანხმებულიყო, მისი ყოველკვირეული ჯამაგირი მაინც 40 ათასზე დაბლა დარჩებოდა, ეს კი პრემიერლიგის მეხუთე გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელისთვის აშკარად დაბალი ხელფასია.

შეგახსენებთ, რომ დოუსონის ამბავი „სფურზს“ **ლუკა მოდრიჩის** პრობლემაზე ახალ პრობლემად დაემატა. 25 წლის ხორვატს „ჩელსიში“ უნდა გადასვლა და ლივის ბრალად ჯენტლმენური სიტყვის დარღვევას სდებს. ის ამბობს, რომ თავმჯდომარეს მისთვის პირობა ჰქონდა მიცემული, რომ თუ მისი ყიდვის სურვილს რომელიმე დიდი კლუბი გამოთქვამდა, ის არ დააბრკოლებდა. მოგეხსენებათ, „ჩელსი“ მოდრიჩში 27 მილიონ ფუნტს იხდის.

რაც შეეხება დოუსონს, მას „ტოტენჰემის“ მაისურით უკვე 200-ზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული. მცველი „უაით ჰართ ლეინზე“ 2005 წელს „ნოტინგემ ფორესტიდან“ გადავიდა. გასულ სეზონში დოუსონმა განსაკუთრებით მოუმატა თამაშს. ის **ფაბიო კაპელომ** ინგლისის ნაკრებში გამოიძახა და მარტში, უელსის წინააღმდეგ ეროვნულ გუნდში უკვე მეოთხე თამაში ჩაატარა. 2010 წლის იანვარში დოუსონმა „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ ახალ, ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


## საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

### განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

**ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.**

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.




კურორტი საირმე
ტელ: 240-45-45, 599 09 37 03.
info@sairme.com.ge
www.sairme.com.ge

# ქართული სპორტი

ძიუდო. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი

## ტრაბზონული შემადგენლობები ცნობილია

გაირკვა საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც რამდენიმე დღეში ტრაბზონში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში იასპარეზებს: **ზაზა ხუბულური** (50), **ივანე მამისაშვილი** (55), **თამაზ კირაკოზაშვილი** (60), **აპოლონ ზურაბიანი** (66), **ლევან გუგავა** (73), **ბექა ღვინიაშვილი** (81), **შალვა ჩოჩელი** (90), **გიორგი ლაზუაშვილი** (+90). ამათგან გაურკვეველი მხოლოდ ზურაბიანის მდგომარეობაა, რომელსაც ხელი სტკივა. თუ ძველი ტრავმა ვერ მოირჩინა, **გიორგი მუზაშვილი** შეცვლის, თუმცა ნაკრების თავკაცი **გიორგი ვაზაგაშვილი** იმედოვნებს, რომ მოასწრებს გამოჯანმრთელებას. ყოველ შემთხვევაში, სადღეისო მდგომარეობა დამაიმედებელია.

ვაზაგაშვილმა სატრაბზონედ უძლიერეს შემადგენლობას უხმო. ახლანდელი გუნდის ყველა წევრმა 24-26 ივნისს მალტურ კოტონერაში ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავა. ოღონდ, მაშინ თუ ორ-ორი შემადგენლობა წაიყვანა (მოგეხსენებათ, ევროპა-მსოფლიოზე ეს დასაშვებია), ამჯერად მხოლოდ ლიდერებს დასჯერდა, რადგან ტრაბზონში წონაში ქვეყნიდან მხოლოდ თითო კაცი უნდა გამოვიდეს. ევროპის პირველობაზე ამ ნაკრებმა ძალიან დიდი წარმატებით იასპარეზა - 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვეს. მედალოსანთა უმეტესობა ტრაბზონშიც იჭიდავებს - მამისაშვილი და ღვინიაშვილი ევროპის ჩემპიონები არიან, კირაკოზაშვილმა, ჩოჩელმა და ლაზუაშვილმა ფინალური შეხვედრები დათმეს, გუგავა კი მესამეზე გავიდა. ევროპის მედალოსანთაგან ამჯერად გუნდში მხოლოდ **გურამ თუშიშვილი** (90) ვერ მოხვდა.

ტრაბზონში წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა გოგოების ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გია თენაძემაც**, რომელსაც იქ ოთხი შეგირდი მიჰყავს: **გურანდა შოთაძე** (48), **მარიამ ციხელაშვილი** (52), **მარიამ ჯანაშვილი** (57), **ანი მინდიაშვილი** (63).

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

## ახალგაზრდული ნაკრებიც გაირკვა

ბერძენ-რომაელთა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 26-31 ივლისს ბუქარესტში თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს: **ნიკა ცეცხლაძე** (50), **ამირან შავაძე** (55), **ქემალ ხარაბაძე** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96), **შოთა გოგისვანიძე** (120).

როგორც ვხედავთ, ევროპის პირველობასთან შედარებით, ნაკრები სანახევროდ გადახალისდა - შავაძეს, ხარაბაძეს, ნადარეიშვილსა და გოგისვანიძეს იქ არ უჭიდავიათ. მათი უმრავლესობა ამ ასაკში საქართველოს ჩემპიონია და მწვრთნელი ისედაც მსოფლიოსთვის ინახავდა, ნადარეიშვილმა კი ეს უფლება საერთაშორისო ტურნირებში კარგი ჭიდაობით დაიმსახურა. ადეიშვილმა გუნდში დატოვა ევროპის ახალგაზრდული პირველობის ოთხივე მედალოსანი, ვიცე-ჩემპიონები ცეცხლაძე, დავითაია და ბრინჯაოს პრიზიორები - დათუნაშვილი და დიხამინჯია. მწვრთნელი მათგან ახლა კიდევ უფრო დიდ წარმატებას ელოდება.

გუნდი ამჟამად დუშეთშია შეკრებაზე, რუმინეთში კი 24 ივლისს გაფრინდება. შეგახსენებთ, რომ შარშან მსოფლიოს პირველობაზე ამ ნაკრების მონაგარი ერთადერთი ბრინჯაო იყო, რომელიც **არსენ კახაბრიშვილმა** (84) მოიპოვა.

დუშეთშივე გადის მსოფლიოსთვის მზადებას საქართველოს ახალგაზრდა „თავისუფალთა" გუნდიც, ოღონდ მისი თავკაცი **ნუგზარ სხირელი** რუმინეთში წამსვლელებს ჯერ არ ასახელებს. იმ გუნდში გაურკვეველი ძირითადად ლიდერების საკითხია - სად იჭიდავებენ მსოფლიოს პირველობას **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84), ახალგაზრდულში თუ ეროვნულ ნაკრებში. შეგახსენებთ, რომ წლეულს ახალგაზრდებში ორივემ მოიგო ევროპის ჩემპიონატი, უფროსებში კი კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ავტოსპორტი



## წყვილთა რბოლა მოყვარულთა შორის

რუსთავში, შსს-ს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე გაიმართა ავტომოყვარულთა შეჯიბრება წყვილთა რბოლაში. პროგრამაში შედიოდა სამი კლასი: **FWD** (წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები), **RWD** (უკანა წამყვანი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები) და **AWD** (ოთხი წამყვანი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები). სამივე კლასში რბოლები სანახაობრივად საინტერესოდ წარიმართა. გამარჯვებულები კი ერთმანეთს სუპერფინალში დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: **W კლასი:** 1. მევლუდ მელაძე, 2. გიგა ბიძინაშვილი 3. იკო ჩხეიძე; **RW კლასი:** 1. დათა ქაჯაია, 2. კოტე კოლიაშვილი, 3. ირაკლი კუხიანიძე; **W კლასი:** 1. გიორგი ბეჟიტაშვილი, 2. ოთარ თავართქილაძე, 3. ვასიკო ჭონიშვილი; **სუპერ ფინალი:** 1. გიორგი ბეჟიტაშვილი, 2. დათა ქაჯაია, 3. ვასიკო ჭონიშვილი.

**„ლელოს" კორ.**

ჭადრაკი



ლევან აროშიძე

## მთავარი პრიზი აროშიძეს

ბარბერა დელ ვალესის 24-ე საჭადრაკო ფესტივალზე A ჯგუფის ბოლო ორი ტურის პაექრობები ერთობ დაძაბული გამოდგა. არც არის გასაკვირი - მერვე ტურის წინ ხომ 5,5-5,5 ქულით ერთბაშად 5 დიდოსტატი მეწინავეობდა, 7 მოჭადრაკე მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა, ხოლო 14 მონაწილეს - 4,5-4,5 ქულა ჰქონდა.

ბოლოსწინა ტურში **ლევან აროშიძემ** მექსიკელი მანუელ ლეონი დაამარცხა და 6,5 ქულით რუმინელი ალინა ლამის მძლეველ კირილ გეორგიევთან ერთად ლიდერობა განიმტკიცა. ამ დუეტთან ქულებით გათანაბრება შეეძლო არგენტინელ ფერნანდო პერალტას, მაგრამ მან თეთრი ფიგურებით ედუარდო იტურისაგასთან (ვენესუელა) დაზავება არჩია. ასევე ყაიმით დასრულდა ხოზე გონსალესისა (მექსიკა) და მარკ ნარკისოს (ესპანეთი) პარტია. პირველ 18 დაფაზე, ამ ორი ორთაბრძოლის გარდა, ყველა შეხვედრა შედეგიანი აღმოჩნდა, მათ შორის ხუან ოლივეირას კანალისა და **ანა მათნაძისა**: შავი ფიგურებით ქართველმა დიდოსტატმა რეიტინგში მასზე დაბლა მდგომ მეტოქეს საათი გააჩერებინა.

ასევე უშელავათო გამოდგა მე-9 ტური, რომელშიც აროშიძემ იყოჩაღა - შავი ფიგურებით კუბელი არიან გონსალეს პერესი დაამარცხა და 7,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა, რადგან მისი უშუალო კონკურენტი - ბულგარელი კირილ გეორგიევი თეთრი ფიგურებით არგენტინელ ფერნანდო პერალტას დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა) და ჰექტორ დელგადო რამოსი (კუბა). 5,5 ქულის მქონეთა პარტიები კი ასე დამთავრდა: ხოზე გონსალეს გარსია (მექსიკა)-ჰოლდენ ჰერნანდესი (კუბა) 1:0, ანა მათნაძე-ლუის მარტინეს არისმენდი (ესპანეთი) 0:1, მანუელ ლეონი (მექსიკა)-მარია ფერფინია როფესი (ესპანეთი) 1:0, მარკ ნარკისო (ესპანეთი)-პონტუს კარლსონი (შვედეთი) 0:1, ალექსანდრ ხაიმე კუარტასი (კოლუმბია)-იაკობ კარსტენსენი (დანია) 1:0.

ამდენად, 9 ტურის შემდეგ 7,5 ქულით პირველი ადგილი და მთავარი პრიზი ლევან აროშიძემ მოიპოვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა გეორგიევი. 7-მა მოჭადრაკემ 6,5-6,5 ქულა მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი პერალტას ერგო. ანა მათნაძეს შანსი ჰქონდა, რჩეულთა ათეულში მოხვედრილიყო, მაგრამ ბოლო ტურში არისმენდისთან მარცხის შემდეგ მხოლოდ 5,5 ქულა შერჩა და მე-16 ადგილზე გავიდა, ქალებში კი რუმინელმა ალინა ლამიმ (6,5 ქულა) გაასწრო.

**ვაჟა დანელია**

## ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება

180 მონაწილეს შორის ერთადერთი ქართველი **სოფიკო გურამიშვილია**, რომელიც ბერძნულ რეტიმნოში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. სტარტზე მან სტილანოს პეტრაკისს სძლია, შემდეგ კონსტანტინოს კაგასს დაუზავდა, მესამე ტურში კი დიმიტრიოს ბალოკასი (სამივე — საბერძნეთი) დაამარცხა. უდანაკარგოდ 12 მოჭადრაკე მეწინავეობს, მათ შორის 9 დიდოსტატია. ტურნირზე შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება.

**ვაჟა დანელია**

## ნანა ალექსანდრიას თასი-2011

ფოთში სახელოვანი ქართველი დიდოსტატის, ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის **ნანა ალექსანდრიას** მე-6 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე მასპინძლებთან ერთად სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის, რუსეთისა და სინგაპურის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. მთავარ ტურნირში პირველ ნომრადაა განთესილი საქართველოს ნაკრების წევრი **ლევან ფანცულაია** (2612), რომელმაც ახლახან თურქეთის საკლუბო ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ნომერია ნანა ალექსანდრიას თასის შარშანდელი გათამაშების გამარჯვებული **კონსტანტინე შანავა.**

სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მეწინავეობენ ლევან ფანცულაია, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **დავით ზარქუა, ივერი ჭილლაძე, ირაკლი ბერაძე, ბაჩანა მორჩიაშვილი** (ყველა საქართველო), **არტურ ჩარაგიოზიანი** და **დავიდ შაჰინიანი** (ორივე-სომხეთი).

შეჯიბრებაში ასევე ცალ-ცალკე ასპარეზობენ 8, 10 და 12 წლის გოგო-ბიჭები. ტურნირის საპრიზო ფონდია 30 ათასი ლარი.

**ვაჟა დანელია**

## 10 დიდოსტატის მონაწილეობით

შვიდი ქვეყნის 10 საუკეთესო დიდოსტატი ჩაებმება ჩინურ ხანჭოუში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში, რომლის გამარჯვებულიც 5000 ამერიკულ დოლარს დაიმსახურებს, მეორე ადგილზე გასული - 4000, ხოლო მესამეადგილოსანი 2000 დოლარით დაჯილდოვდება.

დღეიდან წრიული სისტემით ითამაშებენ: ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2575), რუსი **ნადეჟდა კოსინცევა** (2560) და მისი და, ორგზის ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** (2557), 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე** (2537), **ანა ზატონსკიხი** (აშშ, 2522), **ცზიუ ვენძიუნი** (ჩინეთი, 2515), **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი, 2513), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2510), მსოფლიოს ექსჩემპიონი **ჟუ ჩენი** (ყატარი, 2485) და **ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2470). 19 ივლისი დასვენების დღეა. საგულისხმოა, რომ დებმა კოსინცევებმა ამ შეჯიბრების გამო რუსეთის ეროვნული ჩემპიონატის სუპერფინალში თამაშზე უარი თქვეს. ტურნირი გუშინ საზეიმოდ გაიხსნა, დღეს პირველი ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**



ნანა ძაგნიძე

60 წლის წინ „ლელოს" ფურცლებზე

### ივლისი

**თბილისში** დამთავრდა წყალბურთში 1951 წლის თასის გათამაშება. მთავარი ჯილდო თბილისის „დინამოს" გუნდმა დაიმსახურა, რომელმაც თბილისის „ისკრას" 3:0 მოუგო. „დინამოს" შემადგენლობა: **რ. გუგუშვილი, ა. გეგელია, დ. რაშმანჯიანი, რ. ალტაევი, ლ. კრილოვი, კ. ოვანესოვი, გ. ფედოროვი, ვ. სამარინი.**

■ ■ ■

**ფეხბურთში** სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის 1951 წლის ივლისში ლიდერობდა თბილისის „დინამო" და მოსკოვის ცდსა. ამ გუნდებს 16 თამაშიდან 24-24 მოგება ჰქონდათ და 4-4 ქულით უსწრებდნენ „კრილია სოვეტოვს" და მეოთხე ადგილზე მყოფ მოსკოვის „დინამოს".

■ ■ ■

**მოსკოვში** გამართულ უმაღლესი სასწავლებლების V სპარტაკიადაზე 100 მ რბენაში ჩემპიონი გახდა თბილისელი **ლევან სანაძე**-10,8.

■ ■ ■

**თბილისში** ჩატარდა სპორტსაზოგადოებათა გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში გარდამავალ ყანწზე. ჯილდო „ნაუკამ" მოიგო. ეს გუნდი მთლიანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული: **ს. მაისურაძე, ა. აივაზოვი, ს. ქადაგიძე, კ. ბაშინურიძე, ნ. გოგიაშვილი, რ. მათიკაშვილი, გ. გოძიაშვილი, შ. ჩიკვაიძე**; ფინალში სტუდენტებმა „ისკრის" ძლიერი გუნდი დაამარცხეს.

შეკითხვა ლელოს



**შეკითხვა:** გთხოვთ მიპასუხოთ, სპორტის რამდენი და რომელი სახეობებიდან შეირჩევა ერთი, რომელსაც 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანენ?

**დათო სეხნიაშვილი**
თბილისი

**პასუხი:** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) გადაწყვეტილებით, შეირჩა სპორტის 8 სახეობა, რომელთაც 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის შანსი აქვთ. სოკ-მა სავარაუდო სახეობების სია 12-დან 8-მდე შეამცირა, საბოლოოდ კი ბუენოს აირესში (არგენტინა), 2013 წელს გამოაცხადებს, თუ რომელი სახეობა დაემატება ოლიმპიურ პროგრამას. სხვათა შორის, ჯერ ცნობილი ისიც არაა, სად გაიმართება ეს ოლიმპიადა. ოფიციალური განაცხადი რომს (იტალია), მადრიდსა (ესპანეთი) და ტოკიოს (იაპონია) აქვთ შეტანილი, თუმცა მათ რიცხვს შეიძლება დაემატოს: ქაირო (ეგვიპტე), დელი (ინდოეთი), კასაბლანკა (მაროკო), პუსანი (კორეა), დოჰა (ყატარი), დუბაი (არაბთა გაერთიანებული საამიროები), ბაქო (აზერბაიჯანი), ბუდაპეშტი (უნგრეთი) და სხვა.

გთავაზობთ 8 კანდიდატი სახეობის სიას: მეკლდეურობა, უშუ, კარატე, როლერ სპორტი, სოფტბოლი, ბეიზბოლი, სქვოში და ვეიქბორდინგი. გაცხრილვა ვერ გაიარეს: ნეთბოლმა, ბოულინგმა, სერფინგმა და ცეკვებმა.

ქართული სპორტი

ქართული ჭიდაობა. სტეინბეკიდან CNN-მდე

# ამერიკელები სტეინბეკის ნაკვალევზე

## ოკეანისგაღმელები ქართულ ჭიდაობაზე ფილმს იღებენ

პოპულარული CNN-ის ტელედოკუმენტალისტები აგრძელებენ გადაღებას საქართველოში. ამჟამად ისინი ამზადებენ გადაცემას ქართულ ჭიდაობაზე...

64 წლის წინათ საქართველოში იმოგზაურა ორმა ამერიკელმა - დიდმა მწერალმა **ჯონ სტეინბეკმა** (1902-1968) და გამოჩენილმა ფოტოგრაფმა **რობერტ კაპამ** (ანდრე ფრიდმანი 1913-1954).

პარასკევს, 15 ივლისს გორში სწორედ იმ ბაღში გაიმართება ქართული ჭიდაობის ზეიმი, სადაც სამოცდაათი წლის წინათ სტეინბეკმა და კაპამ გორში გასეირნებისას შემთხვევით იხილეს ჩვენი ეროვნული ჭიდაობის ფიცხელი შეჯიბრებები. CNN-ის ამერიკელი ჟურნალისტები ქართული ჭიდაობის ორთაბრძოლებს ფირზე აღბეჭდავენ. ამით ისინი ერთგვარად გააგრძელებენ თავიანთი ცნობილი თანამემამულეების დაწყებულ საქმეს. აი, რას წერდა ნობელის პრემიის ლაურეატი ჯონ სტეინბეკი გორის ჭიდაობაზე.

პირისპირ დგებოდნენ. მუსიკოსები თავიანთ ცეცხლოვან მელოდიასა და დოლის დაკვრას იწყებდნენ. მოჭიდავენი ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და ხელებით ეჭიდებოდნენ.

ეს, მართლაც საინტერესო ჭიდაობა გამოდგა. ჩვენ აზრით, იგი ჯიუ-ჯიცუს ნათესავი უნდა ყოფილიყო. ხელის ჩაჭიდება მხოლოდ ქურქაცსა და ქამარზე დაიშვებოდა. მონინაალმდეგეები, ერთმანეთს ჩაჭიდებოდნენ და შემდეგ აქეთ-იქით ძირითადად ფეხის დადებაზე, წონის გადაძლევაზე, მოპაექრეებისათვის წონასწორობის დაკარგვაზე, მის მიწაზე დანარცხებასა და არენაზე მოცდენა გაჰქონდათ. მუსიკა მთელი ჭიდაობის მანძილზე უკრავდა და მხოლოდ ერთ-ერთი მოპაექრის დამარცხების შემდეგ წყდებოდა.

შეტაკებები ერთი-ორი წუთი გრძელდებოდა და როგორც კი მონინაალმდეგე ბეჭებზე აღმოჩნდებოდა, წყდებოდა. შეჯიბრება სწრაფად, თვალის დახამხამებაში მთავრდებოდა...




რობერტ კაპა

1947 წელი. გორის ბაღი. რობერტ კაპას ფოტო

„პარკის მოპირდაპირე ბილიკებზე მივაბიჯებდით, ყვავილებს ვათვალიერებდით და უცებ პარკის სიღრმიდან მუსიკის ჰანგები მოგვესმა, თითქოს სტვირსა და დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდნენ. მუსიკის ხმამ სამ მაკავშირი მოგვიყვანა, რომელთაგან ორი ფლეიტაზე, ერთი კი პატარა დაფადოლზე უკრავდა. მალე მივხვდით, ფლეიტის ხმა სტვირზე დაკრულ მუსიკას რატომ გვაგონებდა. ფლეიტისტები ლოყებს ბერავდნენ, როცა სუნთქვა გადაეჭირებოდათ, დაბერილი ლოყებიდან გამოსული ჰაერის სამუალებით ფლეიტა ბგერების გამოცემას აგრძელებდა. მუსიკა პირველყოფილი და ცეცხლოვანი იყო. ფლეიტისტები და მედოლე მაღალი, ფიცრული კედლის მიღმა შესასვლელთან იდგნენ. კედელს გასწვრივ, ხეებზე ბავშვები მტევნებივით ეკიდნენ და ღობის მიღმა იჭყიტებოდნენ.

საბოლოოდ პარკში გასეირნებამ გაამართლა. გორის პარკის სპორტულ არენაზე იმ დღეს ქართულ ნაციონალურ ჭიდაობაში ფინალური შეხვედრები ტარდებოდა. შეჯიბრებაში სამი დღის წინ დაწყებულიყო და დღეს გამარჯვებულები უნდა გამოვლენილიყო. მრგვალი ფიცრული ღობე სპორტულ არენას და მის ირგვლივ შემოსაზღვრულ სკამებს პარკისაგან ყოფდა. თავად საჭიდაო მოედანი იცდათხუთმეტი ფუტის დიამეტრისა იქნებოდა და ნახერხის სქელი ფენით იყო დაფარული. ერთ მხარეს მსაჯის მაგიდა იდგა, მის უკან კი მონაწილეთათვის განკუთვნილი იყო მოწყობილი.

ჩვენ ძალიან სტუმართმოყვარულად შეგვხვდნენ და საუკეთესო ადგილები შეგვთავაზეს გამოხატულ მაგიდასთან, რომ კაპას ფოტოების გადაღება შესძლებოდა.

ორი ფლეიტისტი და მედოლე პირველ რიგში მოეწყვნენ. ამის შემდეგ მონაწილეები გამოიძახეს. მოჭიდავეები უცნაურ ტანსაცმელში, ტილოს მოკლე უსახელო ქურთუკებსა, ტილოსავე ქამრებსა და მოკლე ტრუსებში იყვნენ გამოწყობილნი. ისინი ფეხშიშველები, სპორტული ფეხსაცმლების გარეშე ჭიდაობდნენ.

წყვილები მსაჯთან რეგისტრაციას გადიოდნენ. შემდეგ ნრეში ერთმანეთს

ბაში მთავრდებოდა. შემდეგ მაგიდასთან მოპიდავე მსაჯის მიდიოდა. სპორტის ეს სახეობა სინტრაფეს, ძალასა და დახვეწილ ტექნიკას მოითხოვდა. ზოგიერთი ილეთი ისეთი სწრაფი და მოულოდნელი იყო, რომ მონინაალმდეგე ჰაერში ტრიალდებოდა და ბეჭებზე ეცემოდა. ნაგებობაში შეკრებილთა ემოციებს, მაყურებელთა ემოციები კი მატულობდა. ჭიდაობის ყურება აშკარად გაგვიტაცა. მაგრამ ჩვენი ნასვლის დრო ახლოვდებოდა..."

1947 წლის გაზაფხულზე გაზეთ „**ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნის**" რედაქციამ სტეინბეკს და კაპას სსრკ-ში მოგზაურობა და გაზეთისთვის რეპორტაჟების მომზადება შესთავაზა, რაზეც ორთავე დიდი სიამოვნებით დასთანხმდა. იმ დროს სსრკ-ში ამერიკელებს ჩამოსვლა გაუჭირდა რამ იყო... მასალები ჯერ ამავე გაზეთში ქვეყნდებოდა, 1948 წელს კი გამოიცა წიგნი „**რუსული დღიური**", რომელიც არსებობის შესახებ ჩვენში დიდხანს არავინ არაფერი იცოდა.

პირველი სტუმრობიდან 16 წლის შემდეგ ჯონ სტეინბეკი კვლავ ეწვურა საქართველოს. ცნობილმა მეფუდეული **მიხეილ ადამაშვილმა** მას თავისი დუდუკი უსახსოვრა. ამერიკელმა კი ქართველ უფრო მეტად საინტერესო, „თავისი ხელობის იარაღი" - საკუთარი კალამტარი აჩუქა...

დიდი ამერიკელი მწერალი ქართველებზე წერდა: „ისინი ცხოვრობენ განჯებისაგან მოძებული მიწაზე, რომლისთვისაც სისხლი ცხადია, უნდა ებრძოლათ ორი ათასი წლის განმავლობაში".

ჯონ სტეინბეკის თანამგზავრი იყო რობერტ კაპას მრავალი ფოტო. მათ შორის გორის პარკში გადაღებული ქართული ჭიდაობაც. ჩვენ ნარმოგიდგენთ ერთ-ერთ ფოტოს - მაღალი ფიცრული ღობე და ხეებზე მტევნებივით ჩამოკიდებული ბავშვები, ნახერხის სქელი ფენა და მსაჯის მაგიდა, ჭიდაობა...

64 წლის წინანდელ ამ ფოტოზე ჩვენი მეგობრების შუამავალი მსაჯი, **გიგლა ალექსიძე** (ხადარამიშვილის) ამოიცნობოთ, რომელიც ქართული ჭიდაობის გამოჩენილი მოღვაწე და გორის საჭიდაო სკოლის ღირსეული ნარმომადგენელი იყო.

**გაბრიელ ბარამაძე**

ლოლიტა ჩუკრეთ-ჩრბილჯმიტრტ

ქართული სპორტის ქრონიკები

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან



## რურუა რომან

დაიბადა 25.11.1942, მუხურჩა, მარტვილი. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** (63, 68 კგ). XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1968, მეხიკო), XVIII ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1964, ტოკიო), მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი (1966, 67, 69, 70). სსრკ ხალხთა III, IV, V სპარტაკიადების ჩემპიონი (1963, 67, 71), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1964, 65, 70), ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული (1966). საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1984-85) და სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1984-87). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, სოკის, ფილას და ღირსების ორდენების კავალერი. რომან რურუა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) 2010 წელს სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

სათავეები

## ძიუდო

ქართველი მოჭიდავეები ძიუდოისტთა შეჯიბრებაში პირველად გამოვიდნენ 1957 წელს სსრკ კავშირისა და უნგრეთის გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში. მაშინ ძიუდოს ჯგუფები ჯერ კიდევ არ იყო და ნაკრებში სამბისტები შეიყვანეს, მათ შორის - **ბიძინა მაზიაშვილი, გურამ სიმონიშვილი, შალვა დაუშვილი** და **ოთარ შინჯიკაშვილი.** ორი წლის შემდეგ გდრ-ის გუნდთან ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობდნენ **ანზორ კიკნაძე, დურმიშხან ბერუაშვილი** და ოთარ შინჯიკაშვილი. ქართველმა სპორტსმენებმა ყველა ბრძოლა მოიგეს. სწორედ მაშინ მიაქციეს ყურადღება ქართული ჭიდაობისა და ძიუდოს ილეთების მსგავსებას. 1962 წელს ევროპის პირველი ჩემპიონები გახდნენ **ანზორ ქიბროწაშვილი** და ანზორ კიკნაძე. აქედან იწყება დიდი მიღწევები საერთაშორისო შეჯიბრებებში. იმ დროისთვის ძიუდო უკვე ოლიმპიურ სახეობად აღიარეს და საქართველოში მრავალი მსურველი გამოჩნდა, ქართული ჭიდაობიდან მოსულ ფალავნებს ეიოლებოდათ იაპონური ჭიდაობის დაუფლება. თბილისში წარმატებით მუშაობდნენ მწვრთნელები **ქრისტეფორე ნინიაშვილი** და **ბიძინა მაზიაშვილი,** ქართლში - **გურამ პაპიტაშვილი** და **გივი ზაუტაშვილი.** ქართლი ძიუდოს ერთ-ერთ ცენტრად იქცა. გორში აღიზარდნენ ევროპის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს პირველი ჩემპიონები: ანზორ ქიბროწაშვილი, **შოთა ჩოჩიშვილი** და **თემურ ხუბულური.**

ძიუდოს ქართული სკოლა თავად იაპონელებმა აღიარეს. მათ საფუძვლიანად შეისწავლეს ქართული ჭიდაობა, შემდეგ კი ჩვენი მწვრთნელები პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად იაპონიაში მიიწვიეს.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ველოსარბიელი; 6. საბავშვო ხალხური თამაშობა; 7. სიჩქარის ერთბაშად და მკვეთრად გადიდება სპორტის ზოგიერთ სახეობაში; 9. ფეხბურთის მეფე; 10. რაფტინგის ქართული შესატყვისი; 11. ქუთაისის საჭადრაკო კლუბი; 14. სტადიონზე სარბენი ...; 15. ძველი ქართული სამხედრო-სპორტული ორთაბრძოლა ... კრივი; 17. თბილისის "დინამოს" ყოფილი აფხაზი ნახევარმცველი; 18. შეჯიბრებათა დასკვნითი ნაწილი; 19. სპორტული ორგანიზაციის სახეობა; 20. იგივეა, რაც მატადორი; 24. სასროლეთი; 25. თბილისის "დინამოს" ყოფილი მცველი, მალხაზ...; 26. ოთხიანი კამათელზე; 29. საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, მიხეილ...; 31. ბოლნისის საფეხბურთო კლუბი; 32. „კოლხეთის" მწვრთნელი; 33. თბილისის "დინამოს" მცველი ... ჰომოლა.

**შვეულად:** 1. იხ. სურათი: გინესის 15-გზის რეკორდსმენი და მოგზაური; 2. ბავშვთა საფეხბურთო სტადიონი ვაკეში; 3. ... ელისი; 4. ქართული ცხენოსნური თამაშობა; 5. ... გლდანელი; 6. სატანვარჯიშო იარაღი; 8. სწრაფი შეტევა; 12. სპეციალური მარხილით მთიდან ჩქაროსნული დაშვების სახეობა; 13. თბილისის "დინამოს" ესპანელი ახალწვეული ხისკო ...; 14. ფეხბურთელის ფეხსაცმელი; 16. სოხუმელი მძლეოსანი ... გუმბა; 19. კრივში მოწინაალმდეგის ხელების დაჭერა ან მის სხეულზე შემოჭდობა; 21. ციცქნა ხელშუბების ტყორცნა მცირე სამიზნეზე; 22. სპორტის სახეობა; 23. „ზესტაფონის" ფეხბურთელი, გიორგი...; 27. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი; 28. საჭადრაკო ფიგურა; 30. ბორჯომის საფეხბურთო გუნდი.

თარიღი

### 14-20 ივლისი

**14. 2010 წ.** რაგბიში საქართველოს თასის ფინალი.

**14. 1957 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ბირმაში საერთაშორისო ამხანაგური მატჩი მოუგეს ამ ქვეყნის ნაკრებს - 5:4.

**15. 2001 წ.** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ლუქსემბურგში 3:0 სძლია მასპინძელთა ნაკრებს.

**15. 1923 წ.** თბილისში ჩატარდა პირველი შეჯიბრება კრივში ამიერკავკასიის სამხედრო-სპორტული ოლიმპიადის პროგრამით.

**15. 1967 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ქ. როსტოკში ამხანაგური მატჩი გამართეს გდრ-ის ოლიმპიურ ნაკრებთან და დამარცხდნენ 0:2.

**15. 1980 წ.** თბილისის „დინამომ" ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

**16. 1969 წ.** ფეხბურთიდან გააცილეს ლეგენდარული **მიხეილ მესხი.**

**16. 2004 წ.** ბორისოვოში (ბელარუსი) უეფას თასის პირველი ეტაპის პირველ მატჩში ადგილობრივი „ბატე" თბილისის „დინამომ" 3:2 დაამარცხა.

**17. 1996 წ.** თბილისში უეფას თასი პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში თბილისის „დინამომ" მოუგო „გრევენმახერს" - 4:0. განმეორებითი შეხვედრა - 2:2.

**18. 1939 წ.** დაიბადა **ვლადიმერ უგრეხელიძე** - კალათბურთი. გარდაიცვალა 2008 წელს.

**18. 1966 წ.** დაიბადა **ვლადიმერ გოგოლაძე** - ტანვარჯიში.

**19. 1954 წ.** დაიბადა **რუსუდან სიხარულიძე** - ტანვარჯიში.

**19. 1934 წ.** დაიბადა **კობა წაქაძე** - თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა.

**19. 1952 წ.** გაიხსნა ზაფხულის XV ოლიმპიური თამაშები ჰელსინკში.

**20. 2009 წ.** ევროპის ჩემპიონატზე ტყვიის მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ვიქტორინა

### ეძღვნება ქართულ კალათბურთს

1. საქართველოდან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე სპორტის გუნდურ სახეობებში, პირველმა რომელმა მოიპოვა ასპარეზობის უფლება?

ა — რაგბმა
ბ — ფეხბურთმა
გ — კალათბურთმა

2. ევრობასკეტამდე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა რამდენი მატჩი ჩაატარა ევრო-2011-ის შესარჩევ ეტაპზე?

ა — 8
ბ — 10
გ — 12

3. რა პრინციპით მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა

ა — საგზურის მოპოვებით
ბ — მონაწილეთა რაოდენობის გაზრდით
გ — სხვის მაგივრად ჩანაცვლებით

4. თბილისში 2010 წელს გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ვინ დასახელდა საუკეთესო მოთამაშედ?

ა — ტაირონ ელისი
ბ — ვლადიმერ ბოისა
გ — მანუჩარ მარკოიშვილი

5. სად გაიმართება ევრობასკეტ-2011-ის ფინალური ეტაპის მატჩები?

ა — ლატვიაში
ბ — ლიტვაში
გ — სლოვენიაში

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ბ

პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** „ბურთის ფეხით მოთამაშეთა გუნდი" თბილისში ჩამოყალიბდა 1906 წელს.

**პირველმა** საქართველოდან კიკბოქსინგში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა **შოთა ლომიძემ** 2000 წელს.

**პირველად** ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ფალავნებმა ოფიციალურად საერთაშორისო სარბიელზე იასპარეზეს 1947 წელს ევროპის ჩემპიონატში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

● ჩოგბურთი

# შაფათავამ WTA-ს ტურნირს შეაბედა

საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (83) პალერმოს საერთაშორისო ტურნირ „სნაი ოუფენზე" ასპარეზობდა, რომლის საპრიზო ფონდიც 220 ათასი დოლარია. სამწუხაროდ, ჩვენებურს არ გაუმართლა - მე-6 ნომრად განთესილი ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვა** (48) შეხვდა. ტატიშვილი ორ სეტში დამარცხდა - 2:6, 5:7.

ავსტრიაში WTA -ს ტურნირ „გაშტეინ ლედისზე" (220 ათასი დოლარი) **სოფიო შაფათავა** საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაება. ჩვენმა თანამემამულემ ჯერ მე-2 ნომრად განთესილი ამერიკელი **ეშლი ვეინჰოლდი** დაამარცხა - 6:4, 7:6 (12). შემდეგ მან ძალზე იოლად აჯობა სლოვაკ **ჟუჟანა ლუკნაროვას** - 6:0, 6:2 და ფინალურ წრეში ავსტრიელ **ნიკოლ როტმანსაც** მოუგო - 4:6, 6:2, 6:4. შაფათავა ტურნირის ძირითად ბადეში გავიდა, რისთვისაც 17 სარეიტინგო ქულა მიიღო. თავისთავად, ეს დიდი მიღწევაა. ძირითად ბადეში ქართველი მოწინავე ასეულის წევრ ხორვატ **პეტრა მარტიჩს** გადაეყარა და პირველი სეტიც მოუგო, თუმცა საბოლოოდ მაინც დაემშვიდობა ტურნირს - 6:3, 3:6, 2:6.




იტალიურ იმოლაში 25-ათასიან ტურნირში ორი ქართველი ასპარეზობდა. **მაკა ჩახნაშვილი** (224) შეჯიბრების პირველი ნომერია. მან პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ მასპინძელ **ლორენცა სტეფანელის** მოუგო - 7:5, 6:4. **სოფიო ქვაცაბაიამ** (448) კი იტალიელ **ეველინ მაირთან** (381) ორთაბრძოლის მეორე სეტში შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა - 1:6. ჩახნაშვილი მერვედფინალში „უაილდ ქარდით" მიწვეულ ხორვატ **მარია აბრამოვიჩს** (572) ხვდება. წყვილებში მაკა **ნადია ლალამისთან** (385) ერთად მესამე ნომრადაა განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ხმაურიანი ტრანსფერი

# სანაძე ჟალგირისში



საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უცხოეთში მოთამაშე ორი კალათბურთელი იყო - **მერაბ ბოქოლიშვილი** („აველინი", იტალია) და **თორნიკე შენგელია** („პეპინსტერი", ბელგია). ლეგიონერთა რიგებს **დუდა სანაძეც** შეუერთდა, რომელიც მომავალ სეზონში ლიტვის „ჟალგირისში" ითამაშებს.

ცხადია, 19 წლის სანაძე პირველივე წელს უმაღლესი ლიგის გუნდში ვერ მოხვდება, ითამაშებს „ჟალგირისის" ახალგაზრდებში და მომავალი წინსვლაც მასზე იქნება დამოკიდებული.

- „ჟალგირისში" გადასვლა გადაწყვეტილია. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად B დივიზიონის მატჩების დასრულებიდან რამდენიმე დღეში ლიტვაში გავემგზავრები. ამ ქვეყნის ვიზა და ყველა საჭირო საბუთი მოწესრიგებული მაქვს.

**- „ჟალგირისის" ხელმძღვანელობა როგორ დააინტერესე?**

- მაისის ბოლოს თბილისს სტუმრობდა ლიტველთა დელეგაცია. სწორედ მაშინ იყო საუბარი ჩემ შესახებ. შემდეგ ვიდეოჩანაწერებიც ნახეს და გუნდში მიმიწვიეს.

**- რა ინფორმაცია გაქვს, როგორი გუნდია ახალგაზრდული „ჟალგირისი"?**

- ახლახან, ლიტვის 19-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. იმ გუნდიდან რამდენიმე კალათბურთელი ჩემი თანაკლუბელი იქნება. კონკურენცია სერიოზული უნდა იყოს, თუმცა ყველაფრისთვის მზად ვარ. ლიტვის დუბლების ჩემპიონატშიც ვითამაშებთ და, როგორც თქვეს, საერთაშორისო შეჯიბრებაშიც...

**- ახლა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე ვთქვათ. B დივიზიონში თქვენს მეტოქეებს რამდენად კარგად იცნობთ?**

- ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი პოლონეთის ნაკრები იქნება. პოლონელთა სწორედ იმ შემადგენლობასთან მოგვიწევს დაპირისპირება, რომელმაც შარშან 18-წლამდე ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

**- ზოგიერთ ამჟამინდელ მოწინააღმდეგეს შარშანაც დაუპირისპირდით.**

- ვიცნობთ ესტონეთის ნაკრებს, რომელთანაც ნათამაშები გვაქვს. იგივე შეიძლება ითქვას რუმინელებზე. ისინი შარშან დავამარცხეთ, თუმცა, ურიგო გუნდი არ იყო და არც წლეულს გველის იოლი გასეირნება. შვეიცარიასაც კარგი თაობა ჰყავს.

**- რისი იმედი უნდა გვქონდეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ახალგაზრდული ნაკრებისგან?**

- შეკრული გუნდი გვყავს. ერთმანეთის კარგად გვესმის. ძალას არ დავიშურებთ მაქსიმუმის მისაღწევად.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● სუმო. ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი



# როგორც იქნა!

დასავლეთის კომუსუბი **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, იმარჯვა ნაგოიას ბაშოზე. მან იაპონელთა „იშვიათ ტალანტს", სეკივაკე **კისენოსატოს** აჯობა. 23 წლის ქართველმა ერთი წლით უფროს იაპონელს ლონით მოუგო, მარცხენა ხელით მისი მავაში მოიხელთა და დოჰიოდანაც გაიყვანა მოწინააღმდეგე. ტოჩინოშინს 1-3 ბალანსი აქვს და დღესაც მასზე რანგით მაღალ სუმოისტს ხვდება - ლევანის მეტოქე აღმოსავლეთის კომუსუბი **გოეიდოა**. ჩვენებური გოეიდოს კარიერაში მესამედ ხვდება, წინა ორი ორთაბრძოლა იაპონელის გამარჯვებით დასრულდა.

მესამე მარცხი იგემა ბაშოზე ელიტის უმძიმესმა ფალავანმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**. სამწუხაროა, რომ წონაში დიდი უპირატესობის მიუხედავად ქართველი **ტოჩიოძანმა** დოჰიოდან ძალზე იოლად გაიყვანა. დღეს გაგამარუ **მიაბიამას** (1:1 ურთიერთშეხვედრებაში) დაუპირისპირდება.

ძურიოს დივიზიონში მესამედ მოიგო **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**. ქართული პროფესიული სუმოს პიონერმა **ბუშუიამას** აჯობა. „შავ ზღვას" 3-1 ბალანსი აქვს და დღეს ძურიოს პირველ ნომერ **ტამაასუკას** ხვდება.

გუშინდელი დღე იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ვეტერანმა ოძეკი **კაიომ** მიზანს მიაღწია - **ტოიონოშიმასთამ** მოგება მის კარიერაში 1045-ე იყო და ჩემპიონი ლეგენდარულ იოკოძუნა **ჩიონოფუჯის** გაუთანაბრდა ამ მაჩვენებლით. ბაშოს დაუმარცხებლად 5 ფალავანი ლიდერობს, მათ შორისაა დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰოც**.

**IV დღე:** ჰაკუჰო-კიოკუტენჰო (ოშიდაში), კოტოოშუ-იოშიკაძე (ჰატაკიკომი), ბარუტოტოსაიუტაკა (უბრძოლველად), ჰარუმაფუჯი-კაკურიუ (იორიკირი), კაიო-ტოიონოშიმა (ცუკიოტოში), კოტოშოგიკუ-გოეიდო (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-კისენოსატო (იორიკირი), ოკინოუმი-ამინიშიკი (კოტენაგე), ტაკეკაძე-ვაკაკოიუ (ჰატაკიკომი), ტამავაში-ვაკანოსატო (ოშიდაში), არანი-კაისეი (ოკურიდაში), ტოჩიოძანი-**გაგამარუ** (ოშიდაში), მიაბიამა-ტოკიტენკუ (ჰიკიოტოში), ასასეკირიუ-კიტატაიკი (ჰატაკიკომი), ჰომაშო-ტაკარაფუჯი (ოშიდაში), ტოჩინოვაკა-ტაკამისაკარი (იორიკირი), ტაკაიასუ-ტოჩინონადა (ოშიდაში), საგაცუკასა-ტოიოჰიბიკი (ტოტარი), დაიდო-კიმურაიამა (იორიკირი), შოტენრო-ფუჯიაზუმა (ჰატაკიკომი). ძურიო: **კოკაი**-ბუშუიამა (ცუკიოტოში).

**V დღე:** ჰაკუჰო-ტოიონოშიმა, ბარუტო-კაკურიუ, ჰარუმაფუჯი-იოშიკაძე, კაიო-კიოკუტენჰო, კოტოოშუ-ვაკაკოიუ, კოტოშოგიკუ-კისენოსატო, **ტოჩინოშინი**-გოეიდო, ამინიშიკი-ტაკეკაძე, ოკინოუმი-ტამავაში, კაისეი-ტოკიტენკუ, ვაკანოსატო-არანი, **გაგამარუ**-მიაბიამა, ტოჩიოძანი-ტაკარაფუჯი, ჰომაშო-კიტატაიკი, ასასეკირიუ-ტაკაიასუ, ფუჯიაზუმა-ტოჩინოვაკა, დაიდო-შოტენრო, ტოჩინონადა-ტოიოჰიბიკი, საგაცუკასა-ტაკამისაკარი, კიმურაიამა-მასუნოიამა. ძურიო: **კოკაი**-ტამაასუკა.

**სატურნირო მდგომარეობა**

4-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ბარუტო (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), ჰომაშო (მაეგაშირა 9), ტოჩინოვაკა (მ 11)... 1-3: ტოჩინოშინი (კომუსუბი), გაგამარუ (მ 7).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები B დივიზიონი. სარაევო, ბოსნია**

# საქართველოც ფავორიტებში

დღეს, თბილისის დროით 20 საათზე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება - შვეიცარიას დაუპირისპირდება. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მეტოქეთა ვინაობაც გაგაცანით, შეხვედრათა განრიგიც და გუნდის შემადგენლობაც. დღეს კალათბურთელთა მოსაზრებებს შემოგთავაზებთ.

**თორნიკე შენგელიამ** ჰოლანდიურ ტურნეზე ილაპარაკა:

*- ქალაქ ზვოლეში გამართული ტურნირი ჩვენი გუნდისთვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა. ვეთამაშეთ ჰოლანდიის 20 და 23-წლამდელთა ნაკრებებს. ასევე დავუპირისპირდით ავსტრიელ თანატოლებს, რომლებიც წლეულს ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობენ. ამ შეხვედრებმა საშუალება მოგვცა, საკუთარი პლუს-მინუსები დაგვენახა და 14 ივლისამდე მათ გამოსწორებაზე ვმუშაობდით.*

იმედიანადაა უკანახაზელი **ბექა ჩიკვილაძე:**

*- ვფიქრობ, კარგად ვართ მომზადებულნი. დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით, ვმუშაობდით როგორც ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე, ასევე ტაქტიკაზე. ბოსნიაში წარმატების იმედად მივემგზავრებით. მართალია, ძლიერი მეტოქეები გვყავს, მაგრამ არც ჩვენი გუნდია ურიგო და ჯგუფიდან გამსვლელი ორი საგზურისთვის ვიბრძოლებთ. შემდეგ კიდევ უფრო სერიოზული მატჩები იქნება. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე გუნდი უპირობო ფავორიტია და ჩვენ შანსი არ გვაქვს. ბევრს გადაწყვეტს, ბოლოსთვის ვინ შეინარჩუნებს სათანადო ფორმას, ვის ეყოფა ენერგია. ასევე საჭირო მცირე სპორტული იღბალიც.*

**მერაბ ბოქოლიშვილმა** B დივიზიონის ფავორიტები ჩამოგვითვალა:

*- პირველობისთვის ბრძოლას ჩვენც ვაპირებთ. კიდევ არაერთი გუნდია, რომლებსაც შეიძლება ფავორიტის სტატუსი მივანიჭოთ. ისრაელს, როგორც ყოველთვის, ახლაც ძლიერი შემადგენლობა ეყოლება, ასევე კარგი გუნდი უნდა იყოს დიდი ბრიტანეთი. არ უნდა დაგვავიწყდეს ფინეთი, რომელთანაც ყოველთვის დიდი ბრძოლები გვაქვს. ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლები: პოლონეთი და მაკედონია... თუმცა ყველაფერი მაინც ჩვენზე იქნება დამოკიდებული...*



ქართველთა ნაკრების შესახებ მეტოქის, მაკედონიის 20-წლამდელთა კრებულის თავკაცმა **სლობოდან პეტროვსკიმაც** ილაპარაკა:

*- ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. საქართველოსა და პოლონეთს კარგი გუნდები ჰყავთ და ჯგუფიდან გამსვლელი ორი ადგილისთვის ჩვენთან ერთად იბრძოლებენ. ვფიქრობ, თამაშის ხარისხით არავის ჩამოვრჩებით.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

● საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

# მორიგი ტალანტი ქუთაისიდან

**გია კაზანჯიანის** გაწვრთნილმა 16-წლამდელთა ნაკრებმა ესტონური შეკრება დაასრულა. ქართველმა კადეტებმა ტალინში ადგილობრივებთან ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს, ჯერ დამარცხდნენ, შემდეგ მოიგეს.

პირველი შეხვედრის საწყის 30 წუთში თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, თუმცა მეოთხე პერიოდში ესტონელებმა იძალეს (22:15) და მატჩიც თავის სასარგებლოდ დაასრულეს. ქართველთაგან 10-ქულიანი ზღვარი გადალახეს **სანდრო ბოლქვაძემ** და **ნუგზარ აბულაძემ**, ხოლო **უჩა გამრეკლიძეს** ორმაგ დუბლამდე თითო ქულა-მოხსნა დააკლდა. მან ეს დანაკლისი მეორე მატჩშივე აინაზღაურა და ეფექტური „დაბლ-დაბლის" შემოქმედი გახდა - 17 ქულა, 18 მოხსნა. აქვე უნდა აღინიშნოს: იგი 1996 წელსაა დაბადებული და 16-წლამდელთა ნაკრებში მომდევნო წელსაც მოუწევს თამაში. უჩა ქუთაისელია და უკვე წელიწადზე მეტია, რუსეთში, საკუთარ მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მან საქართველოს ნაკრებში გამოძახება სიამოვნებით მიიღო და კადეტთა ნაკრების წინა ხაზიც საგრძნობლად გააძლიერა.

მიუხედავად იმისა, რომ ესტონელებთან მეორე მატჩის დასკვნითი მეოთხედის წინ ქართველები 6 ქულის სხვაობით აგებდნენ, ბოლო 10 წუთში მდგომარეობა გამოასწორეს და რევანშიც აიღეს - 71:69.

ესტონური შეკრების დასრულების შემდეგ კადეტები ფინეთში გადავიდნენ, სადაც ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ.

**P.S. გუშინ ღამით კადეტთა ნაკრებმა ფინელ თანატოლებთან ითამაშა და 55:91 დამარცხდა.**

**ესტონეთი-საქართველო 64:53**

**18:13, 14:15, 10:10, 22:15**

**საქართველო:** ბოლქვაძე (30 წ. 14 ქ. 4 მ.), ამირხანაშვილი (13 წ. 5 ქ.), ლილუაშვილი (21 წ.), ტომარაძე (10 წ.), დვალი (5 ქ.), აბულაძე (27 წ. 12 ქ. 4 მ.), დარახველიძე (31 წ. 4 ქ. 9 მ.), პულუზაშვილი (19 წ. 7 ქ. 6 მ.), კიტოშვილი (7 წ.), ჯაყელი (2 წ.), ცქიტიშვილი (13 წ. 2 ქ. 8 მ.), გამრეკლიძე (21 წ. 9 ქ. 9 მ.).

**ესტონეთი-საქართველო 69:71**

**17:14, 13:14, 23:19, 16:24**

**საქართველო:** ბოლქვაძე (20 წ. 7 ქ. 8 მ.), ამირხანაშვილი (9 წ.), ლილუაშვილი (15 წ. 3 ქ. 3 ჩ.), ტომარაძე (21 წ. 6 ქ. 3 მ . 3 ჩ.), დვალი (13 წ. 3 ქ. 3 ჩ.), აბულაძე (23 წ. 19 ქ.), გორდულაძე (2 წ.), დარახველიძე (15 წ. 3 ქ. 5 მ.), პულუზაშვილი (9 წ. 6 ქ.), კიტოშვილი (15 წ. 4 ქ.), ცქიტიშვილი (25 წ. 3 ქ. 14 მ.), გამრეკლიძე (31 წ. 17 ქ. 18 მ.).

**ვაჟა სიმონიშვილი**

მეტოქეები

# არგენტინა ფლორიდაშია და კბილებს ილესავს

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქე არგენტინის ეროვნული გუნდი ინტენსიურ ფიზიკურ მომზადებას გადის ფლორიდაში. „პუმების“ თავკაცმა **სანტიაგო ფელანმა** ერთი კვირის წინათ 39 მორაგბეს უხმო.

ცხადია, ისევე როგორც სხვა გუნდები, არგენტინელებიც ამ ეტაპზე მხოლოდ ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებით არიან დაკავებული. აღსანიშნავია, რომ მათი ვარჯიშები ისეა დაგეგმილი, თითოეული მორაგბე მხოლოდ მისთვის საჭირო სპეციფიკურ ელემენტებზე მუშაობს.

*„დღეს ყველამ ინდივიდუალურად ვივარჯიშეთ, თითქმის ყველა პრობლემატურ დეტალზე გავამახვილეთ ყურადღება და წვრთნებმა ძალიან ნაყოფიერად ჩაიარა. საგულისხმოა, რომ ყველაფერი სრულადაა მისადაგებული სათამაშო სიტუაციებზე, რაც ვარჯიშის პროცესს საინტერესოს და, რაც მთავარია, სასარგებლოს ხდის.*

*მოთამაშეთა კონდიციების გაუმჯობესება დღითი დღე თვალსაჩინო ხდება. ეს კი სტიმულს გვაძლევს და სავარჯიშოდ კიდევ უფრო მონადინებული ვართ.“* – თქვა არგენტინელთა კაპიტანმა **ფელიპე კონტეპომიმ.**

გუშინ, დღის მეორე ნახევარში, არგენტინელმა მორაგბეებმა ძალოსნობის დარბაზში ივარჯიშეს. მერე კი საკმაოდ მომქანცველი დღის შემდეგ, საშუალება მიეცათ ოჯახის წევრებს შეხვედროდნენ და სასტუმროს აუზში ძალები აღედგინათ. არგენტინელები ფლორიდაში კიდევ ორ კვირას დაყოფენ და მერე, ევროპაში გადმობარგდებიან.

შეგახსენებთ, რომ „პუმები“ მსოფლიოს თასზე პირველ მატჩს 10 ივნისს დანიდინში ინგლისის ნაკრებთან გამართავენ. ბორჯღალოსნებს კი ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში 2 ოქტომბერს პალმერსტონში დაუპირისპირდებიან.

**არგენტინის ნაკრები**

შერკინება: ორაციო აგულა, პატრისიო ალბასეტე, გაბრიელ ასკარეტე, მარკოს აიერსა, გონსალო კამაჩო, მანუელ კარისა, ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე, სანტიაგო ფერნანდესი, ლუკას ამოროსინო, ავგუსტინ გოსიო, ეუსებიო გუნასუ, სანტიაგო გუსმანი, მარიო ლედესმა, ხუან ლეგუზამონი, როდრიგო რონსერო, მარტინ სკელსო, ფედერიკო სანჩესი, ლეონარდო სენატორე, ნიკოლას ვერგალო, ტომას ვალეხოსი, ალფრედო ლალანე, ხუან იმჰოფი, გონსალო ტიესი.

უკანა ხაზი: ანდრეს ბორდოი, ლუკას ბორხესი, მარსელო ბოსხი, მარტინ ბუსტოს მოიანო, მაქსიმილიანო ბუსტოსი, ალეხანდრო კამპოსი, რაფაელ კარბალო, ფელიპე კონტეპომი, ავგუსტინ კრევი, ხულიო ფერიასი, ჯენარო ფესია, ხუან ფიგალო, ავგუსტინ ფიგუორელა, მარიანო გალარზა, ალვარო გალინდო, მარტინ როდრიგესი.





წყნარი ოკეანის ერთა თასი



# წყნარ ოკეანეში იაპონია დომინირებს

წყნარი ოკეანის ერთა თასის გათამაშება სენსაციურად დასრულდა. ყველასათვის მოულოდნელად პირველობა არავის დაუთმო იაპონიის ნაკრებმა, რომელმაც სამი თამაშიდან ორი მოიგო და წყნარი ოკეანის ერთა თასი მოიპოვა.

ბოლო ტურის წინ სატურნირო ცხრილში გარკვეული არაფერი იყო. ოთხივე გუნდს ორ-ორი შეხვედრიდან თითო გამარჯვება ჰქონდა და, შესაბამისად, ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებდა.

პირველ ტურში ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. ფიჯის ნაკრებმა დიდი ანგარიშით 21:45 წააგო ტონგას ეროვნულ გუნდთან, რომელმაც თავის მხრივ, მეორე ტურში, უმძიმეს ბრძოლაში მინიმალური სხვაობით 27:28 დათმო იაპონიის ნაკრებთან. იაპონელები პირველ ტურში სამოასთან დამარცხდნენ - 15:34. რომლებსაც, მერე ფიჯელებმა მოუგეს - 36:18.

ბოლო ტურში იაპონიის ნაკრებმა ფიჯის ნაკრებთან პირველი ტაიმი მშრალი ანგარიშით 0:8 დათმო, თუმცა ახალზელანდიელი მწვრთნელის **ჯონ ქირვანის** სამწყსო მეორე ტაიმში ერთიანად გამოიცვალა. ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს, რაზეც ფიჯელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. შედეგად იაპონიის ნაკრებმა 24:13 მოიგო და სატურნირო ცხრილში ათი ქულა დაუგროვდა.

ამდენივე ქულას მოუყარა თავი ტონგას ნაკრებმაც, რომელმაც ბოლო, მესამე ტურში სამოას ეროვნულ გუნდს სძლია 29:19, თუმცა იაპონიის ნაკრებთან წაგებული ჰქონდა - 27:28 და დებულების თანახმად, მეორე ადგილს დასჯერდა.

*„ფიჯის ნაკრებს სათამაშო დისციპლინა აკლდა, რაც ჩვენ კარგად გამოვიყენეთ და მიზანს მივაღწიეთ. ვიცოდით, რომ ფიზიკურად ძლიერ მეტოქესთან რთული თამაში გვექნებოდა. პირველი ნახევარი მშრალად წავაგეთ. შესვენებაზე მოთამაშეებს ვუთხარი, რომ ეცადონ ბურთი დიდხანს შეინარჩუნონ, რათა სალელოვე შეტევები უფრო გულდასმით და ნაკლები რისკის გარეშე შეემზადებინათ. ბიჭებმა დავალება პირნათლად შეასრულეს. მე ვამაყობ ჩემი მორაგბეებით“* - თქვა მატჩის შემდეგ ჯონ ქირვანმა.

**წყნარი ოკეანის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| **I ტური** | |
| ტონგა-ფიჯი | 45:21 |
| იაპონია-სამოა | 15:34 |
| **II ტური** | |
| ტონგა-იაპონია | 27:28 |
| სამოა-ფიჯი | 18:36 |
| **III ტური** | |
| ტონგა-სამოა | 29:19 |
| იაპონია-ფიჯი | 24:13 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. იაპონია - 10, 2. ტონგა - 10, 3. სამოა - 5, 4. ფიჯი - 5.

ნოსტალგია

# ლომუ სამშობლოში დაბრუნდა

მსოფლიო რაგბის ლეგენდა, ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილი გარემარბი **ჯონა ლომუ** სამშობლოში, ტონგაში დაბრუნდა. ჯონამ წყნარი ოკეანის ეს პატარა კუნძული 15 წლის წინ დატოვა. ის ახალ ზელანდიაში გადაბარგდა, სადაც შესანიშნავი კარიერა ჰქონდა - მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე გახდა.

ლომუმ ძალები ევროპაშიც მოსინჯა, თუმცა მძიმე სენმა ხელი შეუშალა თავისი ნიჭის ბოლომდე, სრულყოფილად წარმოჩენაში. 15-წლიანი განშორების შემდეგ ჯონა ლომუ ტონგას დაუბრუნდა, რათა ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადებაში დაეხმაროს.

ტრანსფერი

# სმიტი სარასენზში ორი წელი ითამაშებს

სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანი **ჯონ სმიტი** ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერას დაასრულებს. 33 წლის „ბოკე“, რომელმაც ეროვნულ გუნდში 102 კეპი მოიხვეჭა, ევროპაში გადმობარგდება და ორი წლის განმავლობაში ინგლისის ჩემპიონის, „სარასენზის“ შემადგენლობაში ითამაშებს.

*„იმედი მაქვს, მსოფლიოს თასზე სამხრეთ აფრიკის ნაკრები წარმატებულად იასპარეზებს და ინგლისში კარგი განწყობით გავემგზავრები. ძალიან მინდა, ეროვნულ გუნდში ბოლო მატჩი მსოფლიოს თასის ფინალში თამაში იყოს.*

*„ბოკეში“ 11 წელიწადი გავატარე და, ვფიქრობ, მის ალმასვლაში გარკვეული წვლილი შევიტანე. ახლა მინდა ძალები ევროპაში მოვსინჯო. საბედნიეროდ, ჯანმრთელობა ხელს მიწყობს, თავს შესანიშნავად ვგრძნობ და, ვფიქრობ, „სარასენზს“ ჩემპიონის ტიტულის დაცვაში დავეხმარები.*

*კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ინგლისში რაგბის სრულიად განსხვავებული კულტურაა. მოუთმენლად ველი იმ დროს, როცა გუნდს შევუერთდები, რათა ამ კულტურას, რაც შეიძლება მალე ვეზიარო“* - თქვა ჯონ სმიტმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

რეკორდი

# რიჩარდ პარქსმა რეკორდი დაამყარა

უელსის ნაკრების ყოფილმა მესამეხაზელმა **რიჩარდ პარქსმა,** რომელმაც რაგბის თამაში მძიმე ტრავმის გამო ერთი წლის წინათ შეწყვიტა, მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მან ექვს თვეში, 11 დღესა და 53 წუთში მსოფლიოს ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი და ორივე პოლუსი დალაშქრა.

პარქსის ბოლო ექსპედიცია გუშინ დასრულდა. მან დილის 8 საათსა და 53 წუთზე ფეხი იალბუზის მწვერვალს დაადგა. ჯერ კიდევ მწვერვალზე მყოფმა თქვა, რომ რაც მოხდა, ჯერ კიდევ არ აქვს ბოლომდე გაცნობიერებული.

*„შოკში ვარ. როცა შინ დავბრუნდები და ნორმალურ გარემოში, თბილ კერიასთან დავჯდები, მაშინ დავფიქრდები, რა მოხდა. ახლა კი ძალიან ბედნიერი ვარ. რაც დავისახე, ყველაფერი შევძელი. არადა, რამდენი წინააღმდეგობის დაძლევა მომიხდა, თუმცა ამიტომ უფრო სასიხარულო და ბედნიერია ეს წამები.*

*მადლობა მინდა გადავუხადო ყველა სპონსორს და ჩემს მშობლებს, რომლებმაც უზარმაზარი ძალისხმევა გასწიეს საიმისოდ, რომ ეს რეკორდი დამემყარებინა. დავრწმუნდი, რომ ადამიანი თუ მოინდომებს და არ დაიზარებს, ყველაფრის მიღწევა შეუძლია. ეს ფანტასტიკაა“* - თქვა რიჩარდ პარქსმა.

შეგახსენებთ, რომ პარქსმა მოგზაურობა შარშან 10 დეკემბერს დაიწყო. პირველად ის სამხრეთ პოლუსისკენ გაემართა. მერე კი ერთმანეთის მიყოლებით დალაშქრა მწვერვალები დელანი, ვინსონი, აკონკაგუა, კილიმანჯარო, კარსტენზის პირამიდა, ევერესტი, ჩრდილოეთ პოლუსი და ბოლოს იალბუზი.

აღსანიშნავია, რომ რიჩარდ პარქსმა ყოველივე ამაში მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიმუშავა, რომელსაც უელსელი რეკორდსმენი ქველმოქმედებისთვის გამოიყენებს.

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი



კევენდიშმა ფინიში წააგო

# ტურმა დაისვენა

დაგეგმილი შესვენების შემდეგ პირველი რბოლა, წინა სკანდალური ეტაპისგან განსხვავებით, საკმაოდ მშვიდად წარიმართა. 158-კილომეტრიანი დისტანცია მესამე კატეგორიის ოთხ და მეოთხე კატეგორიის სამ მთას მოიცავდა. წესით, ასეთი რელიეფი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო სპრინტერებისთვის, მით უმეტეს, რომ ველომრბოლები მთებს ფინიშამდე კარგა ხნით ადრე გადაივლიდნენ და შემდეგ სწორი მონაკვეთი იქნებოდა გასავლელი.

თუმცა გამარჯვების გარკვეული შანსი გაქცეულებსაც ექნებოდათ. პირველი პელოტონს ფრანგი **რემი დე გრეგორიო** დაშორდა. მას გვერდში ამოუდგნენ თანამემამულეები **ჟულიენ ელ-ფრაესი, ანტონი დე ლაპლასი, არტურ ვიშო, სებასტიან მინარი** და იტალიელი **მარკო მარკატო**. დისტანციის შუაში მათი უპირატესობა პელოტონთან ოთხ წუთს შეადგენდა - უფრო შორს გაქცეულები არ გაუშვეს. ძირითად ჯგუფს კატეგორიულად არ უნდოდა ზედიზედ მესამე ეტაპზე გამარჯვება დაწინაურებულებისთვის დაეთმო.

ყველაზე რთულ მთას ვერ გაუძლო ეტაპზე გამარჯვების ერთ-ერთმა პრეტენდენტმა **ტაილერ ფარარმა**. „გარმინის" მთავარმა სპრინტერმა პარტნიორების დახმარებითაც ვერ შეინარჩუნა პელოტონში ადგილი. ამ მთაზე ასვლა გაუჭირდათ გაქცეულებსაც: უკვე ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე მათი ჰანდიკაპისგან მხოლოდ წუთ-ნახევარი დარჩა.

ბოლო ალმართი კი ლიდერებისთვის საერთოდ დამღუპველი აღმოჩნდა. თავდაპირველად ეს ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო, შემდეგ კი ის პელოტონმა „გალაყლაპა". პარალელურად გაიმართა სამთო ქულებისთვის ბრძოლა და აქ ყველას აჯობა ლიდერის ყვითელი მაისურის მფლობელმა **ტომას ვიოკლერმა**. მის გვერდით აღმოჩნდა სპრინტერული კლასიფიკაციის ლიდერი **ფილიპ ჟილბერი** და კიდევ სამი მრბოლელი. ერთ-ერთი, **ტონი მარტინი** არა გამარჯვებისთვის, არამედ თავისი გუნდის („ჰაიროუდი") ლიდერის **მარკ კევენდიშის** ინტერესებისთვის იბრძოდნენ.

შვიდი კილომეტრით ადრე ჟილბერმა მარტო სცადა რბოლის გაგრძელება, მაგრამ ბოლო ალმართზე ძალა არ ეყო. ამის შემდეგ რამდენიმე მრბოლელმა სცადა გაქცევა, თუმცა 10 მეტრზე შორს ვერ დასცილდა პელოტონს.

ყველაფერი მზად იყო სპრინტერული ფინიშისთვის. **მარკ კევენდიში** ჯერ კიდევ ბოლო მოსახვევამდე დამხმარეების გარეშე დარჩა და „ლიკვიგასის" წევრ **დანიელ ოსს** ჩაუდგა კვალში. ბრიტანელის უკან **ანდრე გრაიპელი** იყო, რომელმაც წამში მოახდინა რეაგირება კევენდიშის შეტევაზე და ბოლო მეტრებზე უკან ჩამოიტოვა ეტაპის მთავარი ფავორიტი. რამდენიმე წელი ეს გერმანელი ველომრბოლი ველოსაჯინიბო „კოლამბიას" შემადგენლობაში კევენდიშის ჩრდილში იყო მოქცეული და დუბლიორის როლით კმაყოფილდებოდა. უკეთესი ბედის საძებრად ის „ლოტოში" გადავიდა და პირველივე შესაძლებლობისთანავე რევანში აუღო კევენდიშს.

### X ეტაპი. 208 კმ

1. **ანდრე გრაიპელი** (გერ, OLO) - 3.31,21; 2. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, THR) - იგივე დრო; 3. **ხოსე ხოაკინ როხასი** (ესპ, MOV) - იგივე დრო; 4. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - იგივე დრო; 5. **რომან ფეიუ** (საფ, VCD) - იგივე დრო; 6. **დანიელ ოსი** (იტა, LIQ) - იგივე დრო... 24. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო... 27. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - იგივე დრო... 31. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - იგივე დრო... 33. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - იგივე დრო; 34. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - იგივე დრო; 35. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო; 36. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - იგივე დრო... 38. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 62. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - იგივე დრო... 64. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - იგივე დრო... 70. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - იგივე დრო...

### საერთო ჩათვლა

1. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - 42.06,32; 2. **ლუის ლეონ სანჩესი** (ესპ, RAB) - +1,49; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +2,26; 4. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,29; 5. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,37; 6. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +2,38... 8. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - +2,43... 11. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +3,36; 12. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +3,37... 16. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +4,07... 20. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +5,01... 36. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +7,16...

ცურვა

# ჩინეთში ხორცი არ იჭმება

საწყლოსნო სახეობების საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილეებს მოუწოდა, რომ მათ ჩინეთის ქალაქ შანხაიში მხოლოდ ფედერაციის მიერ შემოწმებულ რესტორნებში მიირთვან საკვები. მსოფლიოს ჩემპიონატი 16 ივლისს აიღებს სტარტს.

ამგვარი თხოვნის მიზეზი ის არის, რომ ჩინეთში ღორებისა და საქონლის გაზრდისთვის იყენებენ კლენბუტეროლს - პრეპარატს, რომელიც აკრძალულია მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ. კლენბუტეროლი კუნთების ზრდას უწყობს ხელს და მისი გამოყენებისთვის სპორტსმენი ორწლიანი დისკვალიფიკაციით ისჯება.

იტალიის ნაკრების წარმომადგენელმა უკვე განაცხადა, რომ გუნდის ექიმები სპეციალურად არ შეამოწმებენ ხორცს, მაგრამ ურჩევენ სპორტსმენებს უფრო თევზს მიეძალონ და წითელი ხორცისგან თავი შეიკავონ.

ავსტრალიის ნაკრებმა ეს პრობლემა მარტივად მოაგვარა - გუნდის წევრები მხოლოდ ავსტრალიიდან ჩატანილი ხორცით გამოიკვებებიან.

კალათბურთი. ახალი ამბები

# შარასი ევრობასკეტზე მიდის

თანდათან იკვეთება გუნდების შემადგენლობები ევროპის მომავალ ჩემპიონატზე. სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს მასპინძლის, ლიტვის ნაკრების გულშემატკივრებმა. ევრობასკეტზე თამაშს დათანხმდა 35 წლის გამთამაშებელი **შარუნას იასიკიავიჩუსი**. ბოლოს ამ კალათბურთელმა ნაკრებში 2008 წლის ოლიმპიადაზე ითამაშა. შარასი ლიტვის ნაკრებთან ერთად 2003 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა და 2000 წლის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

■ ■ ■

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ევრობასკეტზე საბერძნეთის რიგებში ვერ ვიხილავთ **დიმიტრის დიამანტიდისს**. „პანათინაიკოსის" მცველმა შარშან ოფიციალურად დაასრულა სანაკრებო კარიერა, მაგრამ წელს მას დაჟინებით სთხოვდნენ ეროვნულ გუნდში დაბრუნებას, თუმცა, როგორც ჩანს, უშედეგოდ. დიამანტიდისის გვარი არ ფიგურირებს მთავარი მწვრთნელის **ელიას ზუროსის** მიერ გამოქვეყნებულ სიაში.

ასევე ჩამოშორდნენ გუნდს **პაპალუკასი, კაკიუცისი, პაპადოპულოსი...** ასე რომ, წელს ძალიან სახეშეცვლილ საბერძნეთის ნაკრებს ვიხილავთ.

■ ■ ■

ვერაფრით ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია სლოვენიის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა, „ბარსელონას" ცენტრმა **ერაზემ ლორბეკმა**. ორი დღის წინ მან დარწმუნებით განაცხადა, რომ არ გაემგზავრებოდა ნაკრებთან ერთად ევრობასკეტზე, ერთ დღეში კი გადაიფიქრა და ეროვნულ გუნდს დახმარება აღუთქვა.

როგორც ლორბეკი ამბობს, მან მოაგვარა ყველანაირი უთანხმოება სლოვენიის ფედერაციასთან და კალათბურთელს დაზღვევას გადაუხდიან.

ასე რომ, სლოვენიელები პლანეტის პირველობაზე ერთგვარ მსოფლიოს რეკორდს დაამყარებენ: მათ გუნდში სამი წყვილი ძმა ითამაშებს - ერაზემ და **დომენ ლორბეკები, ბენო და სამო უდრიხები** და **გორან და ზორან დრაგიჩები**.

■ ■ ■

როგორც ჩანს, წელს ევროლიგაზე ძალიან ძლიერი გუნდი ეყოლება კაუნასის „ჟალგირისს". ლიტვური გრანდის მორიგი შენაძენი გახდა სერბი ცენტრი **მილოვან რაკოვიჩი**, რომელიც გასულ სეზონში „მონტეპასკის" შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონი გახდა. თითქოს ერთი ჩვეულებრივი ახალი ამბავია და მასში სენსაციური არაფერი არ არის - რაკოვიჩი კარგი მოთამაშეა, მაგრამ სუპერვარსკვლავი არ გახლავთ.

მაგრამ თუ კაუნასელთა წინა ხაზს გადავხედავთ, ის მართლაც ძალიან ძლიერად გამოიყურება. თავად განსაჯეთ: **რობერტას იავტოკასი, ტრევის უოტსონი, პაულიუს იანკუნასი**, მილოვან რაკოვიჩი... მათ ემატებათ ახალგაზრდა და პერსპექტიული **სამჰანი** და **კუზმინსკასი**. ასევე შეგახსენებთ, რომ „ჟალგირისმა" რამდენიმე დღის წინ „ტორონტო რეპტორზიდან" გადაიბირა ამერიკელი **სონი უიმზი**. ევროლიგაზე „მწვანეების" მეტოქეები ფრთხილად უნდა იყვნენ.



შარუნას იასიკიავიჩუსი

# პროდიუსერი ბრენდი, ფეხბურთელი რობინსონი

სანამ ევროპელები კონტინენტის პირველობისთვის ემზადებიან, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კიდევ ერთმა ვარსკვლავმა გამოთქვა ოკეანის გაღმა თამაშის სურვილი. ეს გახლავთ „ოკლაჰომა-სიტის" სუპერფორვარდი **კევინ დურანტი**. ასეთივე გეგმა აქვს „დენვერ ნაგეტსის" გამთამაშებელ **ტაი ლოუსონს**. ისინიც **დერონ უილიამსის** მაგალითით არიან მოხიბლულები და სავარაუდოდ, არ დაელოდებიან NBA-ის კლუბების მფლობელებსა და პროფკავშირს შორის მოლაპარაკებებს და ევროპას მიაშურებენ.

■ ■ ■

**ტაიშონ პრინსის** აგენტმა **ბილ დაფიმ** ერთ-ერთ გაზეთთან კომენტარში განაცხადა, რომ მას დაუკავშირდა „დეტროიტ პისტონზის" პრეზიდენტი **ჯო დუმარსი** და პრინსთან ურთიერთობის გახანგრძლივებაზე ჩამოუგდო სიტყვა. საკმაოდ საინტერესო ინფორმაციაა იმის გათვალისწინებით, რომ ყველას გადაწყვეტილი ეგონა თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე პრინსის სხვა გუნდში წასვლა. გაუგებარია, რაში სჭირდება „დეტროიტს" ეს ვეტერანი, როცა მესამე „ნომრის" პოზიციაზე ოთხი ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშე ჰყავს.

■ ■ ■

საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა ჩინეთის ერთ-ერთმა პოპულარულმა სოციალურმა ქსელმა. მის კლიენტებს დაუსვეს ერთი შეკითხვა - გააგრძელებენ თუ არა NBA-ის მატჩების ტრანსლაციების ყურებას მას შემდეგ, რაც კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა **იაო მინმა**. გამოკითხულთა 55-მა პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა. სხვათა შორის, ამ სოციალურ ქსელში NBA-ის 4,3 მილიონი თაყვანისმცემელია გაწევრიანებული - ორჯერ მეტი, ვიდრე „ტვიტერზე". სულ კი ჩინეთში აღრიცხულია კალათბურთის მოთამაშე დაახლოებით 300 მილიონი ადამიანი. მსოფლიოს უძლიერესი ლიგისთვის ეს მნიშვნელობით მეორე ბაზარია ამერიკის შემდეგ. და ეს აწყობილი სისტემა, შესაძლოა, ერთი ადამიანის სპორტიდან წასვლის გამო მოიშალოს.

■ ■ ■

„ფილადელფიას" მძიმე ფორვარდს **ელტონ ბრენდს** ახალი პროფესიის ათვისება სურს. კალათბურთელი ცნობილი რეპერის **თუფაქ შაქურის** ბიოგრაფიით შექმნილი ფილმის პროდიუსერი გახდება.

სურათის აღმასრულებელი პროდიუსერი თავად რეპერის დედა იქნება, რეჟისორი - **ანტუან ფუკუა**. „თუფაქის" გადაღებები ამა წლის სექტემბერში დაიწყება.

■ ■ ■

სპორტის სახეობის შეცვლას აპირებს „ოლ სტარზე" ჩატენვების კონკურსის სამგზის გამარჯვებული **ნეიტ რობინსონი**. „ოკლაჰომას" მცველი, თავის დროზე, ვაშინგტონის უნივერსიტეტის გუნდში ამერიკულ ფეხბურთს თამაშობდა და ახლა ახალგაზრდობის გახსენებას აპირებს.



ნეიტ რობინსონი

რობინსონს სერიოზული გეგმები აქვს - ის მთელი წელი მოემზადება კორნერბეკის პოზიციაზე და მომავალ წელს NFL დრაფტზე მოხვედრას ეცდება.

*„შემიძლია ფეხბურთის თამაში - ამაში დარწმუნებული ვარ. და ვაპირებ გავაკეთო ის, რაც აქამდე არც ერთ კალათბურთელს არ გაუკეთებია - ფეხბურთი ვითამაშო. თანაც ეს შესანიშნავი რეკლამა იქნება იმ გუნდისთვის, რომელიც ჩემთან კონტრაქტს გააფორმებს"*, - განუცხადა გაკვირვებულ ჟურნალისტებს რობინსონმა.

■ ■ ■

ლეგენდარული მწვრთნელი **დონ ნელსონი**, რომელიც ლიგის რეკორდსმენია მოგებული მატჩების რაოდენობით, სამწვრთნელო კარიერის განახლებას აპირებს. ნელსონი „მინესოტას" მთავარი მწვრთნელის პოსტით დაინტერესდა.

გუშინ, „ტიმბერვულვზის" პრეზიდენტმა **დევიდ კანმა** ოფიციალურად გამოაცხადა **კურტ რემბისის** განთავისუფლების შესახებ და აღნიშნა, რომ უნდა ამ პოსტზე სწრაფი კალათბურთის მიმდევარი სპეციალისტი იხილოს.

ამ მომენტისთვის „მგლების" მწვრთნელობაზე ერთადერთი ოფიციალური კანდიდატია „პორტლენდის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **ბერნი ბიკერსტაფი**, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ უმუშევრები არიან ძალიან ძლიერი და გამოცდილი სპეციალისტები - **ჯერი სლოუნი, რიკ ადელმანი** და **ლარი ბრაუნი**.

■ ■ ■

ლოკაუტის დაწყებიდან ორი კვირის თავზე NBA-ის მინიმუმ ორმა კლუბმა დაიწყო შტატების შემცირება. სააგენტო AP-ის ინფორმაციით, ბოლო კვირის განმავლობაში „შარლოტ ბობკეტსის" ხელმძღვანელობამ შვიდი თანამშრომელი გაათავისუფლა, მათ შორის რადიოკომენტატორი, კორპორატიული კომუნიკაციების დირექტორი და საზოგადოებასთან კავშირის მენეჯერი.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ სამუშაო დაკარგა „დეტროიტის" 15-მა თანამშრომელმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# ლენოქსი: ვლადიმერს ნოკაუტს მოვუწყობდი



ლენოქს ლუისი

ლეგენდარულმა ბრიტანელმა მოკრივემ, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ლენოქს ლუისმა** აღიარა, რომ ვერ მოიხიბლა ამ ცოტა ხნის წინ უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკოსა** და ბრიტანელი **დევიდ ჰეის** შორის გამართული ბრძოლის ხარისხით. 45 წლის ლუისი ამ საჩემპიონო ბრძოლაზე სატელევიზიო ექსპერტის როლში მოგვევლინა.

*„ვლადიმერმა თავისი საქმე შეასრულა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ უკეთ ჩხუბი და შეხვედრის ნოკაუტით დასრულება შეეძლო,* - განაცხადა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა „სპორტ ბილდისთვის" ინტერვიუში. - *მაგალითად მაშინ, როცა ჰეიმ მას ორჯერ დაარტყა, კლიჩკოს შეეძლო უფრო ხისტად ეპასუხა, მაგრამ მას თავისი უსაფრთხოება უფრო აღელვებდა და ყველაფერზე ძალიან ნელა რეაგირებდა".*

ლუისს მიაჩნია, რომ მასთან ბრძოლაში ვლადიმერს შანსი არ ექნებოდა.

*„მე უფრო მრავალმხრივი მოკრივე ვარ. კლიჩკოს თავის უმეტეს ბრძოლებში ძალიან ცოტა დარტყმა ჰქონდა. ჩემს რეპერტუარში დარტყმების გაცილებით მრავალფეროვანი არსენალი იყო. ვმუშაობდი კორპუსში, მოწინააღმდეგესთან ახლოს, ვასრულებდი აპერკოტებს... ჰეისთან ბრძოლაში ვლადიმერი ახლო ბრძოლაში არ მიდიოდა, მხოლოდ კლინჩში შედიოდა. ასევე არ იყო კორპუსში დარტყმები. მე კი ყოველთვის შემეძლო ფსიქოლოგიურად გამეტეხა მეტოქე, რინგზე სხვაზე სწრაფად ვაზროვნებდი. სადღაც ბრძოლის შუაში ვლადიმერს ნოკაუტით მოვუგებდი",* - ამბობს ბრიტანელი მოკრივე.

# პაკიაოზე ძლიერი გამოჩნდა

ცნობილი ამერიკელი მწვრთნელი **ფრედი როუჩი** ამჟამად ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონთან, 24 წლის ბრიტანელ **ამირ ხანთან** და თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივესთან, 32 წლის ფილიპინელ **მენი პაკიოასთან** მუშაობს. მან მეტად ხმამაღალი განცხადება გააკეთა - ბრიტანელი უფრო სწრაფად პროგრესირებს, ვიდრე ამას თავის დროზე პაკიაო აკეთებდა. შეგახსენებთ, რომ კვირანახევრის შემდეგ (23 ივლისს) ხანს საჩემპიონო ჩხუბი ელის ნახევარდსაშუალო წონაში IBF-ის ჩემპიონთან, ამერიკელ **ზაბ ჯუდასთან**.

*„ხანი აშკარად უსწრებს მენის,* - ამბობს როუჩი BoxingScene.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *მენის რვა წელი დასჭირდა იმისთვის, რომ დაუმარცხებელი გამხდარიყო. ამირი ჩემთან სამი წელია მუშაობს და სულ უფრო და უფრო უახლოვდება თავის წონაში დომინირებას. ის ორი-სამი წლის შემდეგ გახდება მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე რეიტინგში, რომელიც წონით კატეგორიას არ ითვალისწინებს.*

*ის აშკარად უსწრებს მენის გრაფიკს და ზაბ ჯუდაზე გამარჯვება კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება პაკიაოს რეკორდის გაუმჯობესებისკენ. ჯუდა საუკეთესო ფორმაში უნდა იყოს, რომ მომავალ ბრძოლაში სირცხვილს გადაურჩეს. ჩვენ ვიცით როდის, სად და როგორ უნდა შევუტიოთ. ბრძოლა 12 რაუნდი არ გაგრძელდება. ჩვენ მას ტემპითა და ძალით დავამარცხებთ".*

თავად ამირ ხანმა ჟურნალისტებთან სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა. მისი განცხადებით, ზაბ ჯუდასთან ბრძოლის შემდეგ ის 63.5-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში კიდევ ერთი ბრძოლის ჩატარებას აპირებს სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან, მექსიკელ **ერიკ მორალესთან**. შემდეგ კი ბრიტანელი მომდევნო წონით კატეგორიაში გადავა და იქ პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ **ფლოიდ მეივეზერთან** შეხვედრის იმედი აქვს.

*„ამ წლის ბოლოს ძალიან მინდა ერიკ მორალესთან შეხვედრა,* - ამბობს ამირ ხანი. - *ჩემთვის ეს დიდი ბრძოლა იქნება. მას უდიდესი სახელი აქვს ამერიკაში. ამის შემდეგ საშუალო წონაში გადავალ, რათა ფლოიდ მეივეზერს შევერკინო. კარგ მოკრივეს ამბიცია ყოველთვის უნდა ჰქონდეს და ჩემი მიზანია, წონითი კატეგორიის მიუხედავად, მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე გავხდე. ეს ძალიან გრძელი გზაა, მაგრამ თანდათან ვუახლოვდები ამ მიზანს".*



მოსწავლე და მასწავლებელი

● ოლიმპიზმი

# ბრძოლა იწყება

ესპანეთის დედაქალაქმა მადრიდმა 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლა გადაწყვიტა. გუშინ, საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა მადრიდის მერმა **ალბერტო ლუის გალიარდონმა**.

ესპანეთის მთავარი ქალაქი ზედიზედ მესამედ იბრძოლებს ზაფხულის თამაშების ორგანიზებისთვის. ადრე მადრიდმა წააგო არჩევნები ლონდონთან და რიო-დე-ჟანეიროსთან. ბრიტანეთის დედაქალაქში თამაშები 2012 წელს გაიმართება, ბრაზილიაში - 2016 წელს.

გუშინვე 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე თავისი პრეტენზია გამოაცხადა სტამბოლმა. თურქეთის სპორტის მინისტრის **სუათ ქილიჩის** სიტყვებით, ქვეყანას ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა გააჩნია ასეთი მსხვილი სპორტული ფორუმის ჩასატარებლად. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადების შეტანის ბოლო ვადაა 29 ივლისი. სტამბოლის კანდიდატურის წამოყენებაზე საბოლოო გადაწყვეტილება თურქეთის პრემიერმინისტრმა **ერდოგანმა** უნდა მიიღოს.

მადრიდისა და სტამბოლის გარდა, 2020 წლის თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლას აპირებს რომი. არ არის გამორიცხული, საარჩევნო კამპანია წამოიწყონ ტოკიომ და დოჰამ, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან 2018 წლის ზამთრის თამაშების ორგანიზება სამხრეთ კორეის პიონჩანგს მიანდეს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, სავარაუდოდ, არ ჩაატარებს ზედიზედ ორ ოლიმპიადას აზიაში.

2020 წლის ზამთრის თამაშების მასპინძელ ქალაქს 2013 წელს აირჩევენ.

■ ■ ■

ლატვიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. კომიტეტის პრეზიდენტმა **ალდონს ვრუბლევსკისმა** განაცხადა, რომ თუ უახლოეს ხანში სიტუაცია არ შეიცვლება, ქვეყნის ყველა ძლიერი სპორტსმენი ვერ მოახერხებს 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე გამგზავრებას.

*„ქვეყნის 2012 წლის ბიუჯეტის შედგენისას მთავრობა სპორტზე ხარჯების შემცირებას განიხილავს,* - ამბობს ვრუბლევსკისი. - *ეს ფაქტობრივად ლონდონის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი თანხის განახევრებას ნიშნავს. კარგად გვესმის, რომ თუ სათანადოდ არ მოვემზადებით, ბრიტანეთის დედაქალაქში არაფერი გვესაქმება".*

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ჩემპიონთა ლიგა | |
|---|---|
| **II საკვ. ეტაპი. I მატჩები** | |
| მაკაბი (ჰ)-ბორაცი | 5:1 |
| მალმიო-ტორსჰავნი | 2:0 |
| ბანგორი-ჰიკ | 0:3 |
| დინამო (ზ)-ნეფთჩი | 3:0 |
| შკენდერბეუ-აპოელ | 0:2 |
| სკონტო-ვისლა | 0:1 |
| შტურმი-ვიდეოტონი | 2:0 |
| ლინფილდი-ბატე | 1:1 |
| პარტიზანი-შკენდია | 4:0 |
| რუსენბორგი-ბრეიდაბლიკი | 5:0 |

| მს. ჩემპიონატი | |
|---|---|
| **ქალები. 1/2 ფინალი** | |
| საფრანგეთი-აშშ | 1:3 |
| იაპონია-შვედეთი | 3:1 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| **ნაკრებები** | |
| ქუვეითი-ერაყი | 2:0 |
| ბაზელი-ვესტ ჰემი | 2:1 |
| მელბურნი-სელტიკი | 0:1 |
| გუანგჯოუ-ლივერპული | 3:4 |
| მალაიზია-არსენალი | 0:4 |
| კლუჟი-დინამო (მ) | შეწყდა |
| სლოვაცკო-ცრვენა ზვეზდა | 0:1 |
| ბრონდბიუ-სამსუნი | 1:0 |
| ლევერკუზენი-რეინჯერსი | 2:0 |
| კარლსრუე-ოფენბახი | 2:1 |
| რეგენსბურგი-აიაქსი | 0:0 |
| ზაარბრიუკენი-ბორუსია (მ) | 1:0 |
| ვანი-რენი | 0:0 |
| ბორდო-ტულუზა | 3:2 |
| კლერმონი-როდე | 5:3 |
| ჰამარბიუ-მალიორკა | 0:0 |
| ლილი-რეიმსი | 0:1 |
| გენკი-ტრაბზონი | 1:1 |
| შტ. კიკერსი-შტუტგარტი | 1:1 |
| გინგამი-ბრესტი | 2:0 |
| დანდი-სტ. ჯონსტონი | 0:2 |
| ლონგფორდი-შილ უოლი | 0:1 |
| იორკი-სანდერლენდი | 1:2 |
| მოზერველი-პარტიკი | 1:0 |
| გიმარაეში-ბეირა მარი | 4:1 |

| იაპონია | |
|---|---|
| ფუკუოკა-ომიია | 1:0 |
| სერეზო-ივატა | 2:3 |
| გამბა-კობე | 3:2 |
| კაშივა-ჰიროშიმა | 3:1 |
| ნაგოია-კაშიმა | 2:1 |
| ურავა-კავასაკი | 2:0 |
| ვეგალტა-შიმიცუ | 0:0 |
| იოკოჰამა-იამაგატა | 2:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. შტუტგარტი | |
|---|---|
| **გრანოლერსი**-სეპი | 6:3, 3:6, 6:1 |
| მონფილსი-**ჰანესკუ** | 6:2, 6:7, 4:6 |
| **ანდუხარი**-მონტანიესი | 2:6, 6:4, 6:3 |

| ATP. ბაშტადი | |
|---|---|
| გოლუბევი-**რამ. იდალგო** | 7:6, 1:6, 2:6 |
| კუკუშკინი-**ჰაიდერ მაურერი** | 5:7, 2:6 |
| **ბერლოკი**-მონაკო | 7:6, 6:7, 2:6 |
| **სტარაჩე**-დასნიერი | 6:0, 6:7, 6:2 |
| **ბერდიხი**-გაბაშვილი | 6:2, 6:2 |
| **სიოდერლინგი**-ჟუნკეირა | 6:0, 6:1 |

| WTA. ბად გაშტეინი | |
|---|---|
| **სუარეს ნავარო**-პარა სანტონ. | 6:3, 6:3 |
| **პერვაკი**-კოლარი | 4:6, 7:6, 6:2 |
| ჰალეპი-**ბამერი** | 6:4, 5:7, 6:7 |
| **კ. ბონდარენკო**-ლარსონი | 7:5, 6:0 |
| **პოუს ტიო**-ბაროისი | 7:6, 7:6 |

| WTA. პალერმო | |
|---|---|
| კირსტეა-**პირონკოვა** | 6:2, 1:6, 1:6 |
| **ჩეტკოვსკა**-ამანმურადოვა | 6:2, 6:4 |
| ბრიანტი-**ჰერცოგი** | 2:6, 4:6 |
| **პენეტა**-იოჰანსონი | 4:6, 7:5, 7:5 |

● TV პროგრამა

**14 ივლისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-ვენესუელა. არგენტინა.
**12:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ეკვადორი. არგენტინა.
**14:00** ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**14:30** ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი.
**16:00** ჩემპიონის გზა. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-არსენალი.
**18:00** ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ.
**19:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:00** ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ბოლონია.
**22:00** ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**22:30** ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი.
**23:30** სუპერმატჩი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლაციო.
**01:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი.
**11:20** ჩემპიონის გზა. კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-მონტეპასკი.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. IV დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
**21:15** ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა.
**22:45** ყოველკვირეული ჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**23:10** ჩემპიონის გზა. კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-მონტეპასკი.

**I არხი**

**18:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. მეტალურგი-ირტიში (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. ანორთოსისი-გაგრა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**18:00** გოლფი. ბრიტანეთის ღია პირველობა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**20:25** ამხანაგური მატჩი. ანჟი-შალკე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**13:00** ATP-ის ტური. IV დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).

**SPORT+**

**17:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT**

**13:10** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XII ეტაპი (LIVE).
**19:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (23-წლამდელები). I დღე. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**12:30** სნუკერი. მსოფლიოს თასი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).
**17:00** სნუკერი. მსოფლიოს თასი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).

● ამბები

**ჰოკეი**

## ბომბარდირი ლიგას უბრუნდება

ჰოკეის ეროვნულ ლიგას უბრუნდება 2005-06 წლების რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი (56 შაიბა „სან ხოსეს" შემადგენლობაში) **ჯონათან ჩიჩუ**. ის „სენტ ლუის ბლუზში" გააგრძელებს კარიერას.

ფორვარდმა „ბლუზმენებთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო მისი ხელფასი 600 ათასი დოლარი იქნება. ჩიჩუს NHL-ში 2009-10 წლების სეზონის შემდეგ არ უთამაშია, როცა „ოტავას" შემადგენლობაში 61 მატჩში ხუთი შაიბა გაიტანა.

**ჩოგბურთი**

## პლეი ოფში დაწყვილდნენ

ლონდონში გაიმართა დევისის თასის პლეი ოფის წილისყრა. ზონალური ტურნირის გამარჯვებულებმა და მსოფლიო ჯგუფის პირველ წრეში დამარცხებულებმა რვა წყვილი შეადგინეს და მოგებულები გაისად დევისის თასის მთავარ დივიზიონში ითამაშებენ.

წილისყრის შედეგად ასეთი წყვილები მივიღეთ:

**რუმინეთი-ჩეხეთი**
**რუსეთი-ბრაზილია**
**ისრაელი-კანადა**
**ს. აფრიკა-ხორვატია**
**ჩილე-იტალია**
**იაპონია-ინდოეთი**
**ბელგია-ავსტრია**
**ავსტრალია-შვეიცარია**

**ფორმულა 1**

## პერესი ფერარიში დაპატიჟეს

„ზაუბერის" მექსიკელი პილოტი **სერხიო პერესი** „ფერარის" ტესტებზე მიიწვიეს, რომელიც სექტემბერში გაიმართება. „სკუდერიას" ხელმძღვანელობამ ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა.

21 წლის პილოტმა, რომელიც სადებიუტო სეზონს ატარებს ფორმულა 1-ში, წლევანდელი შედეგებით მოხიბლა „ფერარის" ბოსები. ტესტებზე დაწესებული შეზღუდვების გამო მექსიკელს სექტემბერში „ფერარის" ძველი მოდელის საჭესთან დაჯდომა მოუწევს.

**ამერიკული ფეხბურთი**

## ფეხბურთშიც ლოკაუტია

ამერიკაში ლოკაუტი მხოლოდ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში არ მძვინვარებს. იგივე პრობლემაა ამერიკული ფეხბურთის პროფესიულ ლიგაში. აქ შემდეგი მდგომარეობაა - მომავალ კვირას დგება კრიტიკული მომენტი და თუ მხარეები მოლაპარაკებას ვერ შეძლებენ, სეზონის დაწყება ოფიციალურად ოთხი თვით გადაიდება.

კლუბებსა და მოთამაშეებს შორის უთანხმოების მთავარი საგანია ახალბედების ხელფასი და იმ ფეხბურთელების სტატუსი, რომლებიც თავისუფალი აგენტები გახდნენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გზა მწვერვალისკენ

ოთხ ივლისს ATP-ის მსოფლიო რეიტინგში ლიდერობა მოიპოვა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. ის 25-ე ჩოგბურთელია ისტორიაში, ვინც კლასიფიკაციის პირველ საფეხურს მიაღწია. სერბმა ოცნება 24 წლისამ აისრულა. ასაკის მიხედვით თითქოს ეს ტრიუმფი დაგვიანებული არ იყო, მაგრამ „ნოლეს" წინამორბედები - **რაფაელ ნადალი, როჯერ ფედერერი, ენდი როდიკი, ხუან კარლოს ფერერო** და **ლეიტონ ჰიუიტი** უფრო ადრეულ ასაკში ავიდნენ მწვერვალზე. მხოლოდ **გუსტავო კუერტენმა** 11 წლის წინ ასევე 24 წლის ასაკში მოიპოვა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის სტატუსი. ასე რომ, სერბმა საკმაოდ დიდი გზა გაიარა ამ აღიარებამდე. დღეს სწორედ ამ გზას გავიხსენებთ.



## №767. 7 ივლისი, 2003 წელი

16 წლის ასაკში ნოვაკმა თავისი სადებიუტო პროფესიული ტურნირები ითამაშა. რა თქმა უნდა, მაშინ ეს იყო „ფიუჩერსების" დონე. ჯოკოვიჩმა ორჯერ წააგო პირველ რაუნდში, მაგრამ მესამე ცდაზე უკვე პროგრესი ჰქონდა - მოიგო ტიტული მშობლიურ ბელგრადში, მოიპოვა 12 ქულა რეიტინგში და 1300 დოლარი. ახლა ეს თანხა არასერიოზულია, მაგრამ მაშინ სერბისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

## №338. 24 მაისი, 2004 წელი

რეიტინგში მორიგი დიდი გარღვევა ჯოკოვიჩს პრაქტიკულად ერთი წლის შემდეგ ჰქონდა. იმ დროისთვის მან უკვე შეიძინა გარკვეული გამოცდილება, სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა დევისის თასზე, თუმცა მაშინ სერბეთის ნაკრები ძალიან იყო დაშორებული მსოფლიო ჯგუფს. აგრეთვე მოიგო კიდევ ერთი „ფიუჩერსი", რამაც მაისში ბუდაპეშტის „ჩელენჯერში" თამაშის საშუალება მისცა. სერბმა უნგრეთის დედაქალაქში ნამდვილი ფურორი მოახდინა, როცა ფინალში გაანადგურა **დანიელე ბრაჩიალი** - 6:1, 6:2. ამ გამარჯვებისთვის მან მიიღო 3600 დოლარი და 52 სარეიტინგო ქულა.

## №188. 8 ნოემბერი, 2004 წელი

ბუდაპეშტში წარმატების შემდეგ ნოვაკს დებიუტი ჰქონდა ATP-ის დონეზე. სამ ტურნირზე მან ჯამში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო, ამიტომაც საჭირო გახდა „ჩელენჯერების" დონეზე დაბრუნება. ნოემბრის დასაწყისში ის გერმანიის ქალაქ აახენში ჩავიდა და იქიდან ტიტულითა და 63 სარეიტინგო ქულით დაბრუნდა შინ. მაშინ ეს იყო მისთვის ერთ ტურნირზე მოპოვებული ქულების სარეკორდო რაოდენობა. იმ „ჩელენჯერის" პირველ წრეში ნოვაკმა მოუგო შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკას**, რომელიც მაშინ სერბზე მაღლა იდგა რეიტინგში.

## №94. 4 ივლისი, 2005 წელი

ნოვაკი აგრძელებდა პროგრესს. 2005 წელს მას დებიუტი ჰქონდა „დიდი სლემის" ტურნირზე. ავსტრალიის ღია პირველობის საწყის წრეში ის რუს **მარატ საფინს** გადაეყარა. მაშინ ჯოკოვიჩმა მეტოქეს მხოლოდ სამი გეიმი აართვა. სამაგიეროდ, როლან გაროსზე უკვე თავად გაანადგურა მოწინაალმდეგე - **რობი ჯინეპრის** მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო. მეორე წრეში ის შეაჩერა გრუნტის კორტების სპეციალისტმა **გილერმო კორიამ**. უიმბლდონზე სერბმა ერთბაშად ორი წრე გაიარა, რამაც მსოფლიო რეიტინგის პირველ ასეულში შესვლის საშუალება მისცა.

## №40. 12 ივნისი, 2006 წელი

ჯოკოვიჩმა პირველად „დიდი სლემის" ტურნირის მეორე კვირამდე 2006 წლის როლან გაროსზე მიაღწია. გზად მეოთხედფინალამდე მან მეტად სერიოზული მეტოქეები დაამარცხა - **ფერნანდო გონსალესი, ტომი ჰაასი და გაელ მონფილსი.** მეოთხედფინალში რაფაელ ნადალთან ორი სეტის წაგების შემდეგ, მესამეში ტრავმის გამო მიატოვა თამაში. სხვათა შორის, იმ პერიოდში ნოვაკი ხშირად წყვეტდა მატჩებს, რის გამოც ბევრი აკრიტიკებდა.

## №28. 24 ივლისი, 2006 წელი

სულ მალე სერბმა ATP-ის პირველი ტიტული მოიპოვა. ეს მოხდა ჰოლანდიის ქალაქ ამერსფორტში გრუნტის კორტზე. ნახევარფინალში მან ტურნირის პირველი ნომრის გილერმო კორიას ბარიერი გაიარა (მეტოქემ უარი თქვა მეორე სეტში). ფინალში ნოვაკი ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს **ნიკოლას მასუს** შეხვდა და ორ სეტში მიაღწია გამარჯვებას.

## №16. 9 ოქტომბერი, 2006 წელი

ამავე წელს ის პირველად შევიდა საუკეთესო ოცეულში. ამერსფორტში წარმატების შემდეგ ნოვაკი ხორვატიის უმაგის ტურნირზე ფინალში გავიდა. ჯოკოვიჩმა მეორე ტიტული ოქტომბრის დასაწყისში საფრანგეთის ქალაქ მეცში მოიგო. სერბი მებრძოლ ხასიათს ავლენდა და მატჩებს ბრძოლაში იგებდა.

## №10. 19 მარტი, 2007 წელი

ამის შემდეგ ჯოკოვიჩი მხოლოდ წინ მიდიოდა. ნამდვილი გარღვევა მოხდა 2007 წლის მარტის მასტერსებზე. სერბმა ბრწყინვალე თამაში აჩვენა ინდიან უელსში, როცა ფინალამდე დამაჯერებლად ჩამოიცილა გზიდან ყველა მოწინაალმდეგე, მხოლოდ გადამწყვეტ მატჩში ვერაფერი მოუხერხა რაფაელ ნადალს, რომელიც იმ მომენტისთვის მეორე ნომერი იყო მსოფლიო რეიტინგში. მიუხედავად ამისა, ინდიან უელსში მიღებული ქულების წყალობით ის ათეულში შევიდა.

## №7. 2 აპრილი, 2007 წელი

ორი კვირის შემდეგ ნოვაკს კიდევ ერთი გარღვევა ჰქონდა. მაიამის მასტერსზე სერბმა უფრო უკეთ ითამაშა. მეოთხედფინალში მან დამაჯერებელი რევანში აუღო რაფელ ნადალს, ნახევარფინალში მხოლოდ ერთი გეიმი მისცა **ენდი მიურეის**. ფინალში მისი მეტოქე იყო **გილერმო კანიასი**, რომელმაც ვერ შეძლო ბრწყინვალე ფორმაში შესული ნოვაკის შეჩერება.

## №4. 11 ივნისი, 2007 წელი

ჯოკოვიჩი გრუნტის სეზონშიც არ დაკარგულა. მან გამარჯვება მოიპოვა ეშტორილში და ორჯერ მეოთხედფინალში ითამაშა გრუნტის მასტერსზე. მაგრამ მისი მთავარი მიღწევა გახდა როლან გაროსის ნახევარფინალში გასვლა. იქ მან რაფაელ ნადალთან წააგო, რომლის შეჩერება გრუნტზე შეუძლებელი იყო. საფრანგეთის ღია პირველობის დასრულების შემდეგ სერბი მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი გახდა.

## №3. 9 ივლისი, 2007 წელი

რეიტინგში შემდეგი ნაბიჯი წინ ძალიან მალე გადადგა. უკვე უიმბლდონზე ნოვაკი ისევ ნახევარფინალში გავიდა. სერბმა უმძიმესი მატჩების მთელი სერია მოიგო და ნადალთან ნახევარფინალში უბრალოდ ძალა არ ეყო, ამიტომაც მესამე სეტიდან მიატოვა მატჩი. იმ უიმბლდონის შემდეგ მასზე მაღლა რეიტინგში მხოლოდ ნადალი და როჯერ ფედერერი იყვნენ. ამ მესამე საფეხურზე მან დაახლოებით ორი წელი გაატარა, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს ამერიკის ღია პირველობაზე ფინალში ითამაშა და 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. სწორედ 2008 წლის დასაწყისში ისე ჩანდა, რომ ნოვაკი მყარად ადგა გზას კლასიფიკაციის პირველი საფეხურისკენ. მაგრამ შემდეგ რაღაც არ აეწყო. ნოვაკი მორალურად ველარ უმკლავდებოდა ყველა მხრიდან ზეწოლას. გახშირდა ჩავარდნები, ამასთან გარკვეული სტაბილურობა მაინც შეინარჩუნა, რითაც მეოთხე ადგილამდე მხოლოდ ერთხელ - 2009 წლის 11 მაისს ჩამოქვეითდა.

## №2. 1 თებერვალი, 2010 წელი

მეორე ადგილზე ტრიუმფალურად ასვლა არ გამოვიდა. ნოვაკი ძალიან დიდხანს მიდიოდა აქამდე და ამის გაკეთება მოახერხა ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალის შემდეგ, რომელშიც მან **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** წააგო. ამავდროულად, ნადალმა ვერ დაიცვა მელბურნში შარშანდელი ტიტული და მეორე ადგილი გაუთავისუფლა სერბს. მთელი სეზონი გრძელდებოდა სარეიტინგო ქაოსი. ჯოკოვიჩი ხან მესამე ადგილზე ეშვებოდა, ისევ ხდებოდა მეორე ჩოგანი... აშშ-ის ღიას ფინალში გასვლის მიუხედავად, ნოვაკმა სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა.

## №1. 4 ივლისი, 2011 წელი

2011 წელს ჩვენ წინაშე წარსდგა სულ სხვა ნოვაკ ჯოკოვიჩი. უფრო ზუსტად, ყველაფერი დაიწყო 2010 წლის დეკემბერში დევისის თასის ფინალის მოგებით. სერბს თითქოს ფრთები გამოება. ბელგრადში ის წარმატება ჯოკოვიჩისთვის ერთგვარად ათვლის წერტილი გახდა. იმ ტრიუმფის შემდეგ მისი თამაში მთლიანად შეიცვალა.

ის შესანიშნავად მოემზადა ავსტრალიის ღია პირველობისთვის: ყველას მოუგო გასახურებელ ტურნირზე - ჰოფმანის თასზე, შემდეგ მელბურნში თავის კარიერაში „დიდი სლემის" მეორე ტიტული მოიპოვა. ამან მას არანორმალური დამაჯერებლობა მოუტანა და სერბმა ერთიმეორის მიყოლებით დაიწყო მატჩებისა და ტიტულების მოგება. მთავარი პრიზი მოიპოვა დუბაიში, ინდიან უელსში, მაიამიში, ბელგრადში, მადრიდსა და რომში. თანაც ოთხივე მასტერსის ფინალში ის რაფაელ ნადალს ამარცხებდა. როლან გაროსზე ნოვაკს ფინალში გასვლა სჭირდებოდა რეიტინგში პირველი ადგილის ასაღებად და სწორედ ამ ეტაპზე შეაჩერა ის ფედერერმა, რითაც შეწყდა სერბის 43-მატჩიანი მოგებათა სერია.

მაგრამ ერთი თვის შემდეგ მოსახდენი მაინც მოხდა. შესაძლოა, უიმბლდონზე ჯოკოვიჩი არ გამოიყურებოდა ისე შთამბეჭდავად, როგორც წლის დასაწყისში, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ფინალამდე მისვლაში. კლასიფიკაციაში ლიდერობა მან ნახევარფინალში ცონგას დამარცხებით გაინაღდა. მაგრამ ის ამაზე არ გაჩერდა და მოიგო უიმბლდონი - სეზონში მეხუთედ დაამარცხა რაფაელ ნადალი.

ასე დასრულდა ჯოკოვიჩის სვლა კლასიფიკაციის მწვერვალისკენ. თუ ათვლის წერტილად ATP-ის რეიტინგში მის პირველ გამოჩენას ავიღებთ, ამ გზამ რვა წელი დაიტია. სერბის კარიერა კი გრძელდება და ნოვაკს ჯერ კიდევ ბევრი არარეალიზებული მიზანი აქვს.

# ფედერერი მალავის მიხედავს

დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** ქველმოქმედებისთვის იცლის. ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა 3.3 მილიონი დოლარი გაიღო მალავიში სკოლების ასაშენებლად.

ფონდი, რომელიც ამ პროექტით არის დაკავებული, 10 წლის განმავლობაში 54 ათასი ბავშვის ჩართვას აპირებს სასწავლო პროცესში. აშენდება 80 ცენტრი, სადაც ბავშვებისთვის იქნება კლასები, სასადილოები და სათამაშო მოედნები.

უნდა აღინიშნოს, რომ მალავიში ხუთ წლამდე ბავშვების ნახევარი ქრონიკულად მშიერია, რვა წლამდე სამი მილიონი ბავშვი კი სკოლაში არ დადის. სულ კი ამ ქვეყანაში სალარიბის ზღვარს ქვემოთ 13 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.



როჯერ ფედერერი

*„ორი შვილის მამა ვარ და მუდმივად ვაკვირდები, რა სწრაფად ითვისებენ ყველაფერს მაშინ, როცა გარემო უწყობთ ხელს.*

*ჩემთვის და ჩემი ფონდისთვის დიდი პატივია დავეხმაროთ მალავის საკუთარი პოტენციალის წარმოჩენაში"*, - განაცხადა ფედერერმა.

# ციბულკოვამ გაიხადა

სლოვაკეთის უძლიერესმა ჩოგბურთელმა **დომინიკა ციბულკოვამ** მონაწილეობა მიიღო ეროტიკულ ფოტოსესიაში, რომელიც ცნობილმა საჩოგბურთო ბრენდმა Dunlop-მა მოაწყო. ამით მან ჩოგბურთის მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი გაახარა.

ბრატისლაველმა ჩოგბურთელმა Dunlop-ის ჩოგნით ხელში ტროპიკული მთების ფონზე შიშველმა გადაიღო ფოტო. თავად სარეკლამო კამპანიას ასეთი სახელწოდება აქვს - „ალმაფრენა ბუნებისგან".

161 სანტიმეტრი სიმაღლის სლოვაკი საჩოგბურთო სამყაროში ცნობილია სასიყვარულო რომანებით ფრანგ **გაელ მონფილსთან** და ავსტრიელ **იურგენ მელცერთან**. ამჟამად ის მე-20 ადგილს იკავებს WTA-ის რეიტინგში.

Dunlop-ის რეკლამაში ასევე მონაწილეობდა ესპანელი **ფერნანდო ვერდასკო.**



დომინიკა ციბულკოვა

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**